

რევაზ ლორთქიფანიძე

Revaz Lordkipanidze

Реваз Лордкипанидзе

გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი

გამდიდრებისათვის

Global competition for effective enrichment of a human

Глобальная конкуренция для эффективного обогащения человека

თ ბ ი ლ ი ს ი

2014

რევაზ ლორთქიფანიძის მონოგრაფია “გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის” წარმოადგენს წმიდა ქაშვეთის ტაძარში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით დაწყებული კვლევების გაგრძელებას და ეხება სიმდიდრის დაგროვებისა და მართებულად გამოყენების ფუნდამენტურ საკითხებს. განკუთვნილია ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების, ეკონომიქისა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალისტების, სტუდენტებისა და სხვა დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი მეცნიერ-ეკონომისტი დავით ჩლაიძე

რეცენზენტი მეცნიერ-ეკონომისტები: გიორგი შიხაშვილი, სლავა ფეტელავა, თეა ლაკირბაია, თამარ დევიძე

В труде рассмотрены необходимости мудрого использования богатства и усиления глобальной конкуренции для преодоления монопольных барьеров эффективного обогащения каждого человека.

The necessities of wise use of wealth and increasing global competition to overcome of monopolistic barriers for effective enrichment of each person considered in the work.

ISBN 978-9941-0-6301-5

შინაარსი

შესავალი -----	4
§1. ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის გლობალური კონკურენციის ეპოქაში -----	7
§2. ფილიფსის მრუდი და გლობალური აუდიტის აუცილებლობა ცხოვრების დონის მატებისათვის -----	14
§3. გლობალიზების ერა და საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციფიკური საფუძვლები -----	21
§4. საერთაშორისო კონკურენცია და კონკურენტულობის აუდიტის მეთოდები -----	37
§5. სტრატეგიული ალიანსები წარმოებისა და მომსახურების სფეროებში და ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმები -----	56
დასკვნისათვის -----	132
წყაროები -----	133
ავტორის შესახებ -----	135

შესავალი

სიმდიდრე კი არ ახშობს სასუფეველში შემავალ კარს (მათე 19, 23),

არამედ ამ სიმდიდრის ბოროტად გამოყენება

(http://sibrdze.ge/index.php?swavleba_id=17034)

ადამიანი, გაჩენის დღიდან, ძალიან ბევრს ფიქრობს, როგორ იცხოვროს უკეთ, მაგრამ ხშირად ის მაინც მცდარ დასკვნებს აკეთებს. რელიგიურ და ინტელექტუალურ წრეებშიც ხშირად იმართება პოლემიკა, თუ როგორია მდიდარი ადამიანი - მეტწილად კეთილი თუ პირიქით. სამწუხაროდ, ზოგს მიაჩნია, რომ ღარიბი ადამიანი უფრო ახლოსაა უფალთან და სიმდიდრისათვის ზრუნვა ცუდის მომასწავლებელია. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის ასე, თუ ადამიანი სიმდიდრეს მართებულად მოიხმარს და ღვთის მიერ განსაზღვრული კეთილშობილებით იმოქმედებს. ღარიბ ადამიანებშიც არიან მომხვეჭელობას მიჯაჭვული ფარისეველი „პიროვნებები“ და მდიდარშიც. ნამდვილად უკეთესი იქნება, თუ ადამიანები მეტწილად სიმდიდრეში (ეკონომიკურ კეთილდღეობაში) იცხოვრებენ და მეტ სიკეთესაც გაიღებენ და დათესავენ, მ.შ. ღარიბი ადამიანების გამდიდრებისათვის. როგორც ყოველთვის, რელიგიური მოღვაწეების გამონათქვამებში გამოირჩევა საქართველოს პატრიარქის - ილია II-ის ზედნიწევნით ზუსტი ფორმულირება ამ მიმართებით. ის ბრძანებს - „სიღარიბეს არ მიეჩვიოთო“. ანუ ადამიანებმა უნდა იშრომონ და ყოველმხრივ ეცადონ გამდიდრება კეთილი მიზნებითა და მეტწილად

საყოველთაო ბედნიერებისათვის და, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, გლობალური კონკურენციის ეპოქაში როგორმე უნდა მოხერხდეს, რომ ადამიანების ხსენებული კეთილი მიზნები გავანთავისუფლოთ ფარული ეკონომიკური მონოპოლიების ძალზე მავნე წნეხისაგან.

მეორე და მესამე ათასწლეულების მიჯნაზე, ინტერნეტქსელის გაჩენასთან და მსოფლიოში მიმდინარე თვისობრივად ახალი ინტეგრაციული პროცესების გამო, ბუნებრივია, იზრდება ადამიანების ინტერესი აღნიშნული პროცესების უახლოეს და სტრატეგიულ შედეგებთან დაკავშირებით.

შრომაში წარმოჩენილია გლობალური ეკონომიკური ციკლების გარკვეული კანონზომიერი გამოვლინებები, შესაბამისად, არგუმენტირებულია საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულობის დონის შეფასების მნიშვნელობა ეკონომიკური პრაქტიკისათვის და მოცემულია ხსენებული შეფასების საკუთარი მეთოდოლოგია, განხილულია სტრატეგიული ბიზნესალიანსების როლი ბაზრის ეფექტიანობაში და ზოგადად ადამიანის გამდიდრებისა და კონკრეტულად ბიზნესის ინოვაციური მენეჯმენტის მეტად აქტუალური საკითხები.

საჭიროდ ვთვლი გამოვხატო მადლიერება და აღვნიშნავ, რომ შრომაზე მუშაობის პროცესში თანადგომისათვის ნამდვილად ფასადაუდებელი იყო უნიჭერესი სწავლული ეკონომისტების თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მხარდაჭერები, მ.შ. მეცნიერული კვლევების ორგანიზებაში განსაკუთრებით აღვნიშნავ ვ. პაპავას, ლ. ჩიქავას, ა. სილაგამის, ი. მესხიას, რ.

ასათიანის, რ. აბესაძის, ი. ანანიაშვილის, ე. მექვაბიშვილის, ე. ბარათაშვილის, შ. ვეშაპიძის, რ. სარჩიმელიას, გ. ამყოლაძის, გ. ხასიას, ნ. ბაკაშვილის, ლ. ქარჩავას, გ. გრიგოლაშვილის, დ. ჩლაიძისა და დ. ფირცხალავას დამსახურებას, ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების შემუშავებაში გ. შიხაშვილის ღვაწლს, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის დასაბუთებაში ს. ფეტელავას ინიციატივებს, განსაკუთრებით ასევე შრომის რეცენზენტებს - თ. ლაკირბაისა და თ. დევიძეს და სხვა მართლა მოღვაწეებს, ვინც, ხშირ შემთხვევაში, საჭირო თავდადებასა და ენთუზიაზმით პროფესიულად ცდილობს ადამიანების ცხოვრების არსებით და სრულფასოვან (ხარისხიან) გაუმჯობესებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს აწარდაცვლილი ქართველი ეკონომისტების - პაატა გუგუშვილის, ავთანდილ გუნიას, ვასილ ჩანტლაძის, გიორგი წერეთლისა და ვალერიან ადვამის თეორიული მემკვიდრეობისა და უშუალო პრაქტიკული რჩევების დიდი მნიშვნელობა. შრომაში განხილულია აუცილებელი პროგრესული ძვრები საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მ.შ. აშშ-ში, ევროკავშირსა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (თანამედროვე საქართველოს ჩათვლით) მიმდინარე ორიგინალური სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების შესახებ.

§1. ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის გლობალური კონკურენციის ეპოქაში

ყველაზე ლატაკი ისაა, ვინც იესოს გარეშე ცხოვრობს,
ყველაზე მდიდარი კი - ვისაც იესოსთან ყოფნის ბედნიერება აქვს
(http://sibrdzne.ge/index.php?swavleba_id=11300)

წანამძღვარი ზოგადად სიმდიდრის უზუსტესი ფორმულირებაა და მის ანალიტიკას აღარ შევუდგები და შევჩერდები მხოლოდ მატერიალური სიმდიდრის ეფექტიანი დაგროვების საჭირობოტო საკითხებზე, რაც, როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ასევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა სიკეთის უკეთ და მეტად სათესად.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, თუ რას ნიშნავს ეფექტიანი გამდიდრება, ყველა გამდიდრება ხომ გამდიდრებააო?, - იკითხავენ. ჩემებურად განვმარტავ, რომ ეფექტიანი გამდიდრება ეს სიმდიდრის იმგვარი დაგროვებაა, რომელიც გააზრებულადაა გამიზნული კეთილი საჭირო საქმეებისათვის და რაც, საბოლოო ჯამში, საზოგადოების აღწარმოების სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტიანობას ამაღლებს - ანუ მინიმალური ხარჯებით ადამიანის უკეთ სწავლებას, გაჯანსაღებასა და სხვა აუცილებელი მოთხოვნილებების მაქსიმალურად ოპერატიულ დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. არაეფექტიანი გამდიდრება კი, ძირითადად, სიმდიდრის დაგროვების არაპროფესიულ გამოცდილებასა და ამგვარად დაგროვილი სიმდიდრის არარაციონალურად განაწილებას ახლავს და ამგვარი

გამდიდრება მხოლოდ და მხოლოდ სიმდიდრის პოლარიზებასა და, სიმდიდრის ზრდის მიუხედავად, სიღარიბის გაურკვეველ ზრდას იწვევს. ადამიანის ბუნება საერთო ფესვებით საზრდოობს, ყველას ჰყავს ახლო თუ შორეულ წინაპრებში გამოჩენილი ადამიანები და უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი და დრო მხოლოდ ისეთ რეფორმატორებს (პრეზიდენტებს, პრემიერებს, ისტორიულ მეფეებსა თუ სხვა მოღვაწეებს) აფასებს, ვინც თავისი განსწავლული გამჭრიახობითა და მზრუნველობით სიმდიდრის სამართლიანი განაწილების სამაგალითო მცდელობებს ავლენს.

ჯერ კიდევ ადამ სმითი იკვლევდა ხალხთა სიმდიდრის ბუნებასა და მიზეზებს და მას შემდეგ ამ საკითხებზე ძალზე ბევრი სხვასაც უფიქრია, მაგრამ გლობალიზების ეპოქამ ახალი გარემოებების წინაშე დაგვაყენა, რაზეც განსაკუთრებით უნდა დავფიქრდეთ. ტექნიკურ პროგრესთან ერთად, სიმდიდრე გროვდება, მაგრამ სიღარიბე შესაბამისად არ იკლებს, რაც ფარული „საერთაშორისო“ მონოპოლიებისა და დიქტატორული რეჟიმების დაბრკოლებებით არის განაპირობებული. გლობალიზების უპირეტასობათა მართებულად გამოყენებამ საშუალება უნდა მოგვცეს წავშალოთ ეს საზღვრები და გადაჭარბებულად ბიუროკრატიული ბარიერები და ვიზრუნოთ არა ელიტარული დიქტატორული რეჟიმების, არამედ ყოველი ადამიანის გამდიდრებისათვის.

მსოფლიოს დარგობრივი სტრუქტურა საკმარისად სრულყოფილია რეგიონულთან შედარებით (რაშიც მათემატიკური ალგორითმებიც გვარწმუნებს), ამდენად, მთავარია, გლობალიზებამ მაქსიმალურად

შეამციროს რეგიონალური განსხვავებანი და, თუ მოხერხდება, რომ ღარიბი რეგიონები არ გვყავდეს, დარგობრივი სტრუქტურაც უფრო სრულყოფილი იქნება.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, რომ არაკეთილსინდისიერ მიდრეკილებებს არამხოლოდ გავლენიანი მონოპოლიები ავლენს. ბოროტი მომხვეჭელობისადმი მიჯაჭვულობას, როგორც მდიდარი, ასევე ღარიბი ადამიანი შეიძლება ავლენდეს და, ამდენად, გლობალიზების ეპოქაში გვეძლევა საშუალება და ანტიმონოპოლიური მექანიზმი შესაძლოდ საყოველთაოდ უნდა მოქმედებდეს.

გლობალიზების ეპოქაში ერთიანი ბაზრის ყოველი მონაწილე სუბიექტისადმი მოთხოვნებიც არსებითად გაიზრდება და, შედეგად, სიცოცხლის ხარისხიც არსებითად და მასიურად უნდა გაუმჯობესდეს.

მე-20 საუკუნიდან, ქეინზი და ქეინზიანელები (ჰაროდი, ფილიფსი, ჰიქსი). მათ კვალში მონეტარისტები (ბრუნერი, ფრიდმანი, შვარცი) და თეთრი სახლის თანამედროვე მარეგულირებელი რეფორმების (ობამა) მომხრეები უკვე კარგად აცნობიერებენ კაპიტალისტური ურთიერთობების უმძიმეს ციკლურ წინააღმდეგობებს, მაგრამ, მარქსისტული ათეიზმისაგან განსხვავებით, უტოპიურ მიზნებს არ სახავენ და უმწვავესი ოპონირების (ზოგჯერ არსებითად ხელისშემშლელის) პირობებში შესაბამისი ეპოქებისათვის დამახასიათებელ შესაძლოდ ობიექტურ რეკომენდაციებს საზღვრავენ შესაძლოდ მასიური დასაქმების, ინვესტიციებისა და ოპტიმალური ფულადი მიმოქცევის საკითხებზე.

ქეინზიანიზმის IS-LM-BP და ინფლაცია–უმუშევრობის მოდელებში ჩემი კვლევებით რეკომენდირებულ იქნა ობიექტური ნების (მ. შ. ციკლური) მოქმედებისა და სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის გათვალისწინების მიზანშეწონილობა გრძელვადიანი სტრატეგიისათვის.

თანამედროვე მსოფლიოში კი განსაკუთრებით მისანიშნებელია, რომ მსოფლიო მეურნეობის ნორმალური ეკონომიკური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია საერთაშორისო ანტიმონოპოლიური ფრონტის გააქტიურება (ხსენებულთან დაკავშირებით, დავიწყე კვლევა შრომაში „საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ეფექტიანი მენეჯმენტის მექანიზმები“. - თბილისი, ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით [44]). ეკონომიკური პოტენციალის დაგროვების მიუხედავად, ფარული მონოპოლიების არსებობა განსაკუთრებით ახანგრძლივებს სიღარიბის პოლარიზებასა და დიდ განსხვავებას ცხოვრების დონეებში (შემოსავლებში), ხანგრძლივობასა და, ჩემი აზრით, მრავალგანზომილებიან (განათლება, კულტურა, მაქსიმალურად საყოველთაო ჯანდაცვა, სპორტი, ტურიზმი და ა.შ.) შინაარსში, რამაც, საბოლოო ჯამში, ადამიანების სულიერად და მატერიალურად სრულყოფილი (მდიდარი) ცხოვრების ხარისხი უნდა განაპირობოს.

შეინიშნება პირდაპირი კავშირი ქვეყნის ცხოვრების დონეს (შემოსავლები ერთ სულზე) და საშუალო ხანგრძლივობას შორის, თუმცა, ჩემი აზრით, არანაკლებ არსებითია სრულყოფილი (შინაარსიანი) ცხოვრებით მოღვაწე ადამიანების მრავალმხრივი კვალის გავლენა. საკმაოდ

ხშირია შემთხვევები, როცა ადამიანები, რომლებსაც შედარებით დაბალი შემოსავლები აქვთ, პროგრესული საჭიროდ ინტერესიანი (ცნობისმოყვარე) ცხოვრებით მოღვაწეობის შემთხვევაში, მეტი სასიკეთოს გაკეთებას ასწრებენ.

ეკონომიკაში განსაკუთრებით არსებითია ცხოვრებისეული მოვლენების ახლებურად ხედვა და შესაბამისი ნოვაციები წარმოებასა და მომსახურებაში, ვინაიდან, როგორც ცნობილია, სიახლეები განსაკუთრებით მოთხოვნას ასტიმულირებს და შესაბამის ინტერესებსაც ამძაფრებს, ამასთანავე, გარკვეული ეკონომიკური დოგმები და მექანიზმები, რომლებიც, შესაძლოა, მრავალი წელი ეფექტიანი შედეგებით გამოირჩეოდა, პერიოდულად, პოლარულად ან ნაწილობრივ განსხვავებული ახალი ჭეშმარიტებით შეიძლება შეიცვალოს.

გლობალური კონკურენციის ეპოქაში, ჩემი აზრით, განსაკუთრებით აქტუალურია ფარული მავნე „საერთაშორისო“ მონოპოლიების საერთაშორისო მონიტორინგი და დეზორიენტაცია, თუმცა, ანტიკარტელური პოლიტიკის ფლაგმან აშშ-იც კი მოქმედებენ თეორიულად და პრაქტიკულად „შეიარაღებული“ ძალები, რომლებიც თვლიან, რომ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური პოლიტიკა სუბიექტური და კორუმპირებულია და მხოლოდ ხელს უშლის ახალი (ობიექტური) საჭირო ორგანიზაციული სტრუქტურების წარმოქმნასა და მის თანმდევ პროცესებს.

ხსენებული პოზიცია, ჩემი აზრით, არათუ მცდარია, არამედ, მეტად საზიანოცაა, ვინაიდან, ფაქტია, რომ მზარდი ფარული მონოპოლიები

განაპირობებს მზარდ საფრთხეს კაცობრიობისათვის და, განსაკუთრებით, ისედაც ღარიბი მოსახლეობისათვის. რაც შეეხება შესაძლო კორუფციას, ამ შემთხვევაში, კორუფციას უნდა ვებრძოლოთ და არა საზიანო მონოპოლიების წინააღმდეგ მებრძოლ სამსახურს. ისტორიულად, კორუფცია პოლიციასა და საბაჟო სამსახურებშიც ვლინდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ კაცობრიობამ ხსენებულ მომსახურებაზე (საზოგადოებისათვის ზოგადად და მისი ცალკეული წევრის დასაცავად) უარი უნდა თქვას.

საგულისხმოა, რომ ობიექტური (სამართლიანი) კონკურენტული მექანიზმების მოქმედებისას მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტორები განსაკუთრებით ქმედითი (ეფექტიანი) ხდება და განსაკუთრებით პრიორიტეტული ხდება შედეგად მიღებული მზარდი შემოსავლების სამართლიანი განაწილებაც პრაქტიკაში, რამაც არსებითად უნდა შეამციროს სიღარიბის გაუგებარი პოლარიზება, ამასთანავე, ადამიანების ჯანდაცვით და საგანმანათლებლო სფეროებს საბიუჯეტო ხელშეწყობა უნდა გაეზერდოთ იმ მიზანშეწონილი ზღვარის ფარგლებში, როცა ეფექტიანობას სახიფათო ზიანი არ მიადგება. ამ მხრივ, საყოველთაო ჯანდაცვის მაგალითი თანამედროვე საქართველოში ნამდვილად სამაგალითოა და მომავალში მის საყოველთაო ხელშეწყობაზე უნდა ვიზრუნოთ სახელმწიფო ფინანსირებისა და ამ მხრივ კერძო დაზღვევის ინსტიტუტების მრავალფეროვანი საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, თანამედროვე გერმანია, რუსეთი, იაპონია) მოხმობის

კონტექსტში.

სიმდიდრის დაგროვების პროცესში ცენტრალური როლი ნოვაციურ (უპირატესად მეცნიერებატევად) ბიზნესს და მის მენეჯმენტს ეკუთვნის. პროფესიონალი ნოვატორი მენეჯერი, როგორც ბრძენი სტრატეგი, გონივრულად შორსმხედველი უნდა იყოს და დაგეგმვის, ორგანიზებისა და მონიტორინგის თეორიულ საფუძვლებსა და პრაქტიკულ ჩვევებს (ხელოვნებას) მაქსიმალურად შედეგიანად (ხარისხიანად, სწრაფად და შესაძლო მინიმალური დანახარჯებით) უნდა ფლობდეს, შესაბამისად, გლობალიზებისა და ტექნიკური პროგრესის ეპოქაში მხოლოდ მუდმივად განახლებადი (ორიგინალური) კეთილსინდისიერი მიდგომებით შეიძლება აღწევდეს კონკურენტულ უპირატესობას.

გლობალიზების ერაში, მეტწილად ჩაკეტილი ლოკალური ბიზნესის მოქმედების არეალი თანდათან ქრება, ვინაიდან, ინტერნეტმა მსოფლიო ბაზარი ერთიან დიდ ორგანიზმად აქცია და საერთაშორისო კონკურენცია (მ.შ., ბუნებრივია, არაკეთილსინდისიერიც) დედამიწის ყველა წერტილში აღწევს. თუ ლოკალური ბაზრების პირობებში არაპროფესიონალიზმი და ე.წ. ჩაწყობა-ნაცნობობა გარკვეულწილად "ჭრიდა" მართვაშიც, ამჯერად, ორდინარული არაპროფესიონალიზმი მენეჯმენტში სულ უფრო მნიშვნელოვან ფუჭ დანაკარგებსა და საერთო ჩამორჩენას დაუკავშირდება.

სიღარიბის დაძლევისა და სიმდიდრის არსებითი დაგროვების აუცილებლობის პირობებში, ბუნებრივია, განსაკუთრებულ მნიშვნელობას საბაზრო ურთიერთობების მარკეტინგული მართვის ის ნოვატორული

ხელოვნებაც იძენს, რომელმაც, მენეჯერი-სტრატეგის საჭირო ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისათვის, თითქმის სინათლის სიჩქარით უნდა შეიტანოს სიცხადე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და პროდუქციის (მომსახურების) რეალიზების სულ უფრო მრავალწახნაგოვან პროცესებში.

§2. ფილიფსის მრუდი და გლობალური აუდიტის აუცილებლობა ცხოვრების დონის მატებისათვის

ტექნიკის დაწინაურებითა და კაპიტალისტური სამყაროს არნახული გამდიდრებით, ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ ლოკალური საბაზრო ეკონომიკების გლობალიზების პროცესში ჩართვის წინაპირობები შექმნა, ხოლო ინტერნეტქსელის ორგანიზებამ ეს პროცესი საბოლოოდ შეუქცევადი გახადა [45].

არნახული მასშტაბების ტექნიკური აღმოჩენების შედეგად, ადამიანების ცხოვრება (შემოსავლები, ხანგრძლივობა, ხარისხი) არსებითად უნდა უმჯობესდებოდეს, მაგრამ, ფარული არაკეთილსინდისიერი საერთაშორისო მონოპოლიებისა და ცალკეული დიქტატორულ-ტერორისტული რეჟიმების არსებობის გამო, შექმნილი დოვლათი უთანაბროდ ნაწილდება და, შედეგად, ხშირია ინფლაციური შოკები, რაც, ისევ და ისევ, მცირეშემოსავლიან მოსახლეობას აზარალებს ყველაზე მეტად და დროებითი უმუშევრობა და სიღარიბეც პარადოქსულად იზრდება და იზრდება.

ინფლაციისა და უმუშევრობის დამოკიდებულების საკითხს ჯერ კიდევ ფილიფსი იკვლევდა, რომლის მრუდი გარკვეულ უკუპროპორციულ

დამოკიდებულებას გამოხატავს უმუშევრობასა და ინფლაციას შორის [იქვე], რაც სამრეწველო რევოლუციის შემდგომი ინგლისის 1861-1913 წლების სტატისტიკურ მონაცემებზე დაკვირვებით გამოვლინდა [იქვე], 1958 წელს გამოქვეყნდა და კეინსიანიზმის მიმდევართა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მემკვიდრეობად იქცა. თუმცა, მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან, ზოგიერთი ეკონომისტის მხრიდან, ფილიფსის ხსენებული ხედვა მწვავე კრიტიკას დაექვემდებარა მრუდის შესაძლო დეფორმაციებისა ან საერთოდ უსაფუძვლოების გამო, რასაც, თავად კეინსიანელები, დროებითი საფასო შოკებით ხნიან [იქვე].

ბუნებრივია, იბადება კითხვა, ვინ არის მართალი, ფილიფსი, თუ ამ საკითხში კეინსიანიზმის კრიტიკოსები? ჩემი აზრით, ფილიფსი, მისი ეპოქის შესაძლებლობებიდან გამომდინარე, გენიოსია და ის, ინფლაციის განსაკუთრებული გამწვავების დროს, ჩემი “დედუქციური ლოგიკით“, არაკვალიფიციური კადრების დათხოვნასა და უმუშევრობის ამ გარკვეული ზრდისა და ხელფასებზე ხარჯების შემცირების საშუალებით ინფლაციის უმძიმესი სენის მკურნალობას გვთავაზობს. მაგრამ ეს, ჩემი აზრით, მხოლოდ ერთჯერად ღონისძიებად ან უმცირეს მოკლევადიან პერიოდში შეიძლება გამოვიყენოთ და, ვფიქრობ, ეკონომიკური მიზანშეწონილობა მიგვანიშნებს გარემოებაზე, რომ ბატონი ფილიფსის ლოგიკას გრძელვადიან სტრატეგიაშიც რომ მივეყვებო და, ინფლაციის ჩასაქრობად, უმუშევრობის ზრდა გავაგრძელოთ, უმუშევრობის მუდმივი ზრდა საბოლოოდ ინფლაციას მინიმუმამდე კი არ შეამცირებს, არამედ, პირიქით, იმდენად შეამცირებს წარმოებას, რომ ფასების ადეკვატური ზრდა ჰიპერინფლაციურ პროცესებში გადაიზრდება.

მაგალითისათვის, თუ სახელმწიფო, ინფლაციის ჩასაქრობად გაატარებს სახელმწიფო დაწესებულებებიდან არაკვალიფიციური კადრების დროებით (კვალიფიკაციის ამაღლებამდე) დათხოვნის ეკონომიკურ პოლიტიკას, რაც უმუშევრობას 10%-ით გაზრდის, შემცირდება

ფულის ემისია და ვალუტაც, გარკვეულწილად, გამყარდება. მაგრამ, თუ უმუშევრობის ზრდას მუდმივად გავაგრძელებთ, ფილიფსის მრუდი აღარ იმოქმედებს და ინფლაციაც გაიზრდება.


ინფლაციის ნორმალიზება, ვალუტის სიმყარე, დასაქმება და ხელფასების მატება, ჩემი აზრით, საფუძველში და უმთავრესად, რაციონალურ ეკონომიკურ ეფექტიანობას უკავშირდება.

ევროპის ეკონომიკური კომისიის (ეეკ, წარმოადგენს ევროკავშირის აღმასრულებელ ორგანოს [იქვე]) სამდივნოს ექსპერტების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, რომელიც სტრუქტურული ძვრების ინტენსივობას (ეფექტიანობას) გამოხატავს და გამოიყენება ანალიზისა და შედარებისათვის აშშ-ში, იაპონიასა და დასავლეთევროპულ ქვეყნებში, არ ხერხდება სტრუქტურული და დარგობრივი ეფექტიანობის ცვლილებების მთლიანი მონაწილეობების გამოყოფა. ხსენებული მეთოდოლოგია შედგება სამი ნაწილისაგან – პირველი გამოხატავს დარგობრივი ეფექტიანობის “წმინდა” გავლენას, მეორე – სტრუქტურულ ეფექტს, მესამე – პირველი ორის ერთობლივი მოქმედების შედეგს [იქვე]. ჩემს მიერ სტრუქტურულ თემატიკაზე ჩატარებული კვლევების (სირთულე, სიმწიფე, ვექტორული გადახრები, ეფექტიანობის შეფასება) შედეგად, სადაც გამოყენებულ იქნა ვლ. პაპავას თეორიული მემკვიდრეობა [იქვე], მოხერხდა ეფექტიანობისა და სტრუქტურული ფაქტორების დაზუსტებაც [იქვე].

ფილიფსის უკუპროპორციული დამოკიდებულების ჰიპერბოლური მრუდი მოკლევადიან სტრატეგიაში შესაძლებელია ევროკავშირის ექსპერტთა მეთოდოლოგიის ჩემი განვითარების გრაფიკულ გამოხატულებას (იხ. წრფივი და პირობითი კუბური პარაბოლის ფუნქციები) დაუკავშიროთ, კერძოდ, მოსალოდნელი სტრუქტურული ძვრების შესაბამისად, განვსაზღვროთ ნაზრდი ეფექტიანობაში (საკუთრივ, პროდუქტიულობაში), შესაბამისად, განვსაზღვროთ ხელფასების,


დასაქმებისა და ინფლაციის ოპტიმალური დონეები.

**სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობა სტრუქტურული
ელემენტის ეფექტიანობის უცვლელობის დაშვებით**



ეკონომიკის სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობა

(პირობითი მრუდი)



ეფექტიანობის მატებასთან ერთად, უმეტეს შემთხვევებში, მატულობს ცხოვრების ხანგრძლივობაცა და მასთან დაკავშირებული შინაარსობრივი მრავალფეროვნებაც, რაც, საერთო ჯამში, ცხოვრების სრულყოფილ

ხარისხს განაპირობებს.

2013 წლისათვის არსებული გარკვეულწილად განსხვავებული და შედარებით სარწმუნო სტატისტიკური ინტერნეტრესურსების განზოგადებით დგინდება, რომ სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (ანუ, მნიშვნელოვანწილად, სიცოცხლის ხარისხი) იაპონიაში – 82,7 წელია, აშშ-ში – 78,2 წელი, საქართველოში – 71,0 წელი, ავღანეთში – 43,8 წელი, ზიმბაბვეში – 43,5 წელი, მოზამბიკში – 39,2 წელი, სიცოცხლის ხანგრძლივობის მსოფლიოს საშუალო დონე კი 67,2 წელს შეადგენს [15].

ცხოვრების ორი მთავარი მდგენელი (დონე და ხანგრძლივობა) დამოუკიდებელი (ნაკლებდაკავშირებული) კანონზომიერებებით შეიძლება დავახასიათოთ და საერთო (მსგავსი) ზემოქმედების ფაქტორებითა და გამოვლინების მახასიათებლებითაც შეიძლება აიხსნას.

დამოუკიდებელი მოქმედების ეფექტები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხოვრების ეკონომიკური და კლიმატური ჯგუფის მაჩვენებლებით შეფასებისას. თუ ცხოვრების დონეს უცილობლად და უპირველესად ეკონომიკური შემოსავლების დონე განსაზღვრავს (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საშუალო ხელფასის დონე, საშუალო ხელფასის ფარდობა უმნიშვნელოვანესი პროდუქციისა და მომსახურების ფასებთან და სხვ.), ხანგრძლივობა, მეტწილად, კლიმატურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

მაგალითისათვის, კავაკასიის რეგიონი, მ.შ. საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიზისული პირობების გამო, ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა და მსოფლიოში ბოლო ადგილზეც კი დავიდა, ჩვენი ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა (განსაკუთრებით მისი მთიანი რეგიონები) ისევ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებდა მსოფლიოში ხანდაზმულთა (90 წელზე მეტი ასაკის ადამიანები) რაოდენობით, მ. შ. 100 და 110 წელზე მეტი ასაკის ადამიანების შედარებითი მოჭარბების შემთხვევებით.

ბუნებრივი ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ნიშნავს,

რომ ცხოვრების დონის მაჩვენებლები არ ზემოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც მიწისძვრებისა და სხვა დაძაბული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისა და ცხოვრების წესის სახასიათო თავისებურებები განაპირობებს, რომ იაპონია ასევე განსაკუთრებით გამოირჩევა ხანდაზმულთა რაოდენობით.

მრავალფაქტორული დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების დონესა და ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსი მოქმედებს და ცხოვრების ამ ორივე მაჩვენებლის განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევა მხოლოდ რაოდენობრივად და ხარისხობრივად თვალსაჩინო ეკონომიკური და ინტელექტუალური პოტენციალის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ) ცალკეული დარგები და რეგიონები.

სხენებულის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი ქვეყნები (მ.შ., განსაკუთრებით - აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში), რომლებიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სასარგებლო წიაღისეული მარაგებით, ჯერ კიდევ დინასტიურად დიქტატორული რეჟიმების მოქმედების გამო, როცა არ არსებობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული და ეკონომიკური გარემოს ეფექტიანი კონკურენციული საფუძვლები, ხოლო გამოცხადებულია სახალხო კეთილდღეობა (რა თქმა უნდა მოჩვენებითი) და ბაზრების შესახებ ინფორმაციის წვდომისა და დოვლათის განაწილების გამჭვირვალე მექანიზმები (რა თქმა უნდა ასევე მოჩვენებითი და დეფორმირებული), რეალურად, ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის უმდაბლეს დონეებს ავლენენ, მაშინ, როცა, ამ ქვეყნებიდან ემიგრირებული ნიჭიერი მოსახლეობა, ცივილურ ქვეყნებში საუკეთესო პარამეტრებს აღწევს.

ცხოვრების ხანგრძლივობის სპეციფიკური არაეკონომიკური ფაქტორებიდან საჭიროა აღინიშნოს ეკოლოგიური გარემოებანი (წყალი,

ჰაერი, კვების პროდუქტები, ზომიერი ტემპერატურა, ბუნების სხვა რაციონალური ანუ არაექსტრემალური პირობები), მოსახლეობის ორგანიზებულობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა და სხვა.

საქართველოს სინამდვილისათვის ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საუკეთესო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია ადამიანის ბედნიერი არსებობისათვის და ჩვენმა მოსახლეობამ, თავისი ღვთისნიერი ბუნებითა და ორგანიზებულობით, ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მაგალითებიც უნდა აჩვენოს. აღნიშნულის პოტენციალი არსებობს და, ძალზე კარგია, რომ მის დაკვირვებასა და გაუმჯობესებაში მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებაცაა დაინტერესებული.

იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იღონოს მთავრობამ ამ მიმართებით მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის. უმთავრესად, მთავრობამ უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაბუთებული და მეწარმეების მიმართ არამოჩვენებითი და კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკისა და ქვეყნის ეკონომიკის რეკლამირების გზით, ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება ეფექტიან უპირატესობათა დამატებითი სტიმულირებისათვის და მიღებული შემოსავლების გონივრული განაწილება უმუშევართა და ავადმყოფთა დასახმარებლად ისე, რომ ამან არ ავნოს ეფექტიანობის შემდგომ მატებას. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, თანამედროვე სოციალურ პროექტებში ცალკეულ პროგრესულ საერთაშორისო გამოცდილებათა (აშშ, ინგლისი, გერმანია, რუსეთი) ინტეგრირებით საქართველოში შემოდებული საყოველთაო დაზღვევის სისტემა აღნიშნულისათვის თვალსაჩინო გონივრული მაგალითია.

გლობალიზების თანამედროვე პირობებში, აუცილებელი ხდება საერთაშორისო აუდიტი ეკონომიკურ პროცესებზე, ვინაიდან, ბუნებრივია, ეკონომიკურად ძლიერ ქვეყნებსაც კი არ ძალუძთ გაუმკლავდნენ სხვადასხვა არაკეთილსინდისიერ მეწარმეთა საერთაშორისო

გაერთიანებებს. ასევე, ჩემი აზრით (არაიმიტომ, რომ პირადად ვარ დაინტერესებული, არამედ, ჭეშმარიტად შემტკივა გული და ვხედავ, რომ ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე მსოფლიოსათვის), განსაკუთრებული საერთაშორისო აუდიტი ესაჭიროება მეცნიერთა უფლებების დაცვას, ვინაიდან, სწორედ ეს ადამიანები განაპირობებენ მსოფლიო პროგრესს და, სხვადასხვა ეპოქის წარმატებული იშვიათი ქვეყნების გარდა, სადაც მეცნიერების მასტიმულირებელი ხელშეწყობა ჭეშმარიტად სამაგალითოა, მათი უფლებები მნიშვნელოვანწილად შელახულია.

§3. გლობალიზების ერა და საერთაშორისო მენეჯმენტის სპეციფიკური საფუძვლები

დედამიწის დასაბამი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5508 წლიდან იწყება [1]. მას შემდეგ, ლოკალური ბაზრების ჩამოყალიბების პროცესი აფრიკისა და აზიის დიდი მდინარეების სანაპიროებთან ჩაისახა, თანდათან ევროპის მიმართულებით შავი და ხმელთაშუა ზღვების მიმართულებებით გავრცელდა და, საოკეანო მოგზაურობებით ამერიკის აღმოსავლეთისა და ინგლისის ე.წ. სამრეწველო რევოლუციის შემდეგ, ზემოხსენებული ლოკალური ბაზრების ერთიანი გლობალური ეფექტიანი ურთიერთკავშირების პროცესებში გადაიზარდა.

კომპიუტერული ინტერნეტქსელის ამოქმედებამ დაასრულა მსოფლიო ბაზრის ფორმირების პროცესი, როცა მსოფლიო, შეიძლება ითქვას, ერთიან

დიდ მეურნეობად იქცა და პოლარულად დაშორებულ დაინტერესებულ სუბიექტებთან მსოფლიოს ნებისმიერი ადგილიდან და კოსმოსიდანაც კი შესაძლებელია საბაზრო გარიგების ოპერატიულად განხორციელება.

საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დისკუსიები არ ცხრება კაცობრიობის ისტორიის მრავალმილიონიანობის შესახებ, თუმცა, ჩვენი ღრმა რწმენით, კაცობრიობა მხოლოდ 7521 წელს ითვლის [დასახელებული წყარო], რომელშიც, ჩვენი დაკვირვებით, შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური განვითარებისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი გლობალური ციკლები:

1. კაცობრიობისათვის ცნობილი პირველი ე.წ. მეგაპოლისის გაჩენა – ბაბილონი (დაახლოებით 3 ათასი წლის წინ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე–10 საუკუნე);
2. რომის ე.წ. მეგასახელმწიფოს მომძლავრება – ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისი;
3. აღმოსავლეთ აზიის მეგასახელმწიფოების (ჩინეთი, ინდოეთი, მონღოლეთი) დაწინაურება – ჩვენი წელთაღრიცხვის მე–10 საუკუნის მახლობლობაში, როცა ცხოვრების დონე ამ სახელმწიფოებში ბევრად აღემატებოდა დასავლეთევროპულ დონეს;
4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა მე–2 მსოფლიო ომის შემდეგ აშშ–ს ტერიტორიაზე და გლობალური ინტერნეტქსელი – ჩვენი წელთაღრიცხვის მე–20 საუკუნე, როცა უკვე დასავლეთის უპირატესობაა აშკარა.

ჩემი აზრით, ზემოხსენებულ პერიოდიზაციაში თვალნათლივ

ვლინდება ყოველ ათ საუკუნეში მნიშვნელოვანი გლობალური (კონტინენტალური) ეკონომიკური ცვლილების დინამიკა.

კონტინენტებისა და ცალკეული ქვეყნების ფარგლებში, ბუნებრივია, სხვადასხვა სიხშირისა და ამპლიტუდის უფრო მცირე ბიზნეს-ციკლები შეიძლება მოქმედებდეს (საშუალოდ ყოველი ორი თაობის შემდეგ - დაახლოებით საუკუნეში ორჯერ), რაც განსხვავებული ორიგინალური ინტერპრეტაციებით არის აღწერილი ი. შუმპეტერის [6], ს. კუზნეცის [7], ნ. კონდრატიევის [8], კ. ჯაგლარის [9] და ი. კიჩინის [10] მიერ.

ყოველი ბიზნესი და მისი მენეჯმენტი, თავისი ბუნებით, წარმოუდგენელია არ იყოს საერთაშორისო - მხოლოდ ეროვნულ რესურსებსა და მოთხოვნებზე ორიენტირება არასდროს ხდება, თუმცა, ბიზნესი, რომელიც არსებითად (როცა საქმიანობის უმეტესობა უცხოურ ბაზრებზეა ორიენტირებული) გადადის საერთაშორისო ურთიერთობებზე, საერთაშორისო ბიზნესად იწოდება, რომელიც თვისობრივად ახალ უნარებს მოითხოვს სახელმწიფოებისა და მათი რეგიონების განსხვავებულ გარემოებათა მრავლობის გამო.

საერთაშორისო მენეჯმენტი სხადასხვა ქვეყნის ეკონომიკურ (მ.შ. ბუნებრივი რესურსების, დემოგრაფიულ, კულტურულ, საგანმანათლებლო და სხვ) უპირატესობათა ხედვისა და გამოყენების ხელოვნების უფრო დახვეწილ მეთოდებს უნდა ფლობდეს ბიზნესის წარმოებისათვის ინფორმაციის მოპოვების, აღრიცხვის, განზოგადების, პროექტირების (დაგეგმვის), შექმნის (ორგანიზების), ფუნქციონირების კონტროლისა და

მიმდინარე რეგულირების (მ.შ. მოტივაციის) შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. გასათვალისწინებელია, რომ საერთაშორისო ბიზნესში ჩართულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებში შეინიშნება ცალკეული სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მონაწილეობის ტენდენციებიც წილების, აქციების, სუბსიდიებისა და შეღავათიანი კრედიტების ფორმით.

ბიზნესის მართვის პროცესის გლობალურად გააზრებასთან ერთად, საერთაშორისო მენეჯმენტის განსხვავების დისკუსიურ საკითხსაც მინდა შევეხო საერთაშორისო ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო მეწარმეობის მართებულად გაგების მიმართებაში - კანონმდებლობების ჰარმონიზების მიუხედავად, განსხვავებები შეხედულებებსა და მოქმედების პრინციპებში ჯერ კიდევ არსებობს. ჩემი აზრით, საერთაშორისო მენეჯმენტი საერთაშორისო ბიზნესის მართვის ხელოვნებაა - ანუ მენეჯერული შრომის ყველა იმ შემოქმედებითი უნარების ერთობლიობა, რაც მენეჯერს უნდა გააჩნდეს დაგეგმვის, ორგანიზებისა და ეფექტიანი რეგულირების შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ადმინისტრირება კი ამ გადაწყვეტილებების მიღებისათვის საჭირო ინფორმაციულ-სტატისტიკური ბაზის მოპოვების, მოწესრიგებისა და კონტროლის პროცესია, რომელიც მენეჯმენტის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ სპეციფიკურ ცოდნას მოითხოვს.

საერთაშორისო მეწარმეობის გაგებისათვის, საჭიროა აღინიშნოს, რომ ქართულ საკანონმდებლო სივრცეში, ჯერ-ჯერობით ტოლობის ნიშანია

ბიზნესისა და მეწარმეობის სამართლებრივ გაგებაში, თუმცა, აქაც გარკვეული განსხვავებები შეიძლება შევნიშნოთ ქართველი და საზღვარგარეთელი სპეციალისტების შეფასებებში. ჩვენი გაგებით, მეწარმეობა ბიზნესის მაღალგანვითარებული გამოვლინებაა, რომელშიც არსებითად მატულობს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მეცნიერებატევადობისა და, შესაბამისად, ინოვაციური ინვესტიციების დონე.

საერთაშორისო ინვესტიციების ბაზარი, შეიძლება ითქვას, მაქსიმალურად ზრდის ინვესტიციების მიღების პოტენციურ შესაძლებლობებს, მაგრამ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტს უნდა ახსოვდეს, რომ ინვესტორი საკუთარ სარგებელზე ფიქრობს უპირველესად და, გარკვეულ შემთხვევებში, აღნიშნულს ინვესტიციების მიმღებისათვის ზიანის მიყენების გზითაც კადრულობს. მენეჯერი სწრაფად უნდა ერკვეოდეს სიტუაციებში და აფასებდეს სიტუაციას, როცა შიდა და გარე ინვესტიციების თანაფარდობა მეტწილად მხოლოდ 4:1-თან თანაფარდობის მახლობლობაშია და გრძნობდეს შესაძლებლობებს, როცა მეტად რისკიანი პირდაპირი ვენჩურული ინვესტიციები 2:1-თან და 1:1-თან თანაფარდობაზეც შეიძლება წამოვიდეს.

სხვადასხვა ქვეყანაში ბიზნესის წარმოებისას, საერთაშორისო მენეჯმენტის გონიერება საგადასახადო კანონმდებლობებისა და სავალუტო ბაზრების განსხვავებებიდან დამატებითი შემოსავლების მიღებაში გამოიხატება. თუ მენეჯმენტი, განსაკუთრებით ხელსაყრელი სხვადასხვა გარემოებების გარეშე, ბიზნესის გაფართოებას მაღალი საგადასახადო

ტვირთის ქვეყანაში გადაწყვეტს ან ფინანსურ რეზერვებს მეტად ინფლაციურ ვალუტაში დააგროვებს, ბუნებრივია, დამატებითი შემოსავლების ნაცვლად, დამატებით ხარჯებს იგემებს.

იმ შემთხვევაში, როცა ბიზნესი ხელსაყრელ საგადასახადო და სავალუტო გარემოში ფუნქციონირებს, საერთაშორისო მენეჯმენტის ხელოვნების როლი ზომიერი ეფექტიანი რეკლამით ინვესტიციების მოზიდვაში უნდა გამოიხატოს.

საერთაშორისო მენეჯერი განსაკუთრებით უნდა გრძნობდეს საგადასახადო ჩათვლებისა და კრედიტების გამოყენების საჭიროებას და მხოლოდ იქ, სადაც მომგებიანი იქნება, ოპერატიულად იყენებდეს საგადასახადო კრედიტებსაც.

საერთაშორისო ბიზნესში, საკუთარი ბიზნესის უპირატესობების საზღვარგარეთული ბიზნესის უპირატესობებით გაფართოებასთან ერთად, ბუნებრივია, საკუთარი ქვეყნის წინაშე მორალური პასუხისმგებლობაც მატულობს. განსაკუთრებულად მაღალზნეობრივ (გააზრებულ, თავაზიან) დამოკიდებულებას მოითხოვს ბიზნესაქტიურობა განსხვავებული რელიგიური მრწამსისა და კულტურული ტრადიციების ქვეყნებში, ვინაიდან, გამოუცდელობით გამოწვეულმა ყოველმა გაუაზრებელმა მოქმედებამ, შესაძლოა, სავალალო ზიანი მიაყენოს პოლიტიკურ ურთიერთობებს ქვეყნებს შორის.

საერთაშორისო (გლობალური) მენეჯმენტის მორალური პასუხისმგებლობა, მოქმედების მასშტაბებიდან გამომდინარე, უფლის

ობიექტური ნების (ფაქტორის) მართებულად გააზრებას უნდა ეფუძნებოდეს უპირველესად.

ციკლორობის მიუხედავად, კაცობრიობა, საბოლოო ჯამში, ეკონომიკურად ვითარდება და ამის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველი ადამიანთა საზოგადოების ტექნოლოგიურ-ეკონომიკური მოწყობის ევოლუციაა. აღნიშნულ პროცესებზე, ბუნებრივია, გარკვეული სუბიექტური (მ.შ. სოციალური და ინდივიდუალური) ფაქტორებიც [2] მოქმედებს, მაგრამ სიღრმისეული მიზეზი - ობიექტური ნებაა, რის ახსნასაც, შეძლებისდაგვარი თანმიმდევრობით, ვეცდები ამ მეტად აქტუალურ საერთაშორისო მენეჯმენტის საკითხზე ჩემს წარმოდგენილ კვლევაშიც.

საკითხის განხილვისას, რა თქმა უნდა, საზოგადოების ინსტიტუციონალურ საფუძვლებსაც უნდა შევხვით. დირექტიული დაგეგმვის სისტემის ყოფილი ათეისტური სახელმწიფოს დაშლის შემდეგ, ზოგმა „რეფორმატორმა“, საერთაშორისო იმიჯის მოსაპოვებლად, რატომღაც გადაწყვიტა ხელაღებით დაპირისპირებოდა ყველაფერს, რაც კი სახელმწიფოს ახლავს, მ.შ. სახელმწიფო საკუთრებასა და უკვე უპირატესად რეკომენდაციული (ნაკლებდირექტიული) ხასიათის დაგეგმვას. არადა, უფალმა სახელმწიფო იმიტომ შექმნა, რომ თავისი გარკვეული ადგილი ჰქონოდა ყოველთვის. ეკონომიკის განვითარებისა და მსოფლიო მეურნეობაში განსაზოგადოების ხარისხის ზრდასთან ერთად კი, სახელმწიფოს როლიც მნიშვნელოვნად მატულობს (ჩემი მოსაზრებით, ეს

როლი გარკვეულ ზღვარზე წონასწორულად გაჯერდება, შემდგომშიც, ბუნებრივად შესაძლო რხევების შესაძლებლობის შენარჩუნებით).

სახელმწიფოს როლი, ბუნებრივია, მატულობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და, შესაბამისად, ბიზნესის „ფიქრის სისწრაფით“ განვითარების მოთხოვნებიდან და მოტივებიდან გამომდინარეც [3, 4, 5], ვინაიდან მნიშვნელოვან სფეროებში, მხოლოდ მაღალზნეობრივმა სახელმწიფომ და სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობამ შეიძლება დააფინანსოს ადამიანებისათვის აუცილებელი ძვირადღირებული გრძელვადიანი პროექტები, რასაც მოკლევადიან პერიოდში მოგება არ მოაქვს და კერძო სექტორი არ და ვერც შეხედავს მის დაფინანსებას. არადა, ხშირ შემთხვევაში, შესაძლებელია, რომ საზოგადოებასა და მისი ცხოვრების დონის განმაპირობებელ მეცნიერულ პოტენციალს სწორედ ასეთი დარგები სჭირდებოდეს განსაკუთრებით. მაგალითისათვის, მძიმე და ჯერ-ჯერობით უკუჩვენებელ დაავადებებთან ბრძოლის გლობალური მნიშვნელობის სამეცნიერო-ტექნიკური პროექტები, კოსმოსური კვლევები, სტრატეგიული თავდაცვითი სამხედრო იარაღის წარმოება და სხვა.

ზემოხსენებულთან დაკავშირებით, პოსტკრიზისულ მსოფლიოში ეკონომიკის ზნეობრივი და სოციალური ფაქტორების აქტუალობას მისი უკიდურესი მოწინააღმდეგეებიც კი აღიარებენ. შესაბამისად, ჩვენი აზრით, სულ უფრო აქტუალური გახდება ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების გააზრება, ვინაიდან, მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით დანახულმა

„ეკონომიკურმა კანონზომიერებებმა“ კაცობრიობა ურთულესი პრობლემების ჩიხში შეიძლება შეიყვანოს.

რწმენის საკითხებზე არ კამათობენ და, ჩემი ურყევი რწმენით, აღდგომის სანთლები და ბევრი სხვა სასწაული თვალსაჩინოდ მეტყველებს უფლის არსებობასა და ქრისტიანული საფუძვლების მნიშვნელობაზე, მათ შორის ადამიანების მიწიერი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანეს მსოფლიო ეკონომიკაშიც.

პროფესიულად ეკონომიკისა და მართვის საკითხებზე ვმუშაობ უკვე კარგა ხანია და მიღებული გამოცდილებით, ვფიქრობ, ძალზე მნიშვნელოვანი დასკვნა ყალიბდება - უკიდურესად ცუდია, როცა ადამიანს მანიაკალურად უნდა მმართველობა (სხვა ადამიანზე და უფრო მეტიც - ხალხებზე უფროსობა) - ეს ადამიანი ამპარტავანია და, როგორც ვიცით, ძალზე მძიმედ დაისჯება უფლის მიერ, ამიტომაც, ადამიანს მხოლოდ უფლის სიყვარულით კარგ მამასავით (ან დედასავით) უნდა უნდოდეს სხვებზე უფროსობა და ამისათვის თავდადებაც შეეძლოს - მხოლოდ ასე შეერგება მას მართვისას მიღებული შემოსავალი.

ინტერნეტსა და პერიოდიკაში გამოქვეყნდა ჩემი რამდენიმე შრომა ქრისტიანულ-ინსტიტუციური საფუძვლების მნიშვნელობის შესახებ [37, 40, 43] ეკონომიკის განვითარებისათვის და წარმოდგენილი წიგნის პრინციპიალური საფუძველი, უპირველესად, უფლის სასწაულებს - ობიექტურ ნებასა და მის კანონზომიერებებს მინდა დავუკავშირო საერთაშორისო პრაქტიკის სხვადასხვა გამოვლინებაში.

გლობალური ეკონომიკის ქრისტიანული საფუძვლების კვლევა ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა გახდეს. ეკონომიკის სტიმულების მხოლოდ მატერიალური თვალთახედვით გააზრება, როგორც აღინიშნა, არასაკმარისი აღმოჩნდა და სტრუქტურული ფაქტორების გააზრებისას, არასრულფასოვანი ეკონომიკური ზრდის სულიერ მიზეზებზეც უნდა დავფიქრდეთ. გლობალურად, ეკონომიკა მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილებისა და გადანაწილების სფეროა, თუმცა, აღნიშნული სფეროს სუბიექტური მატერიალური მექანიზმების არასრულფასოვნების გამო, მსოფლიოში ეკონომიკური სიმდიდრის ზრდის მიუხედავად, სიღარიბეც რატომღაც მატულობს. ამდენად, არ უნდა დაგვავიწყდეს და პროფესიულ (მეცნიერული მიდგომით) დონეზე უნდა გავიაზროთ, რომ საერთაშორისო ბიზნესსაც, როგორც სამყაროს მთლიანად, სულიერი საფუძვლები წარმოშობს. ამჯერად, შევჩერდები ამ საფუძვლების მხოლოდ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე.

ჩემი მოსაზრებით, გლობალური ეკონომიკური ციკლების სასწაულში გარკვეული სპეციფიკა მინდა დავინახო ბუნების (მ.შ., მაგალითად, წელიწადის დროების) ციკლურობასთან (ზუსტ განმეორებადობასთან დღე-ღამისა და ზამთარ-ზაფხულის მონაცვლეობაში, რაც მხოლოდ ზებუნებრივი ძალებით შეიძლება აიხსნას) შედარებით. ეკონომიკურ ციკლებს სრულებით შემთხვევითი სუბიექტები (ადამიანები და არა, ერთი შეხედვით, ზებუნებრივი ძალა) წარმოშობენ, მაგრამ ციკლები მაინც

კანონზომიერად ვლინდება - ხანგრძლივ ზრდას გარკვეული ვარდნა მოჰყვება, შემდეგ ისევ ზრდა და ა.შ., მაგრამ ეკონომიკურ ციკლორობას, ბუნების ციკლორობისაგან განსხვავებით, ახასიათებს არაიდენტური, არამედ საფეხურებრივი განმეორებადობა ახალ (მზარდ) სიმაღლეზე, რაც, კრიზისების მიუხედავად, საბოლოო ჯამში, განსხვავებული ეპოქის ადამიანის ცხოვრების დონის მატებით (გაუმჯობესებით) არის გამოხატული.

თუ ბუნების კანონები ადამიანისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და ეს ჩვენში გაკვირვებას არ იწვევს, ადამიანთა საზოგადოების საფეხურებრივი ეკონომიკური კანონზომიერებანი ხომ, ერთი შეხედვით, სხვადასხვა ქვეყანაში ადამიანთა სრულებით შემთხვევითი თაობების მიერ ყალიბდება, მაგრამ ეს ასე არ არის - აქაც უფლის ხელი ურევია და, გვინდა თუ არა, მრავალი შემთხვევით სუბიექტის მიერ გამოწვეული და სხვა კრიზისული ციკლის მიუხედავად, საბოლოო ჯამში, ადამიანთა მწარმოებლურობის ზრდის ობიექტური კანონზომიერება, მაგალითისათვის, განუხრელად მოქმედებს, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრება უმჯობესდება, რაშიც, უფლის ნებით, ერთ-ერთ მთავარ მამოძრავებელ იმპულსად საერთაშორისო კონკურენტული წინააღმდეგობები გვევლინება.

ვფიქრობ, გლობალური ეკონომიკური პროცესების ქრისტიანული საფუძვლების გასააზრებლად ნიშანდობლივია იაპონელი მეცნიერის იამამოტო ჰიროუკეს კვლევა, რომელმაც, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად, დაადგინა, რომ გლობალურ მარშრუტებზე გადამფრენი ჩიტების

გუნდს, ხშირ შემთხვევაში, მეთაურად ახალდაბადებული ფრინველი მიუძღვის, რომელიც მხოლოდ გადაფრენის წლის ზაფხულში იბადება და, რომელმაც, ბუნებრივია, არ შეიძლება იცოდეს გადაფრენის გზის ახალი პოზიციები და ტრადიციული მარშრუტი, თუმცა ის ამას (მეთაურობას) უშეცდომოდ ახერხებს [40].

გლობალური ეკონომიკური პროცესების ქრისტიანული საფუძვლების გასააზრებლად ნიშანდობლივია ქრისტიანული შედეგების მაგალითიც (სასწაულმოქმედი ხატები და სხვა სიწმინდეები), მათზე გაწეულ "ეკონომიკურ" (მატერიალურ) ხარჯებთან შედარებით უსასრულოდ დიდ სარგებლიანობას იძლევიან კაცობრიობისათვის და, შესაბამისად, განუსაზღვრელად დიდია მათი ფასი. ბუნებრივია, ადამიანური აზროვნების ფარგლებს სცილდება ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენების ღვთის ნებით განპირობებული მაქსიმალური საზღვრის შეცნობა და მიმდინარე მიღწევები ხშირად პარადოქსულ მოვლენებს აფიქსირებს და დიამეტრალურად ცვლის შემდგომი მოქმედების მიზანდასახულობებსაც. გლობალური ეკონომიკისათვის ფასების ფარდობითობასთან, ანუ, ჩვენი განსაზღვრებით, მიმდინარე ხარჯებთან შედარებით არსებითად დიდ შედეგიანობასთან გვეკონდა საქმე, მაგალითისათვის, თანამედროვე კომპიუტერის გამოგონების შემთხვევაში [37, გ. 25-26].

ალბერტ აინშტაინის ფარდობითობის თეორიის შემთხვევაში, რომელმაც პრაქტიკულად დიამეტრალურად შეცვალა მანამდე არსებული

მიდგომები მსოფლიო მეცნიერებაში (რაც დღემდეც ბოლომდე ჯეროვნად ამოუცნობია), განისაზღვრება, რომ მატერიის მასა მნიშვნელოვნად (რ.ლ.:უსასრულობამდე) იზრდება სინათლის სიჩქარესთან მიახლოებული დიდი სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში [40].

სამწუხაროდ, ზოგიერთი თვლის და საკმაოდ მასშტაბურად ცდილობენ დაასაბუთონ, რომ საერთაშორისო მენეჯმენტი და ეკონომიკური მეცნიერება საერთოდ არ არის საჭირო და მნიშვნელოვანი პრაქტიკისათვის. ფიზიკის ეს აღმოჩენა ატომური ენერჯის განსაზღვრასაც უკავშირდებოდა და, ბუნებრივია, მისდამი ინტერესი საკმაოდ დიდი იყო. სხვა დარგის მეცნიერებიც არანაკლები მნიშვნელობის კვლევებს აწარმოებენ, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა ეპოქებში შეუმჩნეველნი რჩებიან, ისევე, როგორც მრავალი ღვაწლმოსილი (თავდავდებული) სასულიერო მოღვაწე. უდიდეს პატივს მოვაგებ სპორტს და დამსახურებულ სპორტსმენებს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ სპორტსმენის საშუალო ანაზღაურება მსოფლიოში დღეს ბევრად აღემატება მეცნიერის შემოსავლებს, რაც თავად სპორტზეც უარყოფითად აისახება. აინშტაინის დარი აღმოჩენები ფიზიკაში და საერთოდ მეცნიერები და მათ შორის მეცნიერ-ეკონომისტების საჭიროება და მნიშვნელობა თუ გადავაფასეთ, საერთაშორისო მენეჯმენტის მხოლოდ პრიმიტიული ანგარიშიანობის არაშორსმხედველი და საბოლოოდ დიდი ცდომილებების საგანი გახდება. თუმცა, საერთაშორისო მენეჯმენტის მეცნიერული დისციპლინის დაფასება, ბუნებრივია, არ ნიშნავს, რომ

ელემენტარულიდან (მცირე ობიექტები და შედარებით მარტივი შრომის სფეროები) რთულისაკენ საფეხურებს არაკეთილსინდისიერად მოვექცეთ.

ჩემი აზრით, ალბერტ აინშტაინი [19] განსაკუთრებული მასშტაბების მსოფლიო გენიოსია, რომელიც, მისი, როგორც შესაბამისი ეპოქის ადამიანის, აზროვნების შესაძლებლობათა ფარგლებში, უპირველესად, უფლის მოქმედებას ხედავდა გენიალურად. მან, არსობრივად შეცვალა რა ნიუტონის კლასიკური მექანიკის მიდგომები, მაინც თავმდაბლად აღნიშნავდა ნიუტონის თეორიის დიდ მნიშვნელობასაც, რომელიც, ფაქტიურად, მხოლოდ მიახლოებას წარმოადგენდა აინშტაინის ფარდობითობის თეორიასთან მცირე სიჩქარეებით მოძრაობის პირობებში. აინშტაინის თეორიის არგუმენტაციით, მასა ისეთივე ფარდობითი სიდიდეა, როგორც სიჩქარე, დრო და მანძილი. ასეთივე ფარდობითია საერთაშორისო ფასიც ეკონომიკაში და, ამდენად, მისი მხოლოდ დანახარჯებზე (დროით თუ მატერიალურ) პრიმიტიული დაყვანა, დიდ ცდომილებებთან მიგვიყვანს საბოლოო ჯამში. ამასვე ადასტურებს აღნიშნული მცირე დანახარჯებით შექმნილი სასწაულმოქმედი ხატების შეუფასებელი ზოგადსაკაცობრიო სარგებლიანობის გააზრებაც.

უფლის მიერ მონიჭებული აბსოლუტური და შედარებითი უპირატესობების შესაბამისად, ის რესურსები, რაც ქვეყანაში უხვადაა და ხარისხიანობითაც გამოირჩევა, საერთაშორისო ბიზნესის არხებით, ბუნებრივია, მეტად უნდა გადიოდეს ექსპორტზე. ამასთანავე, ამ რესურსების დიდი ნაწილი, რომელიც შესაძლებელია და მიზანშეწონილი,

რომ გადამუშავდეს ადგილზევე, აქვე უნდა მივცეთ დასრულებული პროდუქციისა ან მომსახურების სახე და ისე შევთავაზოთ უცხოელ პარტნიორებს. ელემენტარულია, რომ ამგვარი ბიზნესით, ქვეყნის სავალუტო შემოსულობები და რეზერვები მეტად გაიზრდება და ადგილზეც მეტი ადამიანი დასაქმდება, რაც მრავალ ეკონომიკურ საკითხს გადაწყვეტს და, საერთო ჯამში, მსოფლიო ეკონომიკაზეც კეთილისმყოფლად იმოქმედებს.

რაც შეეხება იმპორტის მიმართ საზოგადოებაში დამკვიდრებულ გარკვეულ მცდარ საყოველთაო უნდობლობის პოზიციას. მართალია, იმპორტის შემოდინებით, ქვეყნიდან ვალუტა გაედინება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპორტი არ გვჭირდება. ყველაფერში ერთნაირად კარგები ვერ ვიქნებით და ის, რაც მწვავედ დეფიციტურია ჩვენში, ბაზარი მყისიერად შეამჩნევს და ასეთი იმპორტი გვჭირდება. თუმცა, ბაზარს ახასიათებს ალოგიკური მოვლენებიც და თაღლითებიც მრავლად ბუდობენ აქ. ამდენად, სახელმწიფოს კომპეტენტურმა ხელმა, საჭიროა, დაინახოს „საერთაშორისო“ ბიზნესით იმპორტის ის მიმართულებები, რომლებიც ცდილობს მოტყუებით განდევნოს ადგილობრივი მწარმოებელი ბაზრიდან.

თანამედროვე საქართველოში, მაგალითისათვის, ასეთმა იმპორტმა საყოველთაოდ ცნობილი და აღიარებული ტრადიციული ქართული სოფლის მეურნეობაც კი საგანგაშოდ დაამარცხა. საბაზრო რეფორმების დასაწყისშივე აღვნიშნავდი, რომ ყოფილ ე.წ. „წითელ“ კოლმეურნეობებშიც იყო რაციონალური მარცვალი და კოოპერაციის დადებითი მუხტი (რაც

დიდ ინვესტიციებზე უფრო მნიშვნელოვანიც კია) აუცილებლად უნდა შეგვენარჩუნებინა ადგილობრივი ბაზრის გადასარჩენად (ადგილობრივ და საერთაშორისო კოოპერაციას სოფლად განვითარებული ქვეყნებიც ხომ უხვად იყენებენ), მაგრამ, მაშინ გადასძლია მხოლოდ „ახლის“ მაძიებელი არასპეციალისტების მოქმედებამ. მახარებს, რომ კოოპერაციისათვის სტიმულების მნიშვნელობას ახლა ბევრი გონიერი პროფესიონალი იზიარებს, რომ მხოლოდ ასე შეიძლება აღდგეს ჩვენი სოფლები და ხეებზე და სავარგულებში ხილი არ დაგვილპეს და ეფექტიანად ავითვისოთ დიდი ხანია მოუვლელი და, ხშირ შემთხვევაში, ფაქტიურად ჯერ კიდევ უპატრონო მიწები, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მოუგვარებელია არსებითი სოციალური პრობლემები - დიდია უმუშევრობა და ბევრია უსახლკარო და უმიწა-წყლო ადამიანი.

ამასთანავე, ძალზე ყურადსაღებია, რომ ახალი ტექნიკის ცოდნის თვალსაზრისით არაპროფესიონალმა მომხმარებელმა, რომელიც ბაზარზე უმრავლესობას წარმოადგენს, შეიძლება ვერ შეამჩნიოს ის პროგრესული უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც საერთაშორისო ბიზნესის არხებით მოძრაობს და სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკაში მრავალი წლის შემდეგ გამოიღებს სასურველ შედეგს. ამდენად, პროგრესული ტექნოლოგიების იმპორტის ბიზნეს-გარემო სახელმწიფოს უპირველესი ხელშეწყობის საგანი უნდა გახდეს.

§4. საერთაშორისო კონკურენცია და კონკურენტულობის

აუდიტის მეთოდები

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენცია ცალკეული ქვეყნების ცხოვრების დონის ზრდისა და, შედეგად, კაცობრიობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ის დიდ და მცირე ერებსა და ადამიანებს აიძულებს მეტად მობილიზებულნი იყვნენ მოქმედებებში, რაც მათ პროდუქტიულობასაც არსებითად ამაღლებს. შესაბამისად, პრიორიტეტულად საერთაშორისო და, ამასთანავე, ადგილობრივი ბაზრების კონკურენტულობის დონის შეფასებასა და სისტემატურ აუდიტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კეთილდღეობის საჭირო მატებისათვის მსოფლიოში.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბიზნესში მომრავლებული სტრატეგიული ალიანსების შექმნის ერთ-ერთ მთავარ მიზანს საერთაშორისო კონკურენციის დაძლევა და ზოგიერთი სახელმწიფოს შიდა ბარიერიერების ალიანსების გზით დაძლევა წარმოადგენს. ალიანსების გარკვეული ნაწილი ამას არაკეთილსინდისიერად აკეთებს, რის გაკონტროლებაც არცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს. გამომდინარე, საერთაშორისო კონკურენციის საერთაშორისო აუდიტი განსაკუთრებით პრიორიტეტულ საქმედ გამოიკვეთა გლობალიზების თანამედროვე ერაში.

სამწუხაროდ, საერთაშორისო კონკურენციას მთელი რიგი სირთულეებიც ახლავს, რაც, ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მცირე

ერებს თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე არ შეექმნას.

მსოფლიოში მიმდინარე კონკურენტულ პროცესებთან დაკავშირებით, უნდა დავაწყნაროთ გლობალიზების მოშიშრები, რომ გლობალიზების პროცესი უსასრულო არ იყო და მისი კონტურები უკვე შემოიხაზა ინტერნეტის შექმნასთან ერთად. მისი სივრცობრივი გავრცელების მასშტაბები ფაქტობრივად დასრულდა. მსოფლიო ერთი დიდი ოჯახია და ის ხომ ფართობით მეტად ვეღარ გაიზრდება. ვფიქრობ, აქ უპრიანი იქნება საქართველოს უშიშარი და უნიჭიერესი პატრიარქის - ილია II-ს მოსაზრების მოყვანა, რომელიც მასთან შეხვედრისას ბრძანა, რომ გლობალიზაციას არ უნდა შევუშინდეთ და, პირიქით, მისი უხვი სიკეთეები შესაძლოდ უნდა გამოვიყენოთ და გავამრავლოთ.

აქ ერთ მნიშვნელოვან გარემოებასც უნდა გაესვას ხაზი. ზოგი თვლის, რომ საერთაშორისო კონკურენციის შედეგად სხვადასხვა კავშირებისა და ქვეყნების რღვევაც უსასრულო პროცესია. არამც და არამც. როგორც ბუნებაში თანაარსებობენ დიდი და მცირე არსებები, ასევეა სახელმწიფოებრივ მოწყობაში. უბრალოდ, შესაძლებელია, რომ ქვეყანა, რომელიც რეაქციული ბუნებითა და ეკონომიკური დაკაბალებით თავს აბეზრებს დანარჩენ მსოფლიოს, ის აუცილებლად გაქრება უფლის მფარველობის არეალიდან. აქ ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ გაქრობის საფრთხე იმ მცირე ქვეყნებსაც ემუქრება, რომლებიც ვერ გამოიჩენს შეკავშირების უნარებს.

კონკურენცია (მ.შ. საერთაშორისო ბიზნესშიც) შეჯიბრია, რომელიც

ინსტიტუტურად იწყებს მოქმედებას ნებისმიერი ორი სუბიექტის ურთიერთობისას. ეს ინსტიტუტი აიძულებს ორივე სუბიექტს იყოს მეტად მოწესრიგებული, რათა გაიმარჯვოს ხსენებულ შეჯიბრში. ეს ინსტიტუტი მოქმედებს ოჯახის წევრებს შორისაც კი და რა თქმა უნდა საერთაშორისო დონეზეც - ნებისმიერ სხვადასხვა ქვეყანას შორის.

ცდება ის, ვინც ცდილობს ხელოვნურად (არაკეთილსინდისიერად) დათრგუნოს საერთაშორისო კონკურენცია ან ვერ ხედავს მის არსებობას. უფრო მართებულია ის, ვინც შეიცნობს ადამიანების ნებისაგან დამოუკიდებლად მოქმედ ამ ობიექტურ რეალობას და ცდილობს სასარგებლოდ გამოიყენოს მისი უპირატესობები და უმკურნალოს შესაძლო გართულებებს.

ობიექტური კონკურენცია დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე და, პირიქითაც, საერთაშორისო პოლიტიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს კონკურენციის თავისუფლების (არშეზღუდვის) ხარისხს. საერთაშორისო კონკურენცია, ბუნებრივია, გამწავების პერიოდებში ომებსა და კატასტროფებსაც იწვევს და სწორედ ამიტომაც აუცილებელი ამ პროცესების ღრმად გააზრება და შესაძლოდ მკურნალობა, მ.შ. საერთაშორისო აუდიტის სამსახურების მიერ.

ობიექტური კონკურენტული გარემო საერთაშორისო პოლიტიკაში ანუ ჭეშმარიტი დემოკრატია უზრუნველყოფს ისეთი პოლიტიკური სისტემის არსებობას, რომელიც ხალხების ნებასურვილს გამოხატავს, შეესაბამება ხალხების ხასიათებსა და განწყობილებებს და ადამიანების შესაძლოდ

საუკეთესო განვითარების პირობებსაც ქმნის.

საერთაშორისო ურთიერთობებსა და პოლიტიკაში კონკურენციის თავისუფლების ხარისხის გააზრებისას, ბუნებრივია, იბადება მეტად მნიშვნელოვანი კითხვა, თუ რამდენად უსასრულო და მიზანშეწონილია სახელმწიფოებისა და მათში ფუნქციონირებადი პარტიების რაოდენობის ზრდა, რაც, გვინდა, თუ არა, დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესზეც.

ჩემს მიერ წარმოდგენელი ეკონომიკური კონკურენციის ინდექსების სახით ჩაწერილი მეთოდოლოგიის (ე.წ. პირობითი თეორიული კანონის) მათემატიკური ალგორითმის მიხედვით [43], კონკურენციის მოქმედების ეფექტი მინიმალურია, როცა ერთპარტიულ სისტემასთან გვაქვს საქმე (მაშინ კონკურენციის დიდ წინაღობასთან - პოლიტიკურ მონოპოლიასთან გვაქვს საქმე ე.წ. პოსტკომუნისტური, ზოგიერთი თეოკრატიული და ტერორისტული რეჟიმების სახით). თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ პოლიტიკურ პარტიათა (ან საერთოდ სახელმწიფოთა) რიცხვის გადაჭარბებული რაოდენობა არანაკლებად ცუდ (ქაოსურ) შედეგს იძლევა და მრავალრიცხოვანი (ზედმიწევნით დაქსაქსული) და, ამდენად, მცირე წინააღობებით გამოწვეული კონკურენციის ძალის ძალზე მაღალმა მუხტმა, შესაძლოა, „მოკლე ჩართვის“ ეფექტის მსგავსად დამანგრეველად იმოქმედოს პოლიტიკურ სისტემაზე. გამომდინარე ხსენებულიდან, პოლიტიკური პარტიების (ან

საერთოდ სახელმწიფოთა) რაოდენობა ოპტიმალური უნდა იყოს და მათი თავისუფლება არ უნდა გულისხმობდეს ეროვნული თვითმყოფადობისა და გლობალური განვითარებისათვის ზნეობრივად შეუთავსებელი პარტიების დაწესების შესაძლებლობასა თუ სხვა მსგავსი სიტუაციების დაშვებას, რაც აუცილებლად უნდა იზღუდებოდეს კანონმდებლობით. მონოპოლიის წარმოქმნის პროცესებს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ არც ქაოსის დაშვება შეიძლება.

საერთაშორისო კონკურენციისა და ეფექტიანობის საკითხების შესწავლა საკმაო ხანია ჩემი დიდი ინტერესისა და დაკვირვების საგანს წარმოადგენს, რაც პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესების მხარდასაჭერად, ხსენებული ე.წ. პირობითი თეორიული კანონის სახით გამოვაქვეყნე და ევროკავშირის ფორმულირებაც განვაავითარე [დასახელებული შრომა], რომელიც, სპეციალისტთა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო წრეებში იქნა მანამდე აპრობირებული.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ძალის ინტეგრალური მოქმედების შეფასებისათვის, თავდაპირველად მიზანშეწონილია განისაზღვროს კონკურენციის ძალის ორი ინდექსი: პირველი ინდექსი $I_1 = U/R_1$, სადაც U – ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) საერთაშორისო ბაზრის ტევადობაა (მთლიანი წარმოება ან გაწეული მომსახურება), R_1 კი – ხსენებულ ბაზარზე ყველაზე მსხვილი მიმწოდებლის (შესაძლოა, პოტენციური მონოპოლისტის) წარმოებისა ან მომსახურების ოდენობა; მეორე ინდექსი $I_2 = U/R_2$ სადაც R_2 – არარეალიზებული წარმოება

ან მომსახურება, რომელიც, ძირითადად, მოთხოვნილებებთან და მოთხოვნასთან შეუსაბამო დაბალხარისხიანი ან, პირიქით, ზედმეტად ძვირადღირებული (სუპერფემენბელური) ან მონოპოლიურად გაძვირებული არასაჭირო (ჭარბი) წარმოების ან უშედეგო მომსახურების ოდენობაა, რაც, შესაძლებელია, გამოწვეული იყოს შედარებით დაბალი კვალიფიკაციის კადრებისა და დაბალი ტექნიკური დონის აპარატურის არსებობითაც, ასევე, სხვა გაუთვალისწინებელი ან მოულოდნელი გარემოებებით.

კონკურენციის ძალის კომპლექსური აუდიტისათვის მიზანშეწონილია ე. წ. ინტეგრალური კოეფიციენტით მონიტორინგიც:

$$K = N \times I_1 \times I_2,$$

სადაც N – საერთაშორისო ბაზარზე წარმოდგენილი ბიზნეს-სუბიექტების საერთო რაოდენობაა.

ზოგადად, თუ რამდენი უნდა იყოს N , I_1 და I_2 და, შედეგად, K , დაკვირვება უნდა, როგორც ქვედა, ასევე, ზედა ზღვარის მიმართულებებით, ბაზრის მეცნიერებატევადობისა და სხვა სპეციფიკური გარემოებებიდან გამომდინარე. ჩვენი გასაშუალებული პირობითი გაანგარიშებებით, N 10-ზე მეტი უნდა იყოს, I_1 და I_2 კი, შესაბამისად 2,5-3-ზე და 4-5-ზე მეტი. საჭიროა, გავითვალისწინოთ ბუნებრივი მონოპოლიების შესაძლო არსებობაც ზოგიერთ სუპერმეცნიერებატევად დარგსა და ქვედარგში, მ.შ. მსხვილ ენერგეტიკაში, კოსმოსური და მორფოლოგიური სადამკვირვებლო აპარატურის სისტემებში, მსხვილ მეტალურგიულ, მანქანათმშენებელ და

ქიმიურ ინდუსტრიაში, რომლებიც მცირე ქვეყნებსა და რეგიონებში, ბუნებრივია, მრავლად ვერ იქნება და საერთაშორისო და შიდა სახელმწიფო მეთვალყურეობას, მხარდაჭერასა და რეგულირებას მეტად საჭიროებს.

როცა კონკურენტულობის ხარისხის შეფასების სხვადასხვა მაჩვენებელი არასასურველ დონეებზე ფიქსირდება, აშშ-ში და ზოგიერთ სხვა განვითარებულ ქვეყანაში ანტიმონოპოლიური განგაშიც ტყდება. როგორც აღინიშნა, ერთ-ერთი ასეთი მაჩვენებელი (ჰერფინდალ-ჰირშმანის ბაზრის კონცენტრაციის ინდექსი HHI) შემოთავაზებულია განისაზღვროს, როგორც ბაზარზე ყველა მოქმედი მიმწოდებლის წილთა კვადრატების ჯამი, რომლის მიხედვით, საუკეთესო მინიმალური ზღვარის შემთხვევაში, უმსხვილესი ფირმის წილმა მთელი ერთგვაროვანი ბაზრის მესამედს არსებითად არ უნდა გადაამეტოს, რაც თითქმის ემთხვევა ჩვენი I1 ინდექსის მოთხოვნას.

ზოგადთეორიული პრინციპების სახით შესაძლებელია განვაზოგადოთ, რომ, რაც უფრო მეტია ერთგვაროვანი პროდუქციის (ან მომსახურების) საერთაშორისო ბაზარზე საერთო მიწოდება და მიმწოდებელთა რაოდენობა და ნაკლებია უმსხვილესი მიმწოდებლის (შესაძლოა, მონოპოლისტის) მიწოდება და არარეალიზებული პროდუქციის საერთო ოდენობა, მით მეტია საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის ძალის მნიშვნელობა და, შესაბამისად, უფრო თავისუფალია ხსენებული ბაზარი. შემოთავაზებული ეკონომიკური კონკურენციის პირობითი თეორიული კანონით შესაძლებელია ეკონომიკურად განვითარებული და

განვითარებადი ბაზრების თავისუფლების ხარისხებიც შევაფასოთ.

არარეალიზებული პროდუქციის სიჭარბე მიგვანიშნებს, დაბალი ფინანსური ტევადობის ბაზარზე იმ მონოპოლიების არსებობაზეც, ვინც ადვილად (არაკეთილსინდისიერად) მოიპოვა მონოპოლია ან მონოპოლიური მდგომარეობის ნიჭიერად მიღწევის შემდეგ, როგორც მონოპოლისტი, ზედმეტად ზრდის ფასებს მონოპოლიური ზემოგების მიღების მიზნით. ასეთი სიტუაცია მსხვილ საერთაშორისო ბაზრებზე იშვიათად შეიმჩნევა, თუმცა, აქ, მეტწილად არაკეთილსინდისიერ ფარულ ან ლეგალურ შეთანხმებებთან გვაქვს საქმე.

გასათვალისწინებელია გარემოებაც, როცა არარეალიზებული პროდუქცია შესაძლებელია ეკონომიკური ციკლის აღმავლობის ფაზის შედეგად ჭარბწარმოების კრიზისების დროსაც აღმოცენდეს და ამ შემთხვევაში მონოპოლიების ბრალეულობა შეიძლება ნაკლები ან საერთოდ არ იყოს. ასეთი ჭარბწარმოების დროს წარმოების ოდენობა სტიქიურად ზედმიწევნით გაზრდილია, მაშასადამე, წარმოების მატების დონეც დაკვირვებას და ოპტიმიზებას საჭიროებს საერთაშორისო მენეჯმენტის მხრიდან.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის შეფასების დიდი მნიშვნელობის ხაზგასმისათვის, აღვნიშნავ, რომ ჩემს ადრინდელ კვლევაში [37, გ. 31-34] ავსახე და, შემდგომი განვითარების მიზნით, შემდგომ შრომებში საუბარი მქონდა ფიზიკოსი გეორგ ომის ე. წ. დენის ძალის კანონზე, რომელიც, სიზმრად სასწაულებრივი ხილვის შედეგად, ე. წ.

ეკონომიკური კონკურენციის კანონის ინდექსებშიც გამოიხატა. სასწაულია და მორიგი ხილვის შემდეგ, ეს ინდექსები მათემატიკოსი მარტინ ომის ოქროს პროპორციას [40] დაუკავშირდა.

ოქროს პროპორციის შეხახებ ჯერ კიდევ პლატონიდან დაწყებული, კაცობრიობის მრავალ დიდ მოაზროვნეს უფიქრია. ცნობილია, რომ ოქროს კვეთა (ოქროს პროპორცია) გულისხმობს მთელის ისეთ დაყოფას ორ არატოლ ნაწილად, როცა მთელი ისე შეეფარდება დიდ ნაწილს, როგორც დიდი ნაწილი მცირეს. ეს პროპორცია დაახლოებით 1,62-ია (მიახლოებითი მნიშვნელობა იმიტომ მომყავს, რომ მისი ჩანაწერი უსასრულოა 1, 6180339...) და ის მთელს ყოფს ორ ნაწილად, რომელთაგანაც დიდი ნაწილი მთელის დაახლოებით 62%-ია, მცირე ნაწილი კი - მთელის 38%. ოქროს პროპორცია ფლობს უნიკალურ მათემატიკურ თვისებებს და ის ერთგვარი რაციონალური აგებულების საზღვრების საფუძველია ადამიანის პროპორციებსა თუ სხვადასხვა მნიშვნელოვან მეცნიერულ განგარიშებებში, მ.შ. არქიტექტურაში, გეოლოგიაში, კიბერნეტიკაში და ა.შ. [დასახელებული შრომა].

საერთაშორისო ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის, მიზანშეწონილია (არ ვარ კატეგორიული და, შესაძლებელია, გარკვეული გადაცდომებიც ექსტრემალურ სიტუაციებში), არ დაირღვეს ოქროს კვეთა (თანაფარდობა, პროპორციულობა) და ყველაზე დიდმა მიმწოდებელმა ბაზარზე არ უნდა გადააჭარბოს 38%-ს, შესაბამისად ბაზრის 62% (რაციონალური საფუძველი) მაინც საჭირო კონკურენტულობას უნდა

ინარჩუნებდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაზე დიდი მწარმოებელი მეტად და მეტად გამოავლენს მონოპოლიურ თავკომბალა მიდრეკილებებს, რაც საბოლოოდ საერთო ეფექტიანობის არსებით შემცირებაში გამოიხატება. საინტერესოა, რომ ამ საკითხებზე სხვა გზით გაანგარიშებული უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო კვლევებიც ამ პროპორციის მახლობლობაში აღნიშნავენ რაციონალურ თანაფარდობას (მაგალითად, აშშ თეთრის სახლის ადმინისტრაციის იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით განსაზღვრული არაკონცენტრირებული ბაზრების საზღვარი [18] - Unconcentrated Markets: HHI below 1500, როცა ყველაზე მსხვილი მიმწოდებელი ბაზარზე ფესვი 1500-დან (38,72983...) ანუ ბაზრის მაქსიმუმ დაახლოებით 38,7%-მდე შეიძლება ვრცელდებოდეს).

უფალმა განსხვავებული კლიმატური პირობები და რესურსული ბაზა დაუწესა ქვეყნებს და შესაბამისად ყალიბდება ეროვნული სახასიათო ქცევის წესები ეკონომიკაში. საყურადღებოა, რომ ისინი, ვინც არ არიან განებივრებულნი საუკეთესო კლიმატური პირობებით და ცხოვრობენ ცივ და ძალზე ცივ სარტყლებში ან სეისმურად აქტიურ ზონებში, იძულებულნი არიან მეტად მობილიზებულნი იყვნენ და, ხშირ შემთხვევაში, კონკურენტულობის დონის მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციებში, ვეცადე მომეპოვებინა მაქსიმალურად საჭირო მონაცემები, რათა გამოვავლინოთ კონკურენტუნარიანობის

ამაღლების ნიუანსები, რაც მისანიშნებელი უნდა იყოს ეკონომიკური პოლიტიკის დასაბუთებისათვის.

საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის არგუმენტირებული აუდიტისათვის, განვაზოგადე სხვადასხვა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციის წყაროებში მოპოვებული სტატისტიკური მონაცემები, რაც, თავის მხრივ, კონკურენციის ძალის ჩემს მიერ შემოთავაზებული ინდექსების [40] განსაზღვრისათვის გამოვიყენე. ამასთანავე, საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებში (რის გარეშეც არ არსებობს ბაზარი) კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, გამოვიყენე ექსპორტის იმპორტთან შეფარდების ინდექსი (ჩემი შემოთავაზებული ახალი ინტერპრეტაციით), რაც, ჩემი აზრით, შესაძლოდ მარტივად, მაგრამ თვალსაჩინოდ შეავსებს კონკურენტუნარიანობის აუცილებელი შეფასების (გააზრების) რთულ (მრავალმხრივ) მექანიზმს გლობალური ურთიერთკავშირების ურთულეს პროცესებში.

კონკურენტუნარიანობა, ჩემი აზრით, მიზნაშეწონილია შეფასდეს 2 ჯგუფად ბაზრისა და ქვეყნების (საერთაშორისო კომპანიების) სპეციფიკების გათვალისწინებით, მ.შ. ჩვენ შევაფასებთ კონკურენციის ძალას (კონკურენტუნარიანობას) ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზარზე და კონკურენტუნარიანობას ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების სინამდვილეში. განვიხილოთ აღნიშნული ჯგუფები შესაძლოდ დეტალურად.

ა) კონკურენტუნარიანობა ერთგვაროვან ბაზარზე

აშშ-სა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში ერთგვაროვანი პროდუქციის (მომსახურების) ბაზრებზე კონკურენტულობის დონის განსაზღვრისათვის, HHI ინდექსს გამოიყენებენ. ეს დონე, როგორც აღვნიშნეთ, თუ 1500-ზე ნაკლებია, არაკონცენტრირებულ ბაზრებთან გვაქვს საქმე, თუ 1500-ს გადააჭარბებს - საშუალოდ კონცენტრირებულ ბაზრებთან და თუ 2500-ს გადააჭარბებს - მაღალკონცენტრირებულ ბაზრებთან, რაც განსაკუთრებით სახიფათოა. გასათვალისწინებელია, რომ, ჩემი დაკვირვებითა და ექსპერტული შეფასებით, ხსენებული ინდექსი, გასაგები მიზეზების გამო, შედარებით მაღალია მძიმე მრეწველობასა (ძირითადად წარმოების საშუალებების მწარმოებელი დარგები, მ.შ. სამთო-მოპოვებითი ინდუსტრია, მეტალურგია, მანქანთამშენებლობა და სხვ.) და მასთან დაკავშირებულ სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში, განსაკუთრებით დაბალია კი კვების მრეწველობაში, მსუბუქ მრეწველობაში, ხისდამამუშავებელ მრეწველობაში და სხვ.

პირობითად, თუ ბაზარზე სამი სუბიექტი (მაგალითისათვის, ხვედრითი წონებით 20%, 30% და 50%) ქმნის კონკურენტულობის მოჩვენებით სურათს, ჰერფინდალ-ჰირშმანის და ჩვენი ინდექსები ავლენს, რომ ბაზარი ძალზე კონცენტრირებულია (ანუ კონკურენტულობის დონე მცირეა). ხსენებული სამი პროცენტული მაჩვენებლის კვადრატების შეკრება გვაძლევს, რომ HHI აღწევს 3800-ს (რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2500-ს), ხოლო ჩვენი მეთოდოლოგიით, კონკურენციის ძალის I_1 ინდექსი 2-მდე ეცემა (ანუ R_1 -ის მნიშვნელობა ბაზრის ტევადობის ნახევარს აღწევს) და ინტეგრალური

მაჩვენებლის განსაზღვრისათვის დამატებითი სტატისტიკური ინფორმაციაა საჭირო.

სამწუხაროდ, საქართველოში არსებული სტატისტიკური ბაზით, ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება ვერც HHI კონცენტრაციის დონის (რომლისადმი მოთხოვნები, ბუნებრივია, პერიოდულად იცვლება გარკვეული დიაპაზონის ფარგლებში) და ვერც ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის ძალის მაჩვენებლების განსაზღვრა.

ბ) ცალკეული ქვეყნებისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობა

დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ რეალიზებული ექსპორტის შეფარდება იმპორტთან (სხვადასხვა ინტერპრეტაციით) ქვეყნისა და კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამსახველ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად შეიძლება გამოვიყენოთ. აღნიშული ინდექსის შემადგენლები, საერთაშორისო ოფიციალურ წიგნად გამოცემებსა და ინტერნეტგვერდებზე, გარკვეული ცდომილების მიუხედავად, შედარებით უკეთაც მოიპოვება. მზარდი ექსპორტი ქვეყნის დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს და მისი, ისევე როგორც იმპორტის, სტრუქტურა მრავალმხრივე მსჯელობის საგანია. ამჯერად რამდენიმე მისანიშნებელ ტენდენციაზე გავამახვილებ ყურადღებას, რაც კონკურენტუნარიანობის გააზრებისათვის გვჭირდება.

საყოველთაო დაფიქრების საგანი უნდა გახდეს, რომ საქართველოზე ტერიტორიულად და ბუნებრივი შესაძლებლობებით ბევრად მცირე შვეიცარიის ექსპორტის შეფარდება იმპორტთან 1980 წელს, ჩვენი

გაანგარიშებით შედგენდა - 1,016-ს, 1995 წელს - 1,199-ს, 2012 წელს - 1, 071-ს, მაშინ როცა საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2012 წელს საგანგაშო 0,499-ს შეადგენს [40]. საყურადღებო და მისანიშნებელია, რომ ეკონომიკურად ჯერ კიდევ უძლიერეს ქვეყანაში - აშშ-ში, ამ მხრივ 80-იან წლების დასაწყისის სახარბიელო ტენდენცია 90-იანი წლების შუა პერიოდისათვის არსებითად გაუარესდა, მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ჩინეთში, რამაც, ფაქტიურად, განაპირობა ამ ქვეყნის კომპანიების მსოფლიოს უძლიერესი კომპანიების სათავეში მოქცევა [დასახელებული შრომა].

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეპოქაში, მსოფლიო ეკონომიკაში განსაკუთრებით სწრაფად მიმდინარეობს წარმოების საშუალებების ცნობილი განსაზოგადოების პროცესი და იქმნება სულ უფრო მსხვილი სამრეწველო, ინფორმაციული და სხვადასხვა მრავალდარგობრივი ეკონომიკური სისტემები და ობიექტები, რომლებიც კონტინენტების საზღვრებს სცილდება და სულ უფრო მეტი სახელმწიფოს პოლიტიკაზე ახდენს მზარდ გავლენას. ამ პირობებში, ბუნებრივია, საწარმოს და საერთოდ ეკონომიკური ობიექტის ზომის გაგება შეიცვალა. გასულ საუკუნეში და უფრო ადრე, თუ საწარმო მსხვილ ობიექტად შეიძლება ჩათვლილიყო, ახლა მისი მასშტაბები შეიძლება საშუალო საწარმოს კრიტერიუმსაც ვერ აკმაყოფილებდეს. ასევეა მონოპოლიურობის თვალსაზრისითაც. ადრინდელი მონოპოლისტების მასშტაბები დღესდღეობით ნამდვილად არ წარმოადგენს მონოპოლიურს თითქმის

არცერთ ერთგვაროვანი პროდუქციისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზარზე. თუმცა, როგორც გამონაკლისი, უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში ჯერ-ჯერობით მიმდინარეობს განსაზოგადოების საპირისპირო პროცესი - მსხვილი ობიექტების დანაწევრება-პრივატიზება არ დასრულებულა და მონოპოლიები აქ არცთუისე დიდი მახასიათებლებით გამოირჩევიან საერთაშორისო კრიტერიუმებთან მიმართებაში.

ზოგს ჰგონია, რომ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის განვითარებულ ქვეყნებში, ეკონომიკა აბსოლუტურად თავისუფალია, რაც არ და არც უნდა წარმოადგენდეს სინამდვილეს. უფრო მეტიც, წარმოების საშუალებების განსაზოგადოებასთან ერთად, სახელმწიფო რეგულირება აქ სულ უფრო მატულობას და ანტიმონოპოლიური რეგულირებაც სულ უფრო მკაცრი და აქტუალური ხდება. ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის თანამედროვე რეფორმები კი წამყვანი ეკონომიკური ლიდერების (აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, ჩინეთი) ეკონომიკურ სისტემებს სულ უფრო სოციალური ბაზრის ელფერს აძლევს. სოციალურმა ელფერმა, ბუნებრივია, შესაძლოდ არ უნდა ავნოს თავისუფალი კონკურენციის ზღვრულ ეფექტიანობას. პოლიტიკის ეფექტიანობა, მოგეხსენებათ, ხალხის საწყის ემოციურ აღიარებაში გამოიხატება, რაც გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტიანობით უნდა დადასტურდეს.

საერთაშორისო და ადგილობრივი კონკურენციის (შესაბამისად, მონოპოლიების) შეფასების მრავალი საინტერესო მეთოდი არსებობს

მსოფლიოში, თუმცა ეს მეთოდები, ბუნებრივია, როგორც აღინიშნა და თვალსაჩინოდ ვლინდება საერთაშორისო კრიზისებიდან, სრულად ვერ ითვალისწინებს ვერც საკუთარ და ვერც ჩვენს სპეციფიკას. მაშასადამე, შესაძლებელია დარწმუნებით დავასკვნათ, რომ, საჭიროა აღიარებული მეთოდების ბაზაზე სხვადასხვა გონივრული ხერხისა და მექანიზმის კომპლექსური გამოყენება.

სამწუხაროდ, ზოგი საკმაოდ ნიჭიერი ოპონენტი თვლის, რომ საერთაშორისო ბაზრების ანტი-მონოპოლიური რეგულირება საერთოდ არ არის საჭირო, ვინაიდან, მისი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანოები ხშირ შემთხვევაში კორუფციის ბუდე შეიძლება გახდეს და ხელს შეუშლის წარმატებულ მეწარმეებს. ყოველთვის საინტერესოა ღირსეულ ოპონენტებთან კამათი და შესაბამისად საჭირო კომპრომისების მიღწევა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩვენს ოპონენტებს ვერასგზით დავეთანხმები. მათებურად რომ ვიფიქროთ, გასაუქმებელი იქნებოდა გარკვეულ პერიოდებში ისტორიულად კორუმპირებულობით ცნობილი საბაჟო და საგადასახადო სამსახურებიც (რომლებსაც, გარკვეულ შემთხვევებში, ანტიმონოპოლიურის პორალურად განსხვავებული ინტერესებიც შეიძლება ჰქონდეს მსხვილი გადამხდელების მატების სახით), მაგრამ ეს შეუძლებელი და დაუშვებელია. კორფციის შემთხვევაში, უნდა ვიფიქროთ, როგორ დავძლიოთ მისი მოქმედება და არა უარი ვთქვათ უაღრესად საჭირო მობილურ სამსახურებზე.

თუ კეთილსინდისიერი მეწარმე თავისი ნიჭიერებით (უნარით)

ხდება მონოპოლისტი საერთაშორისო ბაზარზე (მაკროსოფტის მაგალითი), ანტიმონოპოლიური ორგანო, მართალია, არ უნდა უშლიდეს მეწარმეს შემდგომშიც გამოავლინოს თავისი წარმატებული უპირატესობა, მაგრამ ის ამ შემთხვევაში სიფრთხილით უნდა აკვირდებოდეს მონოპოლისტს, რომ მონოპოლიურმა უპირატესობამ არ დააზიანოს ბაზარი და არ გამოიწვიოს შესაბამისი პროდუქციისა და მომსახურების ზედმიწევნით გაძვირება ან ხელოვნური დეფიციტი და ბაზარზე დიქტატორული პირობების კარნახი.

საერთაშორისო ბაზრის კონკურენტულობის დონის კრიტიკულად გააზრებისათვის დავსვათ კითხვა - რომელია უფრო მნიშვნელოვანი, მაღალკონკურენტული ბაზარი გვქონდეს თუ ტექნიკური პროგრესით დაწინაურებული წარმოებისათვის ვიზრუნოთ. ბუნებრივია, ორივე მნიშვნელოვანია ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მაგრამ მაინც, რომელია უფრო მნიშვნელოვანი?

წარმოვიდგინოთ სიტუაცია, როცა რომელიმე ქვეყანაში დიდი მეცნიერული აღმოჩენის წყალობით ტექნიკურ პროგრესში ნახტომისებური (რევოლუციური) წინსვლის საშუალება გვეძლევა, მაგრამ ეს აღმოჩენა ბოროტ მონოპოლისტს ჩაუვარდა ხელში, რომელიც მხოლოდ მონოპოლიური მოგების მიღებაზე ფიქრობს. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში, საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესება უმნიშვნელო იქნება აღმოჩენის მასშტაბებთან შედარებით, ხოლო უარეს შემთხვევაში, შესაძლოა, რეაქციული გამოვლინებების ეპოქაც დაუდგეს კაცობრიობას.

ახლაკი, მეორე სიტუაცია განვიხილოთ. თუ ქვეყანაში

მაღალ-კონკურენტული ბაზარია, ბუნებრივია, აქ ტექნიკური პროგრესის განმავითარებელ დარგებსაც ეძლევათ სტიმულები და ნიჭიერებაზეც განსაკუთრებით მაღალი მოთხოვნაა. აქ ტექნიკური ინფორმაციის მოპოვების გარემო მაქსიმალურად გამჭვირვალეა და მისი განვითარება-გავრცელებაც შესაძლოდ სწრაფად ხორციელდება.

მაშასადამე, სახეზეა პასუხი და დასკვნა: უპირველესად საერთაშორისო ბაზრის მაღალ-კონკურენტულობაზე უნდა ვიზრუნოთ, რისთვისაც შესაბამისი კომპეტენტური და მობილური (ნაკლებხარჯტევადი) ინსტიტუტები უნდა ფუნქციონირებდეს.

როგორც ცნობილია, ფილიფსის მრუდის მიხედვით, ინფლაციის გარკვეული ზრდა უმუშევრობის შემცირებას იწვევს. საკვალიფიკაციო კვლევაში, აღნიშნულთან დაკავშირებით, ფილიფსის მიმდევართა ეკონომიკური მემკვიდრეობის განზოგადებისა და თანამედროვე რეალიების გათვალისწინებით დამატებითი არგუმენტაციის საფუძველზე, შესაბამისი გრაფიკული ინტერპრეტაციაც წარმოვადგინე. ჩვენი ღრმა რწმენითა, ჭეშმარიტი კონკურენციის შემთხვევაში, უმუშევრობის შემცირება ინფლაციის შემცირების პარალელურადაც შეიძლება მიმდინარეობდეს.

მართალია, ფასების მატება მეტი ხელფასების გაცემის საშუალებას იძლევა, რაც მოჩვენებით ზრდის დასაქმებას, მაგრამ ასეთი მატება ჩვენი მიზანი არ შეიძლება იყოს. ფასი უკეთესი ხარისხის პროდუქციაზე მეტია, მაგრამ მისი გადაჭარბებული ზრდა მხოლოდ და მხოლოდ მონოპოლიებისა და ფარული ბიუროკრატიული შეზღუდვების არსებობაზე მიგვანიშნებს.

საბაზრო ნაკადებისა და ადამიანების მოძრაობაზე ასეთი შეზღუდვების შესაძლო მინიმიზება და კონკურენტული გარემოს არსებობა ეკონომიკაში ფასების გამოთანაბრებასა და წონასწორობას უზრუნველყოფს, რაც სიმდიდრის ხელოვნური ზეპოლარიზებისა და სიღარიბის შემაკავებელია.

კონკურენციის არარსებობა სწორედ ყველაზე მეტად არაკომპეტენტურ და, შესაბამისად, კორუფციისკენ მიდრეკილებად კადრებს აწყობთ. კონკურენცია არ იკბინება, ის ეხმარება ადამიანებს მასობრივ დასაქმებაში, მაგრამ სწორედ კორუმპირებული ადამიანების მცდელობებით, ისეთი "კონკურენტული" პირობებიც ვრცელდება, რომ ადამიანები კომპლექსდებიან და ფრთხილობენ ასეთ არარეალურ კონკურსებში მიიღონ მონაწილეობა.

საერთაშორისო ბიზნეს-სუბიექტის მმართველი რაც არ უნდა გამჭრიახი და შორსმხედველი სტრატეგი იყოს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია, მისი ქმედებები სტაბილური შემოსავლებისა და ადეკვატური მოგების მომცემი ვერაფრით ვერ იქნება. მარკეტინგიც, როგორც ბაზარზე ადამიანთა საზოგადოებისა და კონკრეტულად ყოველი ადამიანის მოთხოვნილებებისა და მოთხოვნების შემსწავლელი პროფესია, რაც არ უნდა მაღალპროფესიული იყოს, ვერაფერს მოახერხებს, თუ ბაზარი მონოპოლიზებულია და მონოპოლისტი დიდ გავლენას ახდენს ფასების დონეზე. კონკურენტულ ბაზარზე კი ფასები ვერც მონოპოლიურ კარნახს ექვემდებარება ზრდის მიმართულებით და ვერც შენიღბულად მცირდება, რის შედეგადაც, გონივრული მარკეტინგული არგუმენტები და ზომიერი

რეკლამა მაქსიმალურად უზრუნველყოფს კონკურენტული საერთაშორისო ბაზრების პოტენციალის ზღვრულ ამოქმედებასა და მატერიალური მარაგებისა და საქონლისა და მომსახურების შესაძლოდ ეფექტიან გადაადგილებას.


აშშ-ს თითქმის საუკუნოვან ლიდერობას ბიზნესის სამყაროში უმთავრესად მძლავრი ანტიმონოპოლიური მექანიზმების მოქმედება განაპირობებს და ამ მხრივ აღსანიშნავია გამოცდილებებიც გერმანიასა და იაპონიაში, სადაც ადგილობრივ ანტიმონოპოლიურ სამსახურებთან საკმაოდ მკაცრად მიმდინარეობს შეთანხმებების პროცედურა აქციების გასხვისების, ქონების სასყიდლით თუ მემკვიდრეობით გადაცემისა და ტოპმენეჯმენტის დანიშვნის დროსაც კი, თუმცა, საერთაშორისო ბიზნესში ცალკეული მეგასახელმწიფოს მოქმედებებიც კი ვერ იქნება სრულყოფილი, თუ შესაბამისი საერთაშორისო აუდიტის ქმედითი მექანიზმებიც არ ამოქმედდა.

§5. სტრატეგიული ალიანსები წარმოებისა და მომსახურების სფეროებში და ეფექტიანი ინოვაციური მენეჯმენტის მექანიზმები

საერთაშორისო კონკურენციის გამწვავებასთან ერთად, მ.შ. განსაკუთრებით მაშინ, როცა საერთაშორისო კრიზისები ღრმავდება,

ბიზნესები ცდილობენ შეამცირონ დანაკარგებისა და გაკოტრების რისკები და, რაც შეიძლება მეტად გაამრავლონ საკუთარი და სავარაუდო პარტნიორთა უპირატესობები და მათი მოქმედების არეალი, საბოლოო ჯამში, სიმდიდრე და ეფექტიანობა. ერთი შეხედვით, აღნიშნულ პროცესებში არაფერია გასაკვირი და ეკონომიკურად მიზანშეუწონელიც, მაგრამ თუ ასეთი გაერთიანება-გამრავლების პროცესი არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გზით ბაზრის დამაზიანებელი მონოპოლიზმის გამოვლინებებს მიიღებს, ის შესაძლოდ სწრაფად უნდა აღიკვეთოს ანტიმონოპოლიური სამსახურებისა და მომავალში სულ უფრო საჭირო მათი ალიანსების მიერ.

საერთაშორისო ბაზრების კონკურენტულობის დონის საერთაშორისო და ადგილობრივი აუდიტის განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ბიზნეს-სუბიექტების გადაჭარბებული მომრავლება მოკლე ჩართვის მსგავს უარყოფით ეფექტს იძლევა და, ასეთ შემთხვევაში, სტრატეგიული ალიანსების შექმნა, ბუნებრივია, მიზანშეწონილია. თუმცა, როგორც ჩვენს მიერ წარმოებული დაკვირვების საფუძველზე წარმოდგენილ სქემაზე ჩანს, სტრატეგიული ალიანსების შექმნის პროცესი განსაკუთრებულ საერთაშორისო დაკვირვებას უნდა ექვემდებარებოდეს და მათი გადაჭარბებული ზრდა (სქემაზე ზღვრული ეფექტიანობის შესაბამისი დაახლოებით საშუალო ოპტიუმის შემდეგ), ოპტიმიზებისა და შემაკავებელი ზომების გატარების გარეშე, დიდი სტაგნაციური დეპრესიებით შეიძლება დასრულდეს.



სტრატეგიული ალიანსების შექმნის ობიექტურ მიზეზებად შეიძლება მოგვევლინოს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების ერთობლივი შექმნისა და გამოყენების აუცილებლობა, მოსალოდნელი შესაძლო კრიზისებისა და სხვადასხვა გლობალური რისკისაგან დაცვის საჭიროება, გამწვავებული კონკურენტული კონფლიქტების შემცირება, ზოგიერთი სახელმწიფოს გადამეტებული საგადასახადო, საინვესტიციო და სავაჭრო ბარიერების დაძლევა, ეფექტი (ეკონომია) ბიზნესის მასშტაბების ზრდის შედეგად და ა.შ.

შესაბამისად, შეიძლება შეიქმნას კეთილსინდისიერი სტრატეგიული ალიანსები, რომლის მონაწილე სუბიექტები ინარჩუნებენ მნიშვნელოვან ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და ექმნებათ საშუალება არსებითად გაზარდონ ბიზნესი და მისი ეფექტიანობა.

საერთაშორისო ალიანსის პროგრესული მაგალითად შეიძლება აღინიშნოს აშშ-სა და რუსეთის თანამედროვე მეცნიერული კვლევებისა და ინდუსტრიული თანამშრომლობის ალიანსი კოსმოსურ სივრცეში [26, 27], როცა ცივი ომის პირობებში პოლიტიკურად ამ ორ უკიდურესად

დაპირისპიებულ მხარეს ამჟამად ალიანსის პერსპექტივა გაუჩნდა, რაც განსაკუთრებით იმედისმომცემია საქართველოს ტიპის მცირე ქვეყნებისათვისაც.

საერთაშორისო ალიანსები შეიძლება შეიქმნას ელემენტარული არაფორმალური შეთანხმებების (დოკუმენტაციის გარეშე) გზით, ოფიციალური ხელშეკრულებების (მ.შ. ძირითადად ფრანჩაიზინგის, ლიზინგის, ლიცენზიებისა და სხვადასხვა უფლებების გადაცემის სახით) საფუძველზე, ერთობლივი საწარმოების დაფუძნებით, ჰორიზონტალური (მსგავსი სახის პროდუქციისა და მომსახურების მწარმოებელი ობიექტები), ვერტიკალური (ბიზნესინტეგრაცია ნედლეულის მომწოდებლიდან პროდუქციის მომხმარებლამდე) და სხვადასხვა ურთიერთშემავსებელი ფორმებით წარმოებებისა და მომსახურებების გაერთიანების (სრული ან ნაწილობრივი შერწყმის) გზით.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კრიზისის გამწვავების უახლოეს წარსულში, შესდგა ალიანსი ისედაც ბიზნესგიგანტებს - როტმილდების RIT Capital Partners და როკფელერების Financial Services შორის, განხორციელდა გერმანული და ფრანგული ტელეკომების გაერთიანება ამერიკულ სპინტთან - The Deutsche Telekom/France Telecom/Sprint Alliance, ე. წ. გლობალური ვენჩურული ალიანსი Global Venture Alliance და სხვ.

სტრატეგიულ ალიანსებსა და საერთოდ საერთაშორისო ბიზნესს, ბუნებრივია, მართვის თვისებრივად ახლებური (ინოვაციური) მექანიზმები და მეთოდები ესაჭიროება. ინოვაციური მენეჯმენტი, ისევე, როგორც

ნებისმიერი სხვა ინოვაციური პროდუქტი, ახალ (გაუმჯობესებულ) მენეჯმენტს წარმოადგენს, რომელიც, შესაძლოდ სწრაფად, შემცირებული ხარჯებითა და გაუმჯობესებული ხარისხით უძღვება საქმეს და, შესაბამისად, არსებითად უმჯობესდება რენტაბელობის ROC, ROE და სხვა პარამეტრები.

სტრატეგიული ალიანსების ინოვაციურ მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორებიდან და შესაბამისი ქცევების მექანიზმებიდან უპირველესად აუცილებელია აღინიშნოს კონკურენტული გარემოს არსებობა (ალიანსების მზარდი გლობალური მასშტაბების მიუხედავად), რომელიც მოთხოვნა-მიწოდების შესაძლოდ წონასწორულ პირობებს უზრუნველყოფს, კადრების უმაღლესი კვალიფიკაცია და ბიზნესის შესაბამისი მენეჯერულ-ტექნიკური დონე, პროგრესული რესურსებისა და ნედლეულის გამოყენება, წარმოებისა და მომსახურების რაციონალური განლაგება, კორპორაციული კულტურა და ორგანიზებულობა, მართვის მორალურ-ფსიქოლოგიური, ადმინისტრაციულ-მარეგულირებელი და ანალიტიკურ-ეკონომიკური (მოტივაციური) მეთოდების რაციონალური შეხამება, სავალუტო ბაზრებსა და საფონდო ბირჟებზე ცვლილებებისა და საგადასახადო კანონმდებლობათა განსხვავებებიდან დამატებითი შემოსავლების მიღების უნარები და სხვ.

ზოგადად ინოვაციური პროცესი ბიზნესში გამოიხატება ახალი სამეცნიერო იდეის დაბადებაში, შესაბამისი კვლევების ჩატარებასა და საბოლოოდ ტექნიკისა და ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და დანერგვაში,

პარალელურად, ახალი ბაზრების ათვისებასა და ახალი ნედლეულისა და მასალების პროგრესულ გამოყენებაში.

ხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების ყიდვა იაფად, რა თქმა უნდა, რთული (თითქმის შეუძლებელი) საქმეა და ასეთ დროს ადამიანებისათვის მხსნელად მოვლენილმა ნოვატორულმა მენეჯმენტმა თავისი ახალი სიტყვა უნდა თქვას ეფექტიანი პირობების შექმნით ხარისხიანი პროდუქციის არსებითად იაფად დამზადებისათვის. ახლის მიღებაში მრავალი ადამიანი გენიოსად და წარმატებულ მეწარმედ ქცეულა და ინოვაციური მენეჯმენტიც ბიზნესში წარმატების ერთ-ერთი განმაპირობებელი ინსტრუმენტია, რომელიც, ცნობილი მოდერნიზმის მიმართულების მსგავსად ხელოვნებაში, მნიშვნელოვნად ცვლის ყოველივე დახავსებულსა და დრომოჭმულს მართვის მანამდე არსებულ მიუღებელ ტრადიციებში.

მომხმარებელს განსაკუთრებით ახალისებს პროდუქციისა და მომსახურების ნომენკლატურის ხშირი ინოვაციური ცვლილებები, რამაც, თავ-თავის დროზე, დიდი წარმატებები და ლიდერის პოზიციები დაუმკვიდრა ფორდ მოტორსს, აიბიემ-ს, მაიკროსოფტს, ჰიულეტ პაკარდს, ბოინგს, მერსედესს, ბმვ-ს, ქენონს, ქსეროქსს, ჰონდას, იამაჰას და სხვა ცნობილ ნოვატორ მეწარმეებს.

მიზანშეწონილია, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ე.წ. ინოვაციურ დარგებს უმთავრესად თანამედროვე მეცნიერებატევადი ინდუსტრიული (მათ შორის ნანონდუსტრიული) დარგები მივაკუთვნოთ, მათ შორის -

კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნიკის წარმოება, სარაკეტო და თვითმფრინავმშენებლობა, ზოგადად მანქანთმშენებლობა, ენერგეტიკული კომპლექსი, ნავთობ-ქიმიური და ქიმიურ-ფარმაცევტული მრეწველობა, თუმცა, ცალკეული ქვეყნებისათვის, შესაძლებელია სხვა პრიორიტეტებიც არსებობდეს. მაგალითისათვის, საქართველო, რომელიც უნიკალური სოფლის მეურნეობითა და ისტორიული მემკვიდრეობის კულტურით არის ცნობილი, შესაძლებელია, ამ დარგს მეცნიერული კვლევების განსაკუთრებული (მზრუნველი) პრიორიტეტიც მიენიჭოს.

ინოვაციური სტრატეგიული ალიანსების (ტრანსნაციონალური კომპანიების მულტიეროვნული გაერთიანებები ე.წ. ქალიშვილი და შვილიშვილი სამრეწველო-საფინანსო კონცერნებისა და სხვადასხვა სინდიკატების ქსელით) გამრავლების პროცესი განაპირობებს სახელმწიფოთა ინტეგრაციული კავშირების ეკონომიკური საფუძვლების გაფართოებას, ბიზნესის აქამდე ტრადიციული ეროვნული პრიორიტეტების ეკონომიკურ მიზანშეწონილობაში ტრანსფორმაციას, მაღალრისკიან (ვენჩურულ) მეციერებატევად პროექტებში სახელმწიფოებისა და მათი კავშირების მონაწილეობის მეტად რეალურ მიზანშეწონილობას, თანამედროვე მეგატექნოპოლისების, კლასტერებისა და ტექნოპარკების გამრავლებას.

ვინაიდან ხსენებული წიგნი გამიზნულია ეკონომიკის სწავლების სტუდენტებისათვისაც, შემდეგში ვეცდები განვმარტო ის ელემენტარული ანალიტიკურ-ეკონომიკური მეთოდები და მექანიზმებიც (განსაკუთრებით

ეფექტიანობასთან დაკავშირებით, რაც უშუალოდ იწვევს კეთილდღეობასა და სიმდიდრის დაგროვებას), რომლების განზოგადება დაწყებულია ჩემს უახლეს შრომებში [აქ და შემდეგში 37-40] და რომლებიც განსაკუთრებით სჭირდებათ დამწყებ სტუდენტებს განსახილველი საკითხების გაგებისათვის. შესაბამისად, წიგნში მოყვანილია ზოგადთეორიული ინტერპრეტაციები და მაგალითები საქართველოს ეკონომიკური პრაქტიკიდან, რაც განსაკუთრებით ცხოველ ინტერესს იწვევს საერთაშორისო ბიზნესწრეების მენეჯმენტისა და საერთოდ საზოგადოებრიობის მხრიდან: საქართველომ, რომელიც ეკონომიკური დამოუკიდებლობის პირველ წლებში ბოლო ადგილზე იყო მსოფლიოში ცხოვრების დონის მიხედვით, ბუნებრივი პირობების, ინტელექტუალური პოტენციალისა და გონივრული მენეჯმენტის წყალობით, ცალკეულ რეგიონებში წარმატებული პოზიციები შეინარჩუნა ცხოვრების ხანგრძლივობისა და ექიმთა რაოდენობისა და მომსახურების ხარისხის მიხედვით - აქ იაფი და ხარისხიანი მომსახურებისათვის ჩამოდიან ეკონომიკურად ბევრად განვითარებული ქვეყნებიდანაც კი.

ნიშანდობლივია, რომ უახლოეს ხანებში, საგანმანათლებლო ინდუსტრიაში მატულობს სტუდენტების ინტერესი ტურიზმისა და სპორტის მიმართულებებითაც, რაც, საერთაშორისო გამოცდილებით, ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სათანადო დონეზე განვითარების შემდეგ, არსებითი შემოსავლების წყარო ხდება. საერთაშორისო ტურიზმი და სპორტი ახალგაზრდა ადამიანებისა და საერთოდ ხალხების გაცნობისა

და შეკავშირების მნიშვნელოვან მექანიზმებს წარმოადგენს და ცნობილია ფაქტია, რომ ურთულესი კრიზისები და ომებიც ვერ აჩერებენ ადამიანების მისწრაფებას მათი მრავალფეროვანი სახეობებისადმი.

გლობალიზების პროცესები და სტრატეგიული ალიანსები არსებითად აახლოვებს ადამიანებსა და მთლიანად სახელმწიფოებსა და მათ კავშირებსაც მკვეთრად განსხვავებული საგანმანათლებლო-კულტურული წეს-ჩვეულებების საჭირო წარმოჩენისა და წახალისების საქმეში და, რაღა თქმა უნდა, ყველასთვის მნიშვნელოვანი საერთო ჯანდაცვითი პრობლემების მოგვარებაში. აღნიშნული სტრატეგიული ალიანსები განსაკუთრებით აუცილებელი ხდება ზოგიერთი განვითარებული და განვითარებადი ქვეყნის დემოგრაფიული ფონის (მოსახლეობის აღწარმოებითი პროპორციები) კრიტიკული გაუარესების პირობებში.

საერთაშორისო ანალიტიკურ-საინფორმაციო კრებულებისა და სამეცნიერო მიდგომების გათვალისწინებით, ჯანმრთელი ცხოვრების ხარისხის მახასიათებლები საბოლოო ჯამში მათი ორი მდგენელის (დონე და ხანგრძლივობა) დამოუკიდებელი (ნაკლებდაკავშირებული) კანონზომიერებებით შეიძლება დავასაბუთოდ და საერთო (მსგავსი) ზემოქმედების ფაქტორებითა და გამოვლინების ინდექსებით შევავსოთ.

დამოუკიდებელი მოქმედების ეფექტები განსაკუთრებით თვალსაჩინოა ცხოვრების ეკონომიკური და კლიმატური ჯგუფის მაჩვენებლებით შეფასებისას. თუ სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრების დონეს უპირველესად ბიზნესის აქტიურობა, ექსპორტის-იმპორტის სალდო და, შესაბამისად,

ეკონომიკური შემოსავლების დონე განსაზღვრავს (მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ მოსახლეზე გადაანგარიშებით, საშუალო ხელფასის დონე, საშუალო ხელფასის ფარდობა უმნიშვნელოვანესი პროდუქციისა და მომსახურების ფასებთან და სხვ.), ხანგრძლივობა, მეტწილად, კლიმატურ ფაქტორებზეა დამოკიდებული.

მსოფლიოსათვის სამაგალითო და საერთაშორისო ბიზნესისათვის მიმზიდველია ამ მხრივ კავკასიის რეგიონი, მ.შ. საქართველო, სადაც გასული საუკუნის 90-იან წლებში, ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის კრიზისული პირობების გამო, ცხოვრების დონე უკიდურესად დაეცა და მსოფლიოში ბოლო ადგილზეც კი დავიდა, მაგრამ, დაბალი ცხოვრების დონის ასეთ პირობებში, ჩვენი ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყანა (განსაკუთრებით მისი მთიანი რეგიონები) ისევ მოწინავე პოზიციებს ინარჩუნებდა მსოფლიოში ხანდაზმულთა (90 წელზე მეტი ასაკის ადამიანები) რაოდენობით, მ.შ. 100 და 110 წელზე მეტი ასაკის ადამიანების შედარებითი მოჭარბების შემთხვევებით.

ბუნებრივი ფაქტორების პრიორიტეტული მნიშვნელობა არ ნიშნავს, რომ ცხოვრების დონის მაჩვენებლები არ ზემოქმედებს ცხოვრების ხანგრძლივობაზე. აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალითად იაპონია გამოდგება, სადაც მიწისძვრებისა და სხვა დამაბული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, ბიზნესის განსაკუთრებით მაღალი შემოსავლებისა და ცხოვრების წესის სახასიათო თავისებურებები განაპირობებს, რომ იაპონია ასევე განსაკუთრებით გამოირჩევა ხანდაზმულთა რაოდენობით.

მრავალფაქტორული დაკვირვების შედეგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ცხოვრების დონესა და ხანგრძლივობაზე მნიშვნელოვანწილად ურთიერთდაკავშირებული ფაქტორების კომპლექსი მოქმედებს და ცხოვრების ამ ორივე მაჩვენებლის განსაკუთრებული პარამეტრებით გამოირჩევა მხოლოდ რაოდენობრივად და ხარისხობრივად თვალსაჩინო ეკონომიკური და ინტელექტუალურ-ინოვაციური პოტენციალის ქვეყნების (აშშ, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, შვედეთი, ჩეხეთი, რუსეთი, ჩინეთი და სხვ.) ცალკეული დარგები და რეგიონები.

ხსენებულის კონტექსტში, ნიშანდობლივია, რომ ცალკეული ქვეყნები (მ.შ. განსაკუთრებით - აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აღმოსავლეთ აზიაში), რომლებიც გამოირჩევა საუკეთესო ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და სასარგებლო წიაღისეული მარაგებით, ჯერ კიდევ დინასტიურად დიქტატორული რეჟიმების გამო, როცა არ არსებობს პოლიტიკური სისტემის დემოკრატიული და ეკონომიკური გარემოს ეფექტიანი კონკურენციული საფუძვლები, ხოლო გამოცხადებულია სახალხო კეთილდღეობა (რა თქმა უნდა მოჩვენებითი) და „საერთაშორისო“ ბაზრების შესახებ ინფორმაციის წვდომისა და დოვლათის განაწილების გამჭვირვალე მექანიზმები (რა თქმა უნდა ასევე მოჩვენებითი და დეფორმირებული), რეალურად, ცხოვრების დონისა და ხანგრძლივობის უმდაბლეს დონეებს ავლენს, მაშინ, როცა, ამ ქვეყნებიდან ემიგრირებული ნიჭიერი მოსახლეობა, ცივილურ ქვეყნებში საუკეთესო პარამეტრებს აღწევს, მ.შ. საერთაშორისო ბიზნესში.

ცხოვრების ხანგრძლივობის სპეციფიკური არაეკონომიკური ფაქტორებიდან, საჭიროა აღინიშნოს ეკოლოგიური გარემოებანი (წყალი, ჰაერი, კვების პროდუქტები, ზომიერი ტემპერატურა, ბუნების სხვა რაციონალური ანუ არაექსტრემალური პირობები), მოსახლეობის ორგანიზებულობა, ჯანმრთელი ცხოვრების წესი, პალეატიური მზრუნველობის კულტურა და რეკრეაციული ტურიზმის ეკონომიკურად დასაბუთებული პრიორიტეტები, შრომისა და სრულფასოვანი დასვენების ხანგრძლივობა და სხვ.

საქართველოს სინამდვილისათვის ნიშანდობლივია, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე საუკეთესო მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობებია ადამიანის ბედნიერი არსებობისათვის და ჩვენმა მოსახლეობამ, თავისი ღვთისნიერი ბუნებითა და ორგანიზებულობით, ეკონომიკური შესაძლებლობების უკეთ გამოყენების მაგალითებიც უნდა აჩვენოს. აღნიშნულის უხვი პოტენციალი არსებობს და, ძალზე კარგია, რომ მის დაკვირვებასა და გაუმჯობესებაში მსოფლიოს ცივილიზებული საზოგადოებაცაა დაინტერესებული.

იბადება კითხვა, თუ რა შეიძლება იღონოს საერთაშორისო ბიზნესმა და მთავრობებმა ამ მიმართებით მდგომარეობის არსებითი გაუმჯობესებისათვის. უმთავრესად, საერთაშორისო ბიზნესის მზარდმა სოციალურმა პასუხისმგებლობამ და მთავრობების ოფიციალურმა ვალდებულებებმა უნდა უზრუნველყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა დასაბუთებული და მეწარმეების მიმართ არამოჩვენებითი და

კეთილგანწყობილი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებისა და მისი ეფექტიანი რეკლამირების გზით, ადგილობრივი ინვესტიციების მაქსიმალური მობილიზება ეფექტიან უპირატესობათა დამატებითი სტიმულირებისათვის და მიღებული შემოსავლების გონივრული განაწილება საგანმანათლებლო ცენტრების სათანადო დონეზე უზრუნველყოფისა და უმუშევართა და ავადმყოფთა დახმარებისათვის.

ადამიანის სიცოცხლე უფლის მიერ არის მონიჭებული და ეს ყველას კარგად უნდა ახსოვდეს, რომ დიდია საერთაშორისო ბიზნესის, მეცნიერების ეკონომიკისა და კონკრეტულად ჯანდაცვის სფეროს მნიშვნელობა, მაგრამ უფლის მნიშვნელობა კიდევ უფრო დიდია (შეუფასებელია). ბუნებრივია, უფლის ნებით, არის შემთხვევები, როცა წმინდა ცხოვრებით მოღვაწე ადამიანი ადრე მიდის წუთისოფლიდან, მაგრამ, ფაქტია, რომ ასეთი ადამიანების ჯანმრთელობა მართლა სასწაულებრივად საუკეთესოა. ასეთივე დასკვნის გაკეთება შეიძლება ეკოლოგიურად სუფთა ბუნებრივი (უფლის მონიჭებული) პროდუქტებით მკვებავი ადამიანების მისამართითაც.

ინოვაციური სამედიცინო მეცნიერების მნიშვნელობა, როგორც აღვნიშნეთ, კაცობრიობის გამრავლებასთან ერთად, დიდია და, რა თქმა უნდა, იზრდება, მაგრამ, მის მზარდ აქტუალობასთან ერთად, სამწუხაროდ, მატულობს ამ სფეროს სახიფათო მაქინატორთა რიცხვიც მსოფლიოში. ეს რიცხვი თითქმის გეომეტრიული პროგრესიით იზრდება და აერთიანებს კრიმინალურ "სასწაულმოქმედ" ნარკობარონებს, ადამიანების გაჭირვებით

მოსარგებლე სხვადასხვა "პროფესიონალ" გამომძალველებს, ათასგვარი შენიღბული ხერხებით მჩხიბავ ექიმბაშებს, არაპროფესიონალ "სახალხო" მკურნალებს და სხვა მრავალ ავანტიურისტს, რაზეც აუცილებლად უნდა გაძლიერდეს საერთაშორისო მონიტორინგი ყველა ქვეყნის სამართალდამცავთა ჩართულობითა და ჯანდაცვის შესაბამის პროფესიონალთა მონაწილეობით.

ჩვენს შრომებში მაძლიერებით ადვანიშნავთ იმ ქვეყნებს, რომლებიც მზრუნველი პოლიტიკით არსებითად ზრდიან ხარჯებს მედიცინაზე (აშშ, გერმანია, რუსეთი და თანამედროვე საქართველო), მაგრამ, ბევრი ადამიანი მსოფლიოში ჯერ კიდევ ელემენტარული დახმარების გარეშეა. სტატისტიკა ადასტურებს, რომ მსოფლიო ეკონომიკურად მდიდრდება, მაგრამ, სამწუხაროდ, იმ ადამიანთა რიცხვიც მატულობს, ვინც სამედიცინო პრობლემებს ვერ უმკლავდება. საზოგადოების კარგი ჯანმრთელობის დონე კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს შემოსავლებზე, მაგრამ საერთაშორისო ბიზნესის გონივრული ჩართულობისა და სახელმწიფოს გააზრებული ეკონომიკური პოლიტიკის გარეშე, საზოგადოების ცხოვრების გახანგრძლივებამ, შეიძლება უარყოფითადაც იმოქმედოს ეკონომიკური ზრდის ტემპებზე და, საბოლოოდ, ადამიანების შემოსავლებზე. ასე, მაგალითად, თუ საპენსიო ასაკზე მეტი ხნოვანების მოსახლეობის ხვედრიწონა მატულობს, იზრდება ხარჯებიც იმ ადამიანებზე, რომლებიც, ფაქტიურად არაფერს ქმნიან. ასეთ შემთხვევაში, სახელმწიფომ უნდა

გადახედოს თავის მიდგომას საპენსიო ასაკის ზრდის მიმართულებით, რათა, თუ ადამიანებს შეუძლიათ, მათ მიეცეთ საშუალება მეტი იმუშაონ.

მენეჯერული საქმიანობა საერთაშორისო ბიზნესის ყველა სფეროს უწევს ზედამხედველობას და, ამდენად, მის შესაფასებლად როგორც ორგანიზაციის კრებსითი ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები უნდა გამოვიყენოთ, ასევე, უშუალოდ მენეჯმენტში დასაქმებული მენეჯერების და მ.შ. ყოველი მენეჯერის შედეგებსა და შედეგიანობას გავუწიოთ მონიტორინგი. როგორც ცნობილია, საერთაშორისო ბიზნესის მენეჯერული ხარჯები წარმოებისა და მომსახურების სფეროს ობიექტის სხვადასხვა საამქროს, განყოფილების, ლაბორატორიისა თუ სამსახურისათვის ზედნადებ (საერთო) ხარჯებს წარმოადგენს და გონივრულად გახარჯული ეს ზედნადები ხარჯები მნიშვნელოვანწილად განაპირობებს მთელი ორგანიზაციის გამართულ ფუნქციონირებას.

მთლიანი ხარჯების შემცირება საერთაშორისო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მოგების ზრდისა და ზოგადად ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია, თუ ხსენებული შემცირება წარმოებული დოვლათის (სიკეთის) ხარისხის შენარჩუნების (ან გაუმჯობესების) და, შესაბამისად, რეალიზაციის მატების ტენდენციების თანმხლებია.

ხარჯების შემცირების საფუძველზე შემოსავლების მატება და საერთო ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ბუნებრივია, ზრდის სტრატეგიული ალიანსების ფინანსურ ავტონომიურობას და ქმნის

საფუძველს ფინანსური რესურსების შიგა (გაუნაწილებელი მოგება, ამორტიზაციის ანარიცხები, საზოგადოების კაპიტალი და სხვა) და გარე (კრედიტი, ლიზინგი, ფაქტორინგი და სხვა) წყაროების გონივრული გამოყენებისა და გრძელვადიანი და მოკლევადიანი ინვესტიციების ეფექტიანი მოზიდვისათვის.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ფინანსების მოძრაობა ერთგვარი სისხლის მიმოქცევაა მსოფლიოს ეკონომიკურ ორგანიზმში და ის, საბოლოო ჯამში, უნდა ემსახურებოდეს მსოფლიოს მოსახლეობის ჯანსაღ (ხარისხიან) აღწარმოებასა და წარმოების (მომსახურების) გონივრულ ზრდას.

მიწოდების თეორიის მიხედვით, ფინანსური შემოსავლების არსებითი მატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა გადასახადების (შესაბამისად, ხარჯების) ზომიერებას ენიჭება, რაც გადასახადების გარკვეულ ოპტიმალურ დონეში უნდა გამოიხატოს შემოსავლებთან მიმართებაში. ა. ლაფერის აზრით, ეს ზღვარი დაახლოებით ჯ. ქეინზის 20%-იან და ჟ. დესტენის 40%-იან ზღვარს შორისაა, მ. ფრიდმენის აზრით, აღნიშნული დონე 25% უნდა იყოს, მ. ფელდსტეინის – 42%, რ. გეფარდტის აზრით კი – 30–35%. რეალურად, ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში ეს დონე სხვადასხვა გადასახადების შეჯამებით 50–70%-ის მახლობლობაში მერყეობს. სახელმწიფო და კერძო სექტორების წონასწორული არამონოპოლიური პირობების შესაქმნელად, ხსენებული დონე 50%-ს არ უნდა აღემატებოდეს და 30–50%-ის მახლობლობაში უნდა ვარიირებდეს,

თუმცა, მიზანშეწონილია, ყველა მეწარმეს და მ.შ. პროგრესულ ახალგაზრდა დარგებსა და მცირე და საშუალო მეწარმეებს პერიოდულად მნიშვნელოვანი შეღავათები და გარკვეული საგადასახადო არდადეგებიც (ე.წ. ბიზნესინკუბატორებისა და სასათბურე თავისუფალი ზონების მომრავლებით) მიენიჭოს, განსაკუთრებით, კრიზისულ პერიოდებში.

საერთაშორისო მენეჯმენტის ფინანსური მდგრადობის მონიტორინგის პროცესში, შესაძლებელია გამოვიყენოთ ე.წ. ფინანსური ავტონომიურობის კოეფიციენტი, რომელიც იანგარიშება, როგორც საკუთარი ფინანსური სახსრების შეფარდება მთლიანი სახსრების ოდენობასთან, რაშიც ნასესხები სახსრებიც მოიაზრება. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალია ავტონომიურობის კოეფიციენტი, მით უფრო ალბათურია ობიექტის ეკონომიკური მდგრადობა.

ფინანსური მდგრადობისათვის არსებითია ლიკვიდურობის, მანევრირებისა და დაფარვის კოეფიციენტების ნორმალიზებაც. ლიკვიდურობის კოეფიციენტი გვიჩვენებს, თუ მოკლევადიანი დავალიანებების რა ნაწილის დაფარვა შეუძლია სუბიექტს მოცემული მომენტისათვის, მანევრირებისა და დაფარვის კოეფიციენტები კი საკუთარი საბრუნავი სახსრების მობილობის დონეთა სპეციფიკას ახასიათებს ძირითად საშუალებებთან და სხვადასხვა დავალიანებებთან მიმართებაში.

საერთაშორისო ბიზნესის მონიტორინგის პროცესში დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ადგილობრივი სპეციფიკის სრულად გათვალისწინებას ორიგინალური და მრავალფაქტორული მიდგომების

გამოყენებით. ხშირია შემთხვევები, როცა სუბიექტს არსებითი ეკონომიკური პოტენციალი გააჩნია, მაგრამ არაეფექტიანი ფინანსური პოლიტიკით ვერ ხერხდება ამ პოტენციალის საკადრისად გამოყენება. არის შემთხვევებიც, როცა სხვა გამოცდილების მექანიკურად გადმოტანა ვერ იძლევა სასურველ შედეგს ახალ პირობებში. ამდენად, ყოველივე აღნიშნულს ყოველთვის დასაბუთებული ეკონომიკური განხილვა უნდა უსწრებდეს და ექსპერიმენტი მცირე პირობებში უნდა ჩატარდეს და არა საერთაშორისო ბიზნესის მთელ ობიექტზე.

საერთაშორისო ბიზნესზე სხვადასხვაგვარი ზეწოლის თანამედროვე შემცირების კონტექსტში, ვფიქრობ, საერთაშორისო პრაქტიკისათვის მიმზიდველი და სამაგალითო გახდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ადრინდელი გამარტივებები და შემცირებები. ბუნებრივია, შემცირებული გადასახადები ხარჯების შემცირებას განაპირობებს და სტიმულს მისცემს ბიზნესის თავისუფლებასა და ინოვაციური მეწარმეობის განვითარებას.

საერთაშორისო ბიზნესისათვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რომ მხოლოდ არგუმენტირებული დაგეგმვის საფუძველზე უზრუნველყოფილი ხარჯების შემცირება უზრუნველყოფს ეკონომიკურ აღმავლობასა და კადრების მაღალი პროფესიონალიზმის მიღწევასა და შენარჩუნებას. არგუმენტირებული გეგმები ფინანსების განკარგვის საფუძველი უნდა იყოს და არა თაროზე შესანახი ტვირთი, როგორც ეს ტენდენცია 20-25 წლის წინ ჩამოყალიბდა პოსტსაბჭოთა სივრცეში. უფრო

მეტიც, ზოგან ფაქტიურად საერთოდ შეწყდა ასეთი გეგმების მომზადების პრაქტიკა, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

მწვავე ეკონომიკურმა პრობლემებმა მსოფლიოში ფინანსების მონიტორინგშიც ახალი მიდგომების აუცილებლობა განაპირობა. მიმდინარე საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისი უკვე იმ ახალ პირობებში გამწვავდა, როცა ფაქტიურად აღარ არსებობს ეკონომიკურად პოლარულად დაპირისპირებული ე.წ. კომუნისტური და კაპიტალისტური მიდგომები. მაშასადამე, ამ უმძიმესი კრიზისის მიზეზები უკვე კაპიტალისტური ურთიერთობების წიაღშიც უნდა ვეძიოთ. ახალი ეკონომიკური ურთიერთობები უნდა ეფუძნებოდეს არამონოპოლურ წონასწორობას რეგულირებისა და თვითრეგულირების მექანიზმების თანაარსებობაში, მ.შ., როგორც ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, ასევე, განვითარებად და უღარიბეს პირობებში, სადაც ეტაპობრივად და შესაძლოდ სწრაფოდ უნდა იქნეს დაძლეული ხარჯტდევადობის პრობლემები.

რეგულირებისა და თვითრეგულირების ხსენებული მექანიზმებიდან ერთიც საჭიროა და მეორეც (თანაბრად ან მეტ-ნაკლები გარდამავალი უპირატესობებით) და მათი სრულფასოვანი მონიტორინგი და კონკურენცია უფრო სასურველ შედეგს მოგვცემს. სამწუხაროდ, ექსტრემალური მართვის (უკიდურესად რეგულირების ან უკიდურესად თვითრეგულირების) აპოლოგეტები ვერ ხვდებიან, რომ ობიექტური კანონზომიერებაც განსაზოგადოებისაკენ მიგვაქანებს, მაგრამ ეს განსაზოგადოება არ უნდა

იყოს უსასრულო, ვინაიდან, კერძო ინტერესის სრული იგნორირება დაუშვებელია. მაშასადამე, აუცილებელია ეკონომიკაში მონიტორინგისა და მართვის ახალი სისტემების შექმნა და მისი მუდმივი სრულყოფა. სამწუხაროდ, ამას უნებლიედ ეწინააღმდეგებიან ზოგიერთი კონსერვატორები. მაგალითისათვის, აშშ-ში პრეზიდენტმა ბ. ობამამ ზომიერი რეგულირების ეკონომიკური რეფორმა და სავალდებულო დაზღვევა შესთავაზა კონგრესს (ეს ერთ-ერთ საწყის მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ხსენებული მიდგომის განხორციელებისათვისაც. აშშ-ში და სხვაგანაც, შესაძლებელია, სხვადასხვა დროს ცდებიან კიდევ, მაგრამ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად მართებული გზაა შემოთავაზებული). თუმცა, პრეზიდენტს ეწინააღმდეგებიან საკმაოდ მრავალრიცხოვანი გუნდით. ასეთი უსაგნო გაუგებრობები ხშირად დიდ დროს გვაკარგვინებს რეფორმების გატარებისას და მნიშვნელოვან საერთო ეკონომიკურ დანაკარგებსაც განაპირობებს. ამდენად, უცილებელია კონკრეტულ გზებზე წინასწარი პროფესიული მსჯელობები, ხოლო აკვიატებული წინააღმდეგობები თავის გამოჩენის მიზნით, მეტად საზიანოა.

საერთაშორისო მენეჯმენტის მაღალპროფესიული მონიტორინგისათვის ძალზე ხელისშემშლელია, რომ ზოგიერთი ზემოხსენებული კონსერვატორი პოლიტიკოსი საუკეთესო პირობებს უქმნის კრიზისის მაპროვოცირებელ დესტაბილიზაციის პროცესებს სხვადასხვა ქვეყნებში, რაც მათ გარკვეულ სარგებელს აძლევს საბოლოო ჯამში. საერთაშორისო პრაქტიკა გვაჩვენებს,

რომ საკმაოდ ხშირია მაგალითები, როცა ასეთი პოლიტიკოსები უზრუნველყოფენ (ყიდიან ან არიგებენ დემპინგურად უფასოდ) სხვადასხვა გავლენებს – თანამდებობებს, ტიტულებსა და დიპლომებს ადამიანებზე, რომლებსაც საერთოდ არ აინტერესებთ ხალხის მომავალი და თავიანთ კონკრეტულ საქმეში (სპეციალობაში) არაფერი გაუკეთებიათ.

ფინანსური მოხვეჭის გაუაზრებელმა ინსტიქტმა არავის უნდა დაავიწყოს, რომ ადამიანის ფესვები უფლიდან მოდიან და ყოველთვის უნდა ვეცადოთ ისინი გონივრული საქმეებით ვაძლიეროთ და ვამრავლოთ. მხოლოდ სულიერი სიმტკიცე თუ გადაგვარჩენს ეკონომიკურ პრობლემებთან ბრძოლის ურთულეს საქმეში. უნდა ვიცოდეთ, რომ ახალი ეკონომიკური მიდგომების (საერთო ჯამში, ახალი ეკონომიკური სისტემის) გავრცელება მყისიერად მსოფლიო მასშტაბებით ვერ მოხერხდება და ეს უშუალოდ ჩვენი პროფესიული მოვალეობის სწორად გააზრებით უნდა დავიწყოთ. საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში უხვად გვყავს ნიჭიერი პროფესიონალები, როგორც წარმოების მეცნიერებატევად ტექნიკურ დარგებში, ასევე მათთან მჭიდროდ დაკავშირებულ მომსახურების სექტორებშიც.

ფინანსური მონიტორინგის წარმოებისა და მოსალოდნელი ტენდენციების კორექტირებისას, გასათვალისწინებელია დადებითი გამოცდილებების რეალობა, რომ ამერიკული და დასავლეთ ევროპული ეკონომიკა მნიშვნელოვნად გაიჭრა წინ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეკონომიკა ძალზე ინერციულია და წელიწადში მაქსიმუმ 10–15 პროცენტით

შეიძლება გაიზარდოს, ისიც მხოლოდ პოსტკრიზისული დასუსტების ფონზე. მძლავრი ეკონომიკები და საერთაშორისო კომპანიები 1–5 პროცენტსაც სჯერდება და აღნიშნულს სასარგებლოდ იყენებს მსოფლიო ეკონომიკაში წამყვანი როლის შესანარჩუნებლად. ზემოხსენებული არ ნიშნავს, რომ ქართული ბიზნესის ადრინდელი ჩამორჩენა და მისი რეალური ჩართულობის პრობლემა საერთაშორისო ბიზნესში დაუძლეველი სენია. იმედია, დაწყებული რეფორმები არ შენელებს უახლოეს 10 წელიწადში, რაც ეკონომიკის საფუძვლის ჩაყრის წარმატებით დასრულებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება. სამაგალითოდ და სისტემატურად გასათვალისწინებელი და ღრმადაა შესასწავლი ე.წ. აზიური ვეფხვის – სამხრეთ კორეის ფენომენიც, რომელმაც უღარიბესი ქვეყანა, არსებითი დასავლური დახმარებისა და ადგილობრივი ორიგინალური ნიჭიერების შეხამებით, სუპერმოწინავეებში გამოიყვანა ისტორიისათვის ხანმოკლე სულ რაღაც 5–7 წელიწადში. სამაგალითოდ და ძალზე საინტერესოა სინგაპურის, მალაიზიის, გაერთიანებული ემირატებისა და თავისუფალი ზონალური მოწყობის შედეგიანი მექანიზმები (მსოფლიოში საკმარისადაა პროგრესული მექანიზმების გამოყენების უშედეგო მცდელობებიც), რომლებიც არსებითად მზარდი პერსპექტივებით გამოირჩევა. დასავლურ ფინანსურ დახმარებაზე გარკვეულწილად დამოკიდებულების მიუხედავად, დასახლებული სხვადასხვა მასშტაბის რეგიონები პროვინციული მიმბაძველობით არ კმაყოფილდება და საინტერესო ორიგინალური მიდგომებით თავადაც

საინტერესო გახდა დასავლელი პარტნიორებისათვის.

საერთაშორისო ბიზნესის ეფექტიანი დაწყებისა და შემდგომში მისი წარმატებული მართვისათვის, აუცილებელია, ვაწარმოთ ფინანსური მდგომარეობის სისტემატური მონიტორინგი - მუდმივი დაკვირვება და ანალიტიკური განზოგადება სხვადასხვა მექანიზმებისა და საშუალებების გამოყენებით, რისთვისაც, მიზანშეწონილია, გამოვიყენოთ მაჩვენებელთა სისტემა. კერძოდ, მიზანშეწონილია, განვსაზღვროთ შემდეგი მაჩვენებლები:

- 1) სამეწარმეო სუბიექტის წმინდა ღირებულება ანუ ე.წ. საკუთარი კაპიტალი, რომელიც წარმოადგენს განსხვავებას მეწარმის აქტივებსა და პასივებს შორის:

$$\text{წმ. ღირებულება} = \text{აქტივები} - \text{პასივები}$$

აქტივებს, როგორც ცნობილია, შეიძლება წარმოადგენდეს ყველაფერი ის, რასაც ფლობს მეწარმე, მ.შ. ნაღდი ფული და ფასიანი ქაღალდები, ანგარიშები ბანკებში, სასაქონლო მარაგები, შენობა-ნაგებობები (რომლებიც უნდა შეფასდეს ცვეთის გათვალისწინებით ანუ, როგორც პირველადაწყებით ღირებულებას მინუს ცვეთა), მანქანა-მოწყობილობები (ასევე ცვეთის გათვალისწინებით) და სხვ.

პასივები კი წარმოადგენს მეწარმის ვალდებულებებსა და სესხებს, მ.შ. სხვადასხვა გადასახდელ თანხებს, გასაცემ ხელფასს, ვალებს სადაზღვევო კომპანიის გირაოს გარანტიით, საბანკო სესხებს და სხვ;

- 2) მეწარმის შემოსავალი ანუ დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, წელიწადში) საქონლისა და მომსახურების რეალიზების შედეგად მიღებული ფინანსური სახსრები;
- 3) მეწარმის ხარჯები ანუ დროის გარკვეულ პერიოდში საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და რეალიზებაზე გაწეული სხვადასხვა ხარჯების ჯამი;
- 4) საბალანსო მოგება ანუ წმინდა შემოსავალი, რომელიც წარმოადგენს შემოსავლების გადამეტებას ჯამურ ხარჯებთან შედარებით:

$$\begin{aligned} \text{საბალანსო მოგება (წმინდა შემოსავალი)} &= \\ &= \text{შემოსავლები} - \text{ხარჯები} \end{aligned}$$

- 5) წმინდა მოგება, რომელიც იანგარიშება საბალანსო მოგებიდან გადასახადის გამოკლებით;
- 6) ხარჯების (პროდუქციის) რენტაბელობა - ROC (return on cost), რომელიც იანგარიშება მოგების ფარდობით პროდუქციის წარმოებასა და რეალიზებაზე გაწეული ხარჯების ფულად გამოხატულებასთან (თვითღირებულებასთან):

$$\text{ხარჯების (პროდუქციის) რენტაბელობა} = \text{მოგება} / \text{თვითღირებულება}$$

- 7) საკუთარი კაპიტალის (წარმოების რენტაბელობა) რენტაბელობა - ROE (return on equity), რომელიც, მაგალითისათვის, შეიძლება ვიანგარიშოთ წმინდა შემოსავლების (საბუღალტრო მოგების) ფარდობით აქციონერულ კაპიტალთან ან ძირითადი და საბრუნავი კაპიტალების საშუალოწლიურ ღირებულებათა ჯამთან;

- 8) საბრუნავი საშუალებების ბრუნვის კოეფიციენტი ანუ ბრუნთა რიცხვი გარკვეულ დროის პერიოდში (მაგალითად, წელიწადში), რომელიც იანგარიშება, როგორც საბრუნავი საშუალებების (ფულადი სახსრები, მზა პროდუქცია საწყობში, დაუმთავრებელი წარმოება და მომსახურება, სწრაფცვეთადი და იაფფასიანი ინვენტარი, მარაგები, მ.შ. საწვავი, მასალები, ნედლეული და სხვ.) უკუგება ანუ წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) ფარდობა საბრუნავი საშუალებების საშუალოწლიურ ღირებულებასთან განსახილველ პერიოდში;
- 9) საბრუნავი საშუალებების ბრუნვის ხანგრძლივობა დღეებში, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ, როგორც განსახილველი პერიოდის დღეთა რაოდენობისა და საბრუნავი საშუალებების საშუალო მაჩვენებლის ნამრავლის შეფარდება წარმოებული პროდუქციის (მომსახურების) მთლიან ოდენობასთან;
- 10) ფინანსური ავტონომიურობის კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ, როგორც საკუთარი ფულადი სახსრების შეფარდება საკუთარი და მოზიდული სახსრების ჯამთან;
- 11) ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ნაღდი ფულის მარაგის მიხედვით), რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ, როგორც სალაროსა და ბანკში ნაღდი ფულის მარაგის ფარდობა მოკლევადიანი სესხების მოცულობასთან;

- 12) ლიკვიდურობის კოეფიციენტი (ნაღდი ფულისა და ფასიანი ქაღალდების ღირებულების ჯამის ან ნამრავლის მიხედვით), რომელიც იანგარიშება ხსენებული ჯამის ან ნამრავლის ფარდობით მოკლევადიანი სესხების მოცულობასთან;
- 13) მანევრირების კოეფიციენტი, რომელიც შეიძლება ვიანგარიშოთ საკუთარი სახსრების მოცულობის ფარდობით საბრუნავ საშუალებებში დაბანდებული საკუთარი სახსრების მოცულობასთან;
- 14) დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც განსახილველი პერიოდისათვის იანგარიშობა საბრუნავი საშუალებების საშუალო მაჩვენებლის ფარდობით მოკლევადიანი სესხების ჯამურ მოცულობასთან;
- 15) კაპიტალუკუგება და მასალაუკუგება, რომლებიც წარმოადგენს ირიბ ფინანსურ მაჩვენებლებს და იანგარიშება რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) ფარდობით შესაბამისად ძირითადი კაპიტალის საშუალოწლიურ და მოხმარებული მასალების ღირებულებებთან;
- 16) ძირითადი კაპიტალის განახლების კოეფიციენტი, რომელიც ფინანსური კრიზისის გამწვავების დროს არსებითი მატებით უნდა ხასიათდებოდეს, განისაზღვრება, როგორც გარკვეულ პერიოდში ახლადამოქმედებული ძირითადი კაპიტალის ფარდობა ამავე კაპიტალის მთლიან ღირებულებასთან განსახილველი პერიოდის ბოლოსათვის. შესაბამისად, ფინანსური კრიზისის დროს უნდა იზრდებოდეს მოძველებული ძირითადი კაპიტალის გასვლის

კოეფიციენტიც, რომელიც იანგარიშება, როგორც ჩამოწერილი (ლიკვიდირებული) ძირითადი კაპიტალის ღირებულების ფარდობა ძირითად კაპიტალის მთლიან ღირებულებასთან განსახილველი პერიოდის დასაწყისისათვის;

17) მწარმოებლურობა (პროდუქტიულობა), რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფინანსური რესურსების გამოყენების მაჩვენებელიც და ვიანგარიშოთ რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) შედეგად მიღებული შემოსავლების ფარდობით სამეწარმეო სუბიექტში დასაქმებული პერსონალის რიცხოვნებასთან.

ხშირია შემთხვევები, როცა ცნობილი უცხოელი ეკონომისტების შემოხსენებული მაჩვენებლების ინტერპრეტირებები, არაკვალიფიციური მთარგმნელების მიერ ან ნაჩქარევი თარგმნისას, აზრობრივად ალოგიკური ხდება ან თავად ეს ეკონომისტებიც, ბუნებრივია, ყოველთვის სრულად ვერ ხედავენ ყველა მაჩვენებლის მნიშვნელობას და, ამდენად, გარკვეულ უზუსტობებსაც უშვებენ. შედეგად, ვერ ხერხდება სრულფასოვანი ფინანსური მონიტორინგის ჩატარება და, შესაბამისად, ბიზნესის შესაძლოდ ზუსტი და ეფექტიანი დაგეგმვა და მართვა.

მენეჯერული საქმიანობის განმაზოგადებელ შედეგს სამართავი ობიექტის მთლიანი შემოსავლების მატება წარმოადგენს, რამაც, ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, საშუალება უნდა მისცეს მენეჯმენტს სრულფასოვნად დაფაროს გაწეული ხარჯები და მოახერხოს მოგების

მზარდი აკუმულირება.

როგორც ცნობილია, მეწარმის შემოსავალი დროის გარკვეულ პერიოდში (მაგალითად, წელიწადში) საქონლისა და მომსახურების რეალიზების შედეგად მიღებული ფინანსური სახსრებია.

შემოსავლების მატება არ ნიშნავს ობიექტის ეფექტიან ფუნქციონირებას, თუ შემოსავლების ეს მატება ხარჯების უფრო არსებით მატებას უკავშირდება.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დიდი შემოსავლების ობიექტები, შესაძლოა, ზრდის ძალზე დაბალი ტემპებით (1-დან 5 პროცენტამდე) ხასიათდებოდეს, მაგრამ ეს მცირე ტემპი აბსოლუტურ გამოხატულებაში საკმაოდ მაღალ ოდენობებს აღწევდეს და, ასეთ შემთხვევაში, მცირე ობიექტების ძალზე მაღალი ტემპები, შორეულ სტრატეგიაშიც კი, ვერ შეცვლის არსებით განსხვავებას აღნიშნული ობიექტების მასშტაბებსა და აბსოლუტურ შემოსავლებში.

თუ შემოსავალი და მისი საშუალებით ხარჯების დაფარვის შემდეგ დარჩენილი მოგება საერთაშორისო ბიზნესის ობიექტის განმაზოგადებელ შედეგებს წარმოადგენს, აღნიშნული შედეგების ფარდობა ხარჯებთან ან გამოყენებულ რესურებთან, როგორც ცნობილია, ეფექტიანობის (შედეგიანობის) ეკონომიკური კატეგორიებით განიმარტება. მათ შორის, რენტაბელობა წარმოადგენს უშუალოდ ხარჯების შედეგიანობის გამომხატველ და ბიზნესის გამოსყიდვის ვადის ამსახველ განმაზოგადებელ მაჩვენებელს. მაგალითისათვის, თუ პროდუქციის რენტაბელობა 0,2-ია (ანუ

20%), ეს იმას ნიშნავს, რომ ხარჯები 5 წელიწადში გამოისყიდება.

ბიზნეს-გეგმების დასკვნითი ნაწილი სწორედ რენტაბელობის დონით ჯამდება, რომელიც არგუმენტირებული გაანგარიშებებით უნდა იყოს დასაბუთებული. ხშირია შემთხვევები, როცა მაღალი რენტაბელობა (50 ან 100% და უფრო მეტიც) მაღალ რისკთანაა დაკავშირებული, ამდენად, მიზანშეწონილია, რენტაბელობა ზომიერი (10-20%) და რეალური (ნაკლებრისკიანი) იყოს. თუმცა ვენჩურული ბიზნესი, რომელიც დაკავშირებულია მაღალრისკიან მეცნიერებატევად პროექტებთან, ზრდის რისკების ვარიაციას და ამცირებს რენტაბელობას ოპერატიულ მომავალში, ამდენად, ასეთ პროექტებში სახელმწიფო ჩართულობა უნდა იზრდებოდეს.

რენტაბელობის უმთავრესი ინდიკატორი, როგორც ცნობილია, იანგარიშება მოგების ფარდობით გაწეულ ხარჯებთან, ამდენად, მოგება რენტაბელობის განმსაზღვრელი და მასზე პირდაპირპროპორციულად მოქმედი ფაქტორია.

ეკონომიკური ანალიზისათვის გამოიყენება ე.წ. ეკონომიკური (ნარჩენი) მოგების მაჩვენებელიც, რომელიც იანგარიშება დაკარგული უპირატესობებისა და თვითღირებულებაში აღურიცხავი დამატებითი ხარჯების გამოქვითვით, მ.შ. ჩინოვნიკების დაუმსახურებელ პრემიალურ „სტიმულირებაზე“, რაც განსაკუთრებით ხშირია კორუფციულ ეკონომიკაში.

როგორც ცნობილია, მეწარმეები, იბეგრებიან საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული მოგების გადასახადით, რაც გროვდება სახელმწიფო ბიუჯეტში და, საერთო ჯამში, გონივრულად არგუმენტირებული

საფინანსო პოლიტიკის შედეგად, სასარგებლოდ უნდა გამოიყენებოდეს მეწარმეობის განვითარებისა და მოსახლეობის სოციალური პრობლემების მოგვარებისათვის.

ჩვენი აზრით, ექსპერტული გათვლებით, მომავალში სოციალური სერვისების დაბეგრვა, მიზანშეწონილია, შემოსავლის 3%-მდეც დავწიოთ, რაც ოპტიმალური განაკვეთია ეფექტიანობის თვალსაზრისითაც. რაც შეეხება მსხვილ გადამხდელებს, მათი დაბეგრვა 50–60 და, გარკვეულ შემთხვევებში, 70%-მდეც უნდა ამაღლდეს.

ამასთანავე, ხარჯების მინიმიზების თვალსაზრისით, საერთაშორისო ინვესტორებისათვის სამაგალითოდ გასათვალისწინებელია, რომ უმსხვილესი სამედიცინო ობიექტები თავიანთი პროფილის მედმომსახურების ბაზრის მესამედზე მეტს არ უნდა იკავებდეს და მოქმედი სუპერმსხვილი ობიექტები, სრულფასოვანი რეანიმაციული კონკურენციისათვის, აუცილებლად უნდა დანაწევრდეს გონივრული პროპორციებით.

ამ მიმართებით, ძალზე მნიშვნელოვანია აშშ-ს მიერ ქართული რეფორმების მუდმივი მხარდჭერა და შეფასება, თუმცა, მიღწეულით დაკმაყოფილება არასოდეს არ იყო და არც უნდა იყოს საკმარისი. აუცილებელია, სამედიცინო მომსახურებაზე ხარჯების შემცირების გამოცდილებების უკეთ შესწავლა და გაზიარება შემდგომშიც. ამ მხრივ, მიზანშეწონილია, სამთავრობო და საუნივერსიტეტო ჯგუფების კიდევ უფრო აქტიურად მივლინება სამაგალითო ქვეყნებში.

არსებითი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო დაზღვევის შემოღებით მომძლავრებული და ახლადშექმნილი სამედიცინო ობიექტების დამატებით მხარდაჭერას ხარჯების და, შესაბამისად, ფასების შემცირებისა და, გამომდინარე, მედმომსახურების ექსპორტის ეფექტიანობის სტიმულირების მიზნებით, რომლის პოტენციალიც საქართველოში საკმაოდ უხვადაა. ნამდვილად მისანიშნებელი და სამაგალითოა, რომ კბილის, ჰემატოლოგიის, კარდიოლოგიისა და სხვა გადაუდებელ აუცილებლობაზე ხარისხიანად და შესაძლოდ იაფად მკურნალობისათვის ყველაზე განვითარებული ქვეყნებიდანაც კი ჩამოდიან საქართველოში. ამდენად, აქტუალური და მნიშვნელოვანია კაპიტალის ეფექტიანი გადადინების საერთაშორისო მოძრაობაზე ბარიერების შემდგომი მინიმიზაცია, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს.

მუდმივი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და კრიზისით გამოწვეული დროებითი ფაქტორების მოქმედებით, მიმდინარეობს მნიშვნელოვანი პერიოდული ძვრები ეკონომიკის სტრუქტურაში, რაც ობიექტურად (პერიოდულად, გარკვეულწილად) ზრდის უმუშევრობის დონესაც. ამ მიმართებით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 0-3-5%-იანი განაკვეთები (რაც დაემთხვა ჩვენი ადრინდელი კვლევის შედეგებს) სამაგალითოა მიკრო და მცირე ბიზნესის (მ.შ. საერთაშორისო) ხელშეწყობის თვალსაზრისითაც, რამაც მსოფლიო ეკონომიკური წრეების გარკვეული ყურადღება მიიპყრო, რაც, შემდგომი განვითარების შემთხვევაში, პოსტკრიზისულ ეკონომიკაში მასობრივი დასაქმების

საუკეთესო საშუალება იქნება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების რაოდენობის შემცირების მიუხედავად, ახალგაზრდა მეწარმეობისათვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია გადასახადების საერთო ტვირთი და საგადასახადო კოდექსიც მნიშვნელოვნად გადატვირთულია მათი კონსტატაციით.

ბევრმა უმუშევარმა შეიძლება არც იცის, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის მისედევით, ფიზიკურ პირს (მ.შ. ჯანდაცვაში), რომელიც არ იყენებს დაქირავებულ პირთა შრომას და დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას, შეიძლება მიენიჭოს მიკრო ბიზნესის სტატუსი, თუ მის მიერ მისაღები ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30000 ლარს და ამ სტატუსის ფიზიკური პირი არ იხდის საშემოსავლო გადასახადს, ხოლო მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100000 ლარს და ასეთი მცირე ბიზნესის დასაბეგრი შემოსავალი ცალკეულ შემთხვევებში იბეგრება მხოლოდ 3–5%-ით.

მცირე ბიზნესი ხელს უწყობს როგორც კაპიტალის ეფექტიან საერთშორისო დარგთაშორის გადადინებას მოთხოვნილებებზე ოპერატიული რეაგირების წყალობით, ასევე ფინანსური სახსრების განკარგვის საჭირო რენტაბელურ ავტონომიურობას, შესაბამისად, ობიექტურად მცირდება დანაკარგები და სხვადასხვა კორუფციული

მითვისებების შემთხვევები (მეწარმე საკუთარ თავს ხომ არ მოპარავს), აგრეთვე, სატრანსპორტო და სხვა მენეჯერული საქმიანობის ხარჯებიც ზედმიწევით გაბერილ აპარატებზე, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, ჯერ კიდევ სახელმწიფო ბიუჯეტით საზრდოობენ.

მხოლოდ საზრიანი და გამჭვირვალე საზოგადოებრივი მონიტორინგის საფუძველზე შეიძლება გამოვლინდეს არაკეთილსინდისიერი ფარული ჰორიზონტალური და ვერტიკალური შეთანხმებები ალიანსებში და განვითარდეს კეთილსინდიდური კონკურენცია, რომელიც ქმნის საფუძველს ცალკეულ ბუნებრივ უპირატესობათა საუკეთესო ნაკრების წარმოჩენისათვის.

ოპტიმალური (მისაღები) ზომიერების სამეწარმეო სუბიექტების სიმრავლე (საჭირო წარმოებისა და მომსახურების სახეობით, არამოჩვენებითი ტექნოლოგიური დონითა და სხვა პროდუქტიული სიმძლავრეებით) მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მეწარმეთა პაექრობა შესაძლებელია განსაკუთრებით სახიფათოც (კონფლიქტური) გახდეს, თუ საზოგადოების სულიერება სუსტდება. ამდენად, პაექრობა მხოლოდ და მხოლოდ სიკეთის (კეთილდღეობის) ქმნაში შეჯიბრად უნდა მოვიაზროთ უკეთესი საკუთარი პროდუქტის შესაქმნელად, რაც საერთო ჯამში საერთო კეთილდღეობასაც ამაღლებს.

როცა კონკურენტულობის ხარისხის ასამაღლებლად საერთშრისო მენეჯმენტის სტრატეგია მზადდება, რეტროსპექტივაც ღრმად და

რეალურად უნდა გავიაზროთ. საქართველოს ეკონომიკამ მრავალი ურთულესი გამოცდა ჩააბარა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შენიღბულ საგარეო მონოპოლიათა ეკონომიკური დივერსიები და სამხედრო აგრესიები, დამოუკიდებელი ეკონომიკის მართვის გამოუცდელობით გამოწვეული არნახული ჰიპერინფლაცია და ბუნებრივი სტიქიური უბედურებანი. თუმცა, როგორც ხანგრძლივი სახელმწიფოებრიობის ისტორიაში ყოველთვის, ქვეყანამ საბოლოოდ გაუძლო უმძიმეს კრიზისულ გართულებებს და სტაბილური განვითარების იშვიათ ნიშნებსაც ავლენს.

სტრატეგიული გეგმების მთავარი მიზანი სწორედ თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნა უნდა იყოს ეკონომიკაში – ეკონომიკური მონოპოლიების აგრესია ხომ სამხედროზე არანაკლებ რთული მოსაგერიებელია, მითუმეტეს, რომ ეკონომიკის მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, მცირე ქვეყანა მეტად მიდრეკილებადია ნათესაურ–კლანური მონოპოლიებით მართვისაკენ და მას ყოველთვის განსაკუთრებით უჭირს დიდ საერთაშორისო მონოპოლიებთან გამკლავება, რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, მინიმალური დემპინგური ფასებით აკოტრებენ ადგილობრივი ბაზრის სუბიექტებს, მ.შ. მცირე ქვეყნისათვის უჩვეულოდ დიდი პოტენციალის და მდიდარი სოფლის საუკეთესო ხარისხობრივი მაჩვენებლების სასურსათო ბაზრის ადგილობრივ მეწარმეებს და შედეგად ვლენობით, რომ ცნობილ აგრარულ ქვეყანაში ადამიანების მნიშვნელოვანი ფენა შიმშილობს კიდევ, მ.შ. სოფლად, რაც ყოველად

დაუშვებელია.

სპორტული შეჯიბრისაგან განსხვავებით, როცა ერთი იგებს, ხოლო მეორე მარცხდება, სრულყოფილ ეკონომიკურ კონკურენციაში ორივე მხარე მეტად მობილიზებული და საბოლოო ჯამში მოგებულია და ბაზარს იმდენი მიეწოდება, რამდენიც მოთხოვნელს რეალურად უნდა და მიმწოდებელიც მაქსიმალურად შესაძლო შემოსავალს იღებს და მყიდველი საბოლოოდ ნაკლებს იხდის იმასთან შედარებით, რაც მას მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სხვა გზით მოუწევდა.

სტრატეგიულ გეგმებით დაინტერესებულ არაპროფესიონალ მკითხველსაც, ვფიქრობ, საჭიროა განემარტოს, რომ ტექნიკური დონის თვალსაზრისითაც კი, რაც არ უნდა განვითარებული იყოს ბაზარი, თუ კონკურენცია არ არის სრულყოფილებასთან მიახლოებული, ეკონომიკური სარგებლიანობის ნაცვლად, შესაძლოა, დიდ დანაკარგებთან გვექონდეს საქმე. განსაკუთრებით სავალალოა შედეგი, როცა ბაზარს თავის სასარგებლოდ “ერთმმართველი” აკონტროლებს (მონოპოლია, როცა გამყოფელია ერთი და მონოფსონია, როცა მყიდველია ერთი) ან ეკონომიკური სუბიექტების რიცხვი შეზღუდულია (ოლიგოპოლია, ანუ ჯგუფური მონოპოლია, მათ შორის დუოპოლია, როცა მხოლოდ ორი მიმწოდებელია ბაზარზე) და ხსენებულ სუბიექტებს შესაძლებლობა ეძლევათ ფარულ შეთანხმებაში შევიდნენ. კონკურენციის ხარისხისა მიხედვით, შესაბამისად, შესაძლებელია განვასხვავოთ თავისუფალი ბაზარი სრულყოფილი კონკურენციით, ოლიგოპოლური და მონოპოლური კონკურენციები და

აბსოლუტურად მონოპოლიზებული ბაზარი.

საქართველოს ეკონომიკას, მაქსიმალურად კონკურენტული გარემოს შექმნის მიუხედავად, შესაძლოა, პრაქტიკულად ვერასდროს ექნეს პრეტენზია პირველ ადგილზე გავიდეს მსოფლიოში მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლით, მაგრამ სამაგალითო ხარისხობრივი შედეგების მიღწევის პოტენციალი და მაგალითები არის, რაც კიდევ უფრო უნდა გამრავლდეს. მეტად სრულყოფილ დარგთაშორის კონკურენციაში მონაწილეობა აიძულებს ფირმებს უფრო რაციონალურად გადაანაწილონ რესურსები, ხოლო საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობა ქვეყნის მთავრობებს სულ უფრო მეტ სტიმულს მისცემს სრულყოფის საკანონმდებლო ბაზა.

უძველესი ისტორია ადასტურებს ობიექტურ კანონზომიერებას, რომ მეცნიერებისა და ტექნიკური პროგრესის დამსახურებით მატულობს ეკონომიკური ეფექტიანობა და მ.შ. მწარმოებლურობა (პროდუქტიულობა) მსოფლიო ეკონომიკაში და ცხოვრებაც სულ უფრო არსებითად უნდა უმჯობესდებოდეს, მაგრამ ფარული მონოპოლიები ეკონომიკაში არსებითად აფერხებს ამ გაუმჯობესებას და ითვისებს ხშირ შემთხვევაში სიკეთისათვის გამიზნულ ხალხის კუთვნილ უდიდეს სიმდიდრეებს.

ინოვაციური (მეცნიერულ-ტექნიკური) დონის ერთ-ერთ მთავარ მაჩვენებელს ძირითადი კაპიტალის სტრუქტურაში მანქანა-მოწყობილობების ხვედრიწონის მატება წარმოადგენს. ტექნიკა ხარისხობრივადაც უმჯობესდება და რაოდენობრივადაც მეტად და მეტად

გროვდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა უახლეს ისტორიაში ინგლისური სამრეწველო რევოლუციისა და ამერიკული ინტერნეტ-კომპიუტერიზაციის ეპოქების შემდეგ. შედეგად, როგორც აღინიშნა, მომსახურებისა და წარმოების პროდუქტიულობის (ე. წ. შრომის ნაყოფიერების) ზრდის ობიექტური კანონზომიერება კიდევ უფრო აჩქარდა ტემპებში, მაგრამ მე-2-მე-3 ათასწლეულების მიჯნაზე საქართველოში საპირისპირო შედეგი მივიღეთ არნახულად გახანგრძლივებული კრიზისის სახით და ამ ცივილიზებულ ეპოქაშიც კი ძალზე ბევრი ღარიბია და უფრო მეტიც – უჩვეულოდ იზრდება პოლარიზება ფინანსების განაწილებაშიც მონოპოლიების უსამართლო ბუნებრივი ინსტიქტების გამო. თითქმის ასეთივე მდგომარეობაა დანარჩენ განვითარებად სამყაროშიც. კაცობრიობის პროგრესული ძალები თუ სტრატეგიულად არ გაერთიანდა მონოლიური ურჩხულის წინააღმდეგ, რომელიც განსაკუთრებით ბოროტ ტერორიზმსაც ასაზრდოებს, კაცობრიობას კეთილი მომავლის იმედი სულ უფრო ნაკლებად ექნება.

სხვადასხვა ქვეყნის ეკონომიკის მონოპოლიური ურჩხულის დიდი თუ მცირე წარმომადგენლობების კიდევ უფრო გაძლიერება და მათ მიერ ჯერ კიდევ ჯანსაღი ძალების შთანთქმა არ უნდა დავუშვათ. ტექნიკური სუპერპროგრესის ეპოქაში ისეთი ინოვაციურ-ტექნიკური პოტენციალია დაგროვილი (ეს ელემენტარული გათვლებითაც დასტურდება, მ. შ. ჩვენი მასშტაბებისათვის საქართველოს უმსხვილესი ტექნიკური უნივერსიტეტის მომზადებული საკმარისად კომპეტენტური კადრების რაოდენობის

ასტრონომიული რიცხვის სახით), რომ ადამიანებს ეკონომიკური პრობლემები აღარ უნდა ჰქონდეთ, თუ ამ მონოპოლიებს დროულად დავამარცხებთ. ამ ბრძოლაში, საერთაშორისო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად, ეროვნული მთავრობების საერთო ძალიხმევა დაგვჭირდება და არ შეიძლება ამ საკითხის უტოპიურთა რიგზე მიკუთვნება. ის ძალზე აქტუალური და საკმაოდ ადვილად გადაწყვეტადიცაა, თუ ადამიანები და, განსაკუთრებით, სპეციალისტები გააცნობიერებენ, რომ ეს აბსოლუტურად ყველასათვისაა სასიცოცხლოდ სასარგებლო.

თუ მენეჯერული ხარჯების ეფექტიანობის პირდაპირი მაჩვენებლების წრე შედარებით შეზღუდულია (რენტაბელობა და უშუალოდ მენეჯერთა პროდუქტიულობის მაჩვენებლები), ირიბი მაჩვენებლები შეიძლება მოიცავდეს როგორც პერსონალის, ასევე, ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის, აგრეთვე, გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის უკუგების სხვადასხვა მაჩვენებელს. ანალიზის (ბიზნესის დიაგნოსტიკის) პროცესში მათი კომპლექსური გამოყენება უფრო სრულყოფილი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

ყოველი ბიზნეს-სუბიექტის მენეჯერული საქმიანობის შედეგი, საერთო ჯამში, მმართველობითი აპარატის გადაწყვეტილებების ეფექტიანობაში გამოიხატება მაღალხარისხიანი პროდუქციისა და მომსახურების საჭირო ზრდის პირობებში. აღნიშნული ეფექტიანობა ნიშნავს, რომ შემოსავლები ხარჯებს უნდა ამეტებდეს, მომსახურება მაღალხარისხიანი იყოს საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით

და მართვა მოწყვეტილი არ იყოს სამართავი ობიექტის ქვედა რგოლებს, ე.ი. საქმიანად და მზრუნველად მოიცავდეს ორგანიზაციული მოწყობის ყველა რგოლს დაბლიდან უმაღლეს იერარქიამდე.

ეფექტიანობის ამაღლებისათვის მართებული დასკვნებისა და გადაწყვეტილებებისათვის საჭირო მენეჯერული საქმიანობის ანალიზმა მხოლოდ მრავალფაქტორული მიდგომით შეიძლება მოგვცეს შესაძლოდ სრულყოფილი შედეგები. აღნიშნული მონიტორინგი მიმართული უნდა იყოს ცალკეული რგოლების შიდა ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენის, გარე შესაძლებლობებისა და საფრთხეების შეფასებისა და, შესაბამისად, გამოვლენილი რეზერვების თითქმის აბსოლუტური მარგიქმედებით უკეთ გამოყენებისაკენ, რაც, ხშირ შემთხვევაში, საერთაშრისო ბიზნესის ურთულეს კონკურენტულ პირობებს უკავშირდება. შესაბამისად, ხარჯების შემცირების წინადადებები აუცილებლად უნდა იყოს შერწყმული ხარისხობრივი პარამეტრების გაუმჯობესებასთან, რათა ამაღლდეს კონკურენტუნარიანობა და, შესაბამისად, წარმოებისა და მომსახურების საჭირო ხარისხი ბაზარზე. გასათვალისწინებელია, რომ მენეჯერული საქმიანობის ანალიზი მიკროდონეზე უკავშირდება კონკურენტების ხარჯების შესახებ ინფორმაციის მიღების სირთულეებსაც, ვინაიდან, ხშირ შემთხვევაში, ასეთი ინფორმაცია, ბუნებრივია, ცალკეული ფორმების კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

მენეჯმენტის ეფექტიანი სისტემა, ბუნებრივია, საკუთარი ბიზნესის გაუმჯობესების საქმეს უნდა ემსახურებოდეს და აღნიშნული, საბოლოო

ჯამში, პირდაპირი და ირიბი ფაქტორების ერთობლიობაში, მთლიანი შიდა პროდუქტის ამაღლებას უზრუნველყოფდეს და ეს ისე უნდა მოხერხდეს, რომ დასაქმებული პერსონალის და საერთოდ მოსახლეობის აღწარმოება, საერთაშორისო ბიზნესისა და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების საერთო ძალისხმევით, გაფართოებული და ხარისხიანი იყოს.

მაგალითისათვის, საერთაშორისო სამედიცინო ბიზნესისა და გამოსაჯანმრთელებელი პაციენტის შემთხვევაში, ჯანდაცვის კონკრეტული პროდუქტი (შედეგი) – ადამიანის სრული გამოჯანმრთელება, თუმცა არის შემთხვევები, როცა მნიშვნელოვანი კვალიფიციური სამედიცინო მომსახურების გაწევის მიუხედავად, ქრონიკული ავადობებისა და სხვა გართულებული შემთხვევების სრული გამოჯანმრთელება საუკეთესო ცენტრებშიც ვერ ხერხდება, მაგრამ გარკვეულ წინგადადგმულ სასარგებლო შედეგთან ამ შემთხვევაშიც უნდა გვქონდეს საქმე. საერთაშორისო ჯანდაცვითი ბიზნესის ეფექტიანი მენეჯმენტის თანამედროვე კვლევების მიხედვით, დასავლეთში და საერთოდ მსოფლიოში აქტუალურია და პრიორიტეტულად ვითარდება ისეთი დარგები და სპეციალიზაციები, როგორცაა ჯანმრთელობის ხელშეწყობა, გამაფრთხილებელი მედიცინა, დაავადებათა პროფილაქტიკა, სოციალური მარკეტინგი, პაციენტთა განათლება, მეცნიერება ჯანმრთელი გარემოს შესახებ, არაინფექციურ დაავადებათა ეპიდემიოლოგია, ჯანდაცვის ეკონომიკა, ჯანდაცვის ადმინისტრირება, სამედიცინო მარკეტინგი და სხვა, რაც, საერთაშორისო

კვლევების შესწავლის შედეგად, განზოგადებულია ქართველ და უცხოელ სპეციალისტთა მეტად საინტერესო შრომებში და რაც, როგორც ითქვა, აღინიშნება ჩემს შრომებშიც [37-40].

არსებითად იცვლება საერთაშორისო ჯანდაცვითი ბიზნესგარემო და მისი ეფექტიანი მენეჯმენტისა და ადმინისტრირების სტრუქტურაც. მაგალითისათვის, მრავალპროფილიანი საავადმყოფის სტრუქტურაში, რომელიც აღმასრულებელი დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ იმართება, არსებითი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს სამედიცინო მომსახურების სტრატეგიული დაგეგმვის სამსახურს, ასევე, ფინანსურ, ტექნიკურ და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს, რომლებსაც თეორიული ცოდნით აღჭურვილი შესაბამისი მენეჯერები უნდა ხელმძღვანელობდნენ.

როგორც ცნობილია, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინოვაციურ პროცესებთან ერთად, ღრმავდება ობიექტების მასშტაბების ზრდის პროცესიც. შესაბამისად, ჯანდაცვის ობიექტის გამსხვილებასთან ერთად, საშუალოდ კლებულობს მართვისა და სხვადასხვა ზედნადები ხარჯების წილი, შედეგად, კუთრი ხარჯები გამოყენებული რესურსების ერთეულზე. მაგალითისათვის, 200 საწოლზე მეტი ტევადობის საავადმყოფოში თითქმის 2 ჯერ ნაკლებია 1 საწოლზე კუთრი ხარჯები, 50 საწოლიან საავადმყოფოსთან შედარებით. მსხვილი ობიექტები ხშირად მეტად რენტაბელურიცაა. ამდენად, მენეჯმენტი დაინტერესებული უნდა იყოს ჯანდაცვის ობიექტის გამსხვილების პროცესით, მაგრამ, თუ სასოფლო ან

მცირე საქალაქო დასახლებული პუნქტი არ იძლევა საშუალებას დიდი საავადმყოფოს ფუნქციონირებისათვის, ახალი საავადმყოფოს მენეჯმენტი უნდა ცდილობდეს ჩაერთოს მიმდებარედ არსებული საავადმყოფოების საერთაშორისო და ადგილობრივ ქსელებში და გარკვეულად უზრუნველყოს მომარაგებისა და მართვის კოოპერირება.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად, არსებითია ინოვაციურ სამეცნიერო-სამედიცინო ინფორმაციაზე ხარჯების ოპტიმალურად გადიდება, რაც მეტწილად არსებითად ზრდის მომსახურების რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებს, ამასთანავე, მართვის დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივაციისა და კონტროლის სტადიების შედეგიანობას.

როგორც ცნობილია, დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში, ჯანდაცვაზე ხარჯები სახელმწიფო ბიუჯეტის სხვადასხვა დონეზე, ექსპერტული შეფასებით, ჯამურად 70%-საც კი ამეტებს, რაც ამ დარგის უდიდეს მნიშვნელობასა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევრისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ვერ იღებს ელექტონერგიას, სუფთა წყალსა და სხვა ყოველდღიურ სიკეთეებს, რის გამოც მნიშვნელოვანია ინფექციურ და სხვადასხვა ქრონიკულ ავადობათა წილი.

ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობასთან ერთად ჯანდაცვის ხარჯების დაფარვაში, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალური დაზღვევის თანამედროვე

ამერიკული, ბევერიჯის (ინგლისი) და ბისმარკის (გერმანია) მოდელების ოპტიმალურად შეხამებულ გამოყენებას.

საქართველოს ჯანდაცვაში მიმდინარე ნანატრი საყოველთაო დაზღვევის რეფორმის წარმატებულ ეფექტიან შედეგებთან ერთად, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ რეფორმამდე მოქმედი ე.წ. მთავარი ექიმის ინსტიტუტი შეიცვალა მენეჯერული მართვის სისტემით, როცა ორგანიზაციის ფუნქციონირების იურიდიულ და ეკონომიკურ ასპექტებს კვალიფიციური მენეჯერი ასრულებს და არა ექიმი, რომელიც უმთავრესად, ბუნებრივია, ნაკლებად არის ჩახედული მართვის სამართლებრივ და სამეურნეო საკითხებში.

საერთაშორისო ჯანდაცვითი ბიზნესის ობიექტები ძირითადად ორიენტირებული უნდა იყვნენ პაციენტის უკეთ მომსახურებაზე, თუმცა, მათ მიზანს, ბუნებრივია, წარმოადგენს სამედიცინო ბიზნესის ხარჯების მინიმიზება და, შესაბამისად, შემოსავლების მატება და კადრების მეტი ეფექტიანობით მოტივაცია.

ბიზნესის ეფექტიანი განვითარებისათვის საუკეთესო გარემო იქმნება მაშინ, როცა ქვეყანაში მშვიდობიანი აღმშენებლობის პოლიტიკური პირობებია შექმნილი და ბიზნესი განთავისუფლებულია სახელმწიფოს უხეში ჩარევებისაგან, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო იხსნის ვალდებულებას ხელი შეუწყოს ბიზნესის პრიორიტეტული და მ.შ. პროგრესული ახალგაზრდა დარგებისა და საერთაშორისო ბიზნესის პროგრესული მიმართულებების დამატებით მოტივაციას დასაშვებ

ფარგლებში.

ბიზნესის ხელშემწყობი ეფექტიანი გარემოს შექმნის საკითხს სხვადასხვა ეკონომისტი პოლარულად განსხვავებულად ხედავს.

თ. მალთუსის მიხედვით, ვინაიდან, მსოფლიოში მიწის მიწოდება არ იზრდება (ანუ დედამიწის ტერიტორია მუდმივია), ხოლო მოსახლეობა მატულობს, სულ უფრო მეტი ადამიანი იმომშილებს და ომები ამ ეკონომიკური პრობლემის მოგვარებად უნდა მოგვევლინოს. მალთუსი ნამდვილად ნიჭიერი მოაზროვნე იყო, მაგრამ აღნიშნულით, ეტყობა, თავისი დროის ძლიერთ უგებდა ხოტბას და ამართლებდა მათ უსუსურობას მოშიმშილეთა არმიის ზრდასთან დაკავშირებით. ნუ დავუჯარებთ ასეთ, თუგინდ ცნობილ და საკმაოდ ნიჭიერ ადამიანებს. ღმერთმა ყველაფერი ისე შექმნა, რომ ადამიანს ყველაფერი საკმარისად ექნება, თუ მართებულად მოვიხმართ ბოძებულ დოვლათს და დამანგრეველი ომებით არ დავუპირისპირდებით ერთმანეთს. ასათვისებელია დიდი ტერიტორიები და ზღვის ფსკერი, ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, სულ უფრო ახალი ენერჯის წყაროებს აღმოვაჩენთ მომავალშიც, უსასრულოდ ბევრია ამოსაცნობი და უფალი იმდენად მიუწვდომელი და ყოვლისშემძლეა, რომ, ჩვენ წარმოდგენაც კი არ გვაქვს, რამდენად უსასრულოა მომავალი. ამიტომ, ნუ ვირწმუნებთ ასეთ დასკვნებს, რაც მხოლოდ და მხოლოდ ომის გამჩაღებლებსა და ტერორიზმს ახარებს, რომელიც ისეა გაბოროტებული, რომ უდანაშაულო ადამიანებით გაჭედოთ ცათამბჯენებსა და ბავშვებსა თუ მთელ სკოლებსაც კი ანადგურებს.

ეკონომიკის ქრისტიანულ საფუძვლებშია ხსნა და უნდა ვილოცოთ, რომ კარგად გაიაზრონ აღნიშნული თანამედროვე მალთუსიანელებმა და დაჰკვიანდნენ სხვადასხვა ჯურის ტერორისტებიც. მათი ასეთი მოქმედებით ცხოვრება არ გაუმჯობესდება, პირიქით, თუ ადამიანები მასობრივად გაბოროტდებიან, უფალმა, შესაძლოა, აღარც უსმინოს ადამიანს. ამიტომაც, არ უნდა ვირწმუნოთ მალთუსის ხაფანგი და უნდა ვირწმუნოთ სიკეთე და ურთიერთპატივისცემა ქრისტეში. ირანისა და ჩრდილოეთ კორეის რაღაც ერთეულოვან ატომურ კვლევებზე მთელი მსოფლიო მართებულად ფეხზე დადგა, საბჭოთა კავშირში კი იმდენი ბირთვული და სხვა უფრო მძლავრი იარაღი და ქონება იყო დაგროვილი, რომ თითქმის მთელ დანარჩენ ქვეყნებს ეყოფოდა და დიდი სისხლისღვრის გარეშე სსრკ-ს ვერავინ დაამარცხებდა, მაგრამ ქვეყანა შიგნიდან დაიშალა, იმიტომ, რომ ურწმუნოებაზე დაფუძნებული წყობა იყო.

საერთაშორისო ბაზარზე მენჯმენტის ეფექტიანობის ზღვრულ დონეთა მიღწევის მიზნით, აუცილებელია, გავიაზროთ აღნიშნული საკითხების ზოგადთეორიული და მაკროეკონომიკური ასპექტები და მომსახურებისა და წარმოების სხვადასხვა პროგრესული მეცნიერებატევადი დარგებისა და კომპანიების გამოცდილებაც.

მწარმოებლურობის დონე საერთაშორისო ბიზნესში, როგორც საერთაშორისო ბიზნესსუბიექტის ეფექტიანობა (პროდუქტიულობა), ზოგადი სახით, როგორც ცნობილია, იანგარიშება საერთაშორისო გაყიდვების (პროდუქციისა და მომსახურების რეალიზების) მთლიანი

მოცულობის ფარდობით დასაქმებულთა რიცხოვნებასთან. მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის, ნაყოფიერების) განუხრელი ზრდის კანონი მსოფლიო ეკონომიკის ერთ–ერთ უმთავრეს ზოგადობიექტურ კანონზომიერებასაც წარმოადგენს და სწორედ ამ მაჩვენებლით ახასიათებენ სხვადასხვა ქვეყნის ცხოვრების დონეებს. მომსახურების ბიზნესებში პროდუქტიულობის სრული შეფასებისათვის, მიზანშეწონილია, განისაზღვროს ის ირიბი ეფექტიც, რომელიც აქ მომსახურებამიღებული ადამიანების უკეთ საქმიანობას ახლავს საწარმოო ბიზნესებში.

როგორც ცნობილია, განასხვავებენ საზოგადოებრივი და ინდივიდუალური შრომის მწარმოებლურობას (პროდუქტიულობას, ნაყოფიერებას). საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერება ცოცხალი და განივთებული შრომის ეფექტიანობას ახასიათებს და მაკროეკონომიკის დონეზე იანგარიშება ეროვნული შემოსავლის სიდიდით, რომელიც ეკონომიკაში დასაქმებულ ერთ მუშაკზე მოდის.

ინდივიდუალური შრომის ნაყოფიერება ცალკეული მიკროეკონომიკური სუბიექტის ეფექტიანობას ახასიათებს და მისი დონე იანგარიშება შექმნილი პროდუქციის (მომსახურების) იმ ოდენობით, რომელიც იქმნება ამ სუბიექტის ერთი მუშაკის მიერ დროის გარკვეულ პერიოდში (წელიწადში, თვეში, დღეში, საათში და სხვ).

შრომატევადობა შრომის ნაყოფიერების შეზღუდვებული სიდიდეა, ხოლო კაპიტალშეიარაღება ერთ მომუშავეზე მოსული ტექნიკა–ტექნოლოგიების და საერთოდ ძირითადი კაპიტალის ოდენობას

ახასიათებს. როცა შრომის მწარმოებლურობის დონე უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე კაპიტალშეიარაღება, მაშინ კაპიტალუკუგება (ძირითადი კაპიტალის და მათ შორის ტექნიკა-ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელი) მატულობს.

აღსანიშნავია, რომ საბაზრო ეკონომიკის ფლაგმანი ქვეყნის – აშშ-ს რეალობაში არსებითად მეტი ხელფასი აქვთ იმათ, ვინც მეტი კვალიფიკაცია მიიღო. აშშ, შესაძლოა, არ არის ფეხბურთელებით სახელგანთქმული ქვეყანა, მაგრამ მის ეკონომიკაში, სადაც ამ ქვეყანამ მართლა სასწაულები მოახდინა, ნამდვილად უნდა ვეძიოთ რაციონალური მარცვლები. აქ ხელმძღვანელებად ხშირად დიდი განათლების ვიწრო სპეციალიზაციის ადამიანები ინიშნებიან და ყველაზე შემოსავლიანი ინოვაციური კომპანიები მეცნიერულ-ტექნიკური დონით გამოირჩევიან. თითქმის ანალოგიური ტენდენციებია დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, იაპონიაში, სამხრეთ კორეაში და სხვა ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში, მაგრამ აშშ-ში ეს ყველაზე არსებითადაა გამოხატული. ღარიბი ქვეყნების ანალიზი კი აჩვენებს, რომ აქ განათლებულები უმცირესობაშია და მათ ყველაზე ნაკლები ანაზღაურება აქვთ. თუ რუსეთის მეფემ პეტრე დიდმა გააძლიერა რუსეთი მეცნიერული ორიენტაციით, სსრკ-ს ნგრევის უმთავრესი მიზეზი მეცნიერების დაუფასებლობა იყო. მხოლოდ ზოგიერთ დიდ მეცნიერს აფასებდნენ საჩვენებლად, ხოლო დიდ გამოგონებებს ფიზიკაში ხშირად სულელ ხელმძღვანელებს მიაწერდნენ ხოლმე, ეკონომიკაში კი მხოლოდ მარქსი და ლენინი ითვლებოდნენ დიადებად. უმცირესობაში აღმოჩენილ

ინტელექტუალებს სასაცილოებად და არაპრაქტიკულებად მოიხსენებდნენ, უფრო მეტიც, მათზე ყველაზე მეტი რეპრესიებიც ეწყობოდა, როგორც მესაკუთრეებზე და სავარაუდო მოწინააღმდეგეებზე. მეცნიერებისა და განათლებული ადამიანების წინაშე საყოველთაო მოკრძალების გარეშე, შეუძლებელია როგორც ზოგადად საზოგადოებრივი პროგრესი, ასევე ბიზნესის განვითარება და ქვეყნის რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევა.

ჯანდაცვისათვის ოპტიმალური ეფექტიანი ეკონომიკური საფუძვლის მაგალითად, სახელმწიფო შემოსავლები მთლიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში (იაპონიის, აშშ-ს, კანადის, ავსტრალიის, დიდი ბრიტანეთის, იტალიის, გერმანიის, ბელგიისა და შვეციის მაგალითებზე, იხ. დასახელებული წყარო) 30–დან 60%–მდე მერყეობს, სხვადასხვა დროის სხვადასხვა დიქტატორული რეჟიმის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი 80–90%–მდეც აღის, თუმცა, ცხადზე ცხადია, რომ ამ შემთხვევებში სახელმწიფო და კერძო სექტორებს შორის წონასწორობა უნდა არსებობდეს და არც ერთი და არც მეორე არ უნდა დებულობდეს საერთო საქმისათვის საზიანო მონოპოლურ ძალაუფლებას. ანუ, როგორც ჩვენს წონასწორული რეალიზმის თეორიაშია დასაბუთებული, ეს დონე 50%–ის მახლობლობაში უნდა ვარირებდეს შესაძლო ბუნებრივი რხევების გათვალისწინებით.

ეფექტიანობის თვალთახედვით, ძალზე მნიშვნელოვანია, სახელმწიფო დაზღვევის წილის ზომიერების უზრუნველყოფის საკითხიც. საქართველოში, მართალია, გაუქმდა სახელმწიფო დაზღვევის

უზრუნველყოფი გადასახადი, რაც სფეროში შექმნილი კორუფციული ფონით იყო განპირობებული, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ეს გადასახადი არსებობს და, ბუნებრივია, დროთა განმავლობაში, ჩვენშიც უნდა დაკონკრეტდეს მისი ადმინისტრირების ფორმა. საყოველთაო დაზღვევის შემოღებამ კარდინალურად შეცვალა უკეთესობისაკენ ეს მდგომარეობა და მას შეუქცევადი ფინანსური ბაზაც უნდა შეექნას. სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებითა და ჩვენს მიერ შემოთავაზებული კონკურენციის პირობითი თეორიული კანონის გათვალისწინებით, სხვადასხვა არხებით აკუმულირებული სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დაზღვევის სახსრები სახელმწიფო შემოსავლებში საერთო ანგარიშით 30%-მდეც კი შეგვიძლია ავწიოთ. ეს შესაძლებელიცაა, მიზანშეწონილიც და, შეიძლება ითქვას, აუცილებელიც, ოღონდ არაუმეტეს ხსენებული ზღვრისა. გაჯანსაღებული ადამიანები დაგროვილ პირად თუ საზოგადოებრივ პრობლემებსაც უკეთ აგვარებენ და ეკონომიკური ცხოვრებაც უმჯობესდება.

განვითარებულ ქვეყნებში აუცილებელ ჯანდაცვის პროგრამებს დაქვემდებარებული ღარიბი მოსახლეობის წილი 10–20%-ის ახლობლობაში მერყეობს მთელ მოსახლეობასთან მიმართებაში და, მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში ეს მაჩვენებელი ამჟამად მცირდება და, ექსპერტული გაანგარიშებით, 2020 წლისათვის ხელსაყრელი სცენარის პროგნოზით მინიმალური ზღვრის ფარგლებში იქნება, აშშ საპრეზიდენტო პროგრამა დამატებით ითვალისწინებს დაზღვევის სისტემის გაუმჯობესებას, განსაკუთრებით, ღარიბი და საშუალო ფენებისათვის. ამასთანავე,

თანასწორობისა და მასების მოტივაციის თვალსაზრისით, დამატებითი ეფექტი გაითვალისწინება გადასახადების ზომიერად მზარდი სისტემის გამოყენების შემთხვევაში. ლორენცის მრუდის მიხედვით, პროგრესული გადასახადები (ანუ მზარდი იმათთვის, ვისაც მეტი შემოსავალი აქვს), აუმჯობესებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენის თანასწორობის ხარისხს.

საქართველოში 1995 წელს განსაკუთრებით მაღალი იყო სიღარიბის დონე (ექსპერტული შეფასებით, 40%-ზე მეტი) და 2005 წლიდან განსაკუთრებით მატულობდა აღნიშნული მაჩვენებლის შემცირების ტემპი, მაგრამ შემდეგში შემცირდა და რეზერვები, ბუნებრივია, ჯერ კიდევ დიდია. დროთა განმავლობაში, საჭიროა გარკვეულად მეტი დიფერენცირებული მიდგომის შემოღება ხანდაზმული მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფაში – მაგალითისათვის, მენეჯერული საქმიანობა, კვალიფიკაციის თვალსაზრისით, გარკვეულად მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე სპეციალისტის, ტექნიკური მუშაკის, დამხმარე თუ მომსახურე პერსონალის და, შესაბამისად, საპენსიო ანაზღაურებაც დიფერენცირებული უნდა იყოს 1:3–თან პროპორციის ფარგლებში, თუმცა, აღნიშნული მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება განისაზღვროს, როცა პენსიის დონე საარსებო მინიმუმს გადააჭარბებს.

გასული საუკუნის 90–იანი წლების საქართველოს არნახული ჰიპერინფლაციის უმძიმესი მემკვიდრეობისა და ეკონომიკის საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების შედეგად, მცირე საწარმოებში პროდუქციის გამოშვებამ 2005 წელს შეადგინა მხოლოდ 397,5 მლნ. ლარი,

რაც მთლიანად ბიზნეს სექტორის მხოლოდ 11,7%-ს წარმოადგენდა. ამ პერიოდისათვის, საშუალო საწარმოებმა აწარმოეს მთლიანი მაჩვენებლის ასევე მხოლოდ 10,6%, მაშინ, როცა სამეწარმეო საქმიანობით დაკავებული და სტატისტიკურ გამოკვლევას დაქვემდებარებული მოქმედი საწარმოების მთლიან რაოდენობაში მსხვილი საწარმოების ხვედრითი წონა 3,4%-ს, საშუალო საწარმოების – 7,3%-ს, ხოლო მცირე საწარმოების ხვედრიწონა – 89,3%-ს შეადგენდა.

ბიზნესის ეტეპობრივი განვითარება და საბოლოოდ ეფექტიანი მართვა მცირე ბიზნესის წახალისებით იწყება. მცირე მეწარმეობის ჯერ კიდევ სუსტი როლი მნიშვნელოვანწილად შესაბამის პრობლემებს განაპირობებდა ქვეყნის ეკონომიკაში – საქალაქო დასახლებებში უმუშევრობის ოფიციალური დონე ჯერ კიდევ ძალზე მაღალი იყო და 26%-ს შეადგენდა, მინიმალური ხელფასი ნორმატიული ხელფასის მხოლოდ 32,2%-ს შეადგენდა, საექსპორტო პროდუქციაში კი ყველაზე მაღალ ნიშნულს შავი ლითონების ჯართის ხვედრიწონა აღწევდა და ადგილობრივ წარმოებაში არ აღინიშნებოდა მეცნიერებატევადი წარმოების მინიმალური მონაწილეობაც კი.

2005 წლამდე მოქმედი საქართველოს კანონი “მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდჭერის შესახებ” სრულად ვერ შეესაბამებოდა ეკონომიკის თანამედროვე მოთხოვნებს. მასში, მიზანშეწონილი იყო, უფრო კონკრეტულად აღნიშნულიყო საგადასახადო ბერკეტები, შესაძლო მზარდი მოთხოვნები საფინანსო რესურსებზე, სახელმწიფო გარანტიები და

ინტელექტუალური დახმარების სფეროები. აუცილებელი იყო, უფრო გასაგები გამხდარიყო მცირე საწარმოს გაგებაც. იგი უნდა განსაზღვრულიყო არგუმენტირებულად შერჩეული ერთი მაჩვენებლით და არა შენარჩუნებული ორი მოთხოვნით, რაც, გარკვეულ შემთხვევებში, შეუსაბამობებს და გართულებულ გაუგებრობებს იწვევდა.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობა უკვე აკონკრეტებს მიკრო და მცირე ბიზნესის სტატუსის საწარმოებს და მიკრო საწარმოებს (30 ათას ლარამდე შემოსავლით წელიწადში) საერთოდ ათავისუფლებს საშემოსავლო გადასახადისაგან, ხოლო მცირე საწარმოებს (100 ათას ლარამდე წლიური შემოსავლით) უწესებს მხოლოდ 5%-იან საშემოსავლო გადასახადს და, გარკვეულ შემთხვევებში – შემცირებულ 3%-საც კი.

არსებითი შედეგატეხია, რაც თითქმის ემთხვევა ჩვენს დასაბუთებულ შემოთავაზებებს საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის წარმოებულ ადრეულ კვლევებში. მნიშვნელოვანწილად, სწორედ ამიტომ, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების მიერ საქართველო მოიხსენება, როგორც ამ გადასახადების თავისუფლების მხრივ ერთ-ერთი სამაგალითო ქვეყანა, თუმცა, როგორც აღინიშნა, მცირე ბიზნესის საგადასახადო შედეგატეხი ნაკლებეფექტური აღმოჩნდა ახლაგაზრდა სახელმწიფოში სხვადასხვა არსებითი სამართლებრივი გადაცდომების მომრავლების გამო.

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებისათვის, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში დასაბუთდა

საგადასახადო განაკვეთების სამსაფეხურიანი სქემა: პირველ ეტაპზე მთლიანი ამონაგების 0,5%, მეორეზე – 1,0%-დან 1,5%-მდე და, საბოლოო ჯამში, 3–6 %-მდე, რაც ჩვენს კონკრეტულ გაანგარიშებებსა და ექსპერტულ შეფასებებს ეფუძნებოდა.

რაც შეეხება ძირითად კაპიტალის ზომითი სტრუქტურის (კონცენტრაციის) ეფექტიანობას, ჩვენი გაანგარიშებით, უმაღლესი უკუგებით სწორედ ყველაზე მცირე საწარმოები გამოირჩევიან (100 ათ. აშშ დოლარამდე ძირითადი წარმოებრივი კაპიტალითა და მისი უკუგების რეკორდული იდექსით 7,8–დან 8,2–მდე).

საქართველოს სინამდვილისათვის მისანიშნებელია ყოფილი სოციალისტური პოლონეთის გამოცდილება, რომელიც, გეოგრაფიული მდებარეობიდან და მიმდინარე რეფორმების სხვადასხვა ფაქტორებიდან გამომდინარე, უკვე კარგახანია ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ევროკავშირის წევრია. აღნიშნული ქვეყნის მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტში დასაქმებულია მომუშავეთა თითქმის 70% და მთლიანი შიდა პროდუქტის თითქმის ნახევარი იქმნება. აქ მიკროდ (ძირითადად მომსახურების სფეროში) მოიაზრება საწარმოები 10 მომუშავემდე, ხოლო საშუალო საწარმოდ – 250 მომუშავემდე. შექმნილია საწარმოთა განითარების სააგენტო, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის კრედიტებით ფინანსდება სპეციალური ფონდები, საწარმოებს, ბიზნესგეგმების გარანტირებულ საფუძველზე, შეღავათიანი კრედიტები და, შემდგომ თავის

გამოჩენის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი გრანტებიც (ფინანსური ჯილდო) ეძლევათ.

ინვესტორების საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მცირე მეწარმეობის წახალისების მსოფლიოში აპრობირებული ფორმაა თავისუფალი ეკონომიკური ზონა, რომლის მექანიზმები მრავალფეროვნად გამოიყენება აშშ-ში, დასავლეთ ევროპასა და სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში, ასევე, გარკვეულწილად, პოსტკომუნისტურ და სხვა ე.წ. განვითარებად ქვეყნებშიც. საქართველოს მთავრობისათვის კი მისანიშნებელია, რომ საქართველოს ეკონომიკაში, შესაძლოა, ძალზე ხელსაყრელად დაგნერგოთ ე.წ. საერთაშორისო ბიზნესაქტიურობის წამახალისებელი “წერტილოვანი” თავისუფალი ზონების პრაქტიკაც, რაც, ფაქტიურად, მიკრო ბიზნესზე ჩვენში გავრცელებული და მსოფლიოში აღიარებული შედეგების გავრცელებას ნიშნავს გარკვეულ საწარმოებზე ეკონომიკის სრუქტურის ეფექტიანობის არსებითი ზრდის აუცილებლობებიდან გამომდინარე. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონების საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მცირე საგადასახადო განაკვეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მნიშვნელოვანი ამძრავია, თუმცა, ზედმიწევნითმა ლიბერალიზებამ, კაპიტალდაბანდებათა ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი რისკის, ეროვნული ეკონომიკის სუსტი კონკურენტუნარიანობისა და მემკვიდრეობად დატოვებული მწვავე სოციალური პრობლემების გამო, შესაძლოა, მხოლოდ ხელი შეგვიშალოს სტრუქტურული რეფორმებისათვის საჭირო თანხების მობილიზებაში.

ზემოხსენებული “წერტილოვანი” ზონების ლიბერალურ სოვრცეში, მიზანშეწონილია, მოსახლეობის თითქმის ნახევარი ჩაერთოს. მოსამზადებელ ეტაპზე, ხელი უნდა შევუწყოთ ისეთი დარგების განვითარებას, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელია მოკვდავი ადამიანის ფიზიკური არსებობა, მ.შ. მემარცვლეობა, მესიმინდეობა (საწყისმა შეფერხებებმა არ უნდა შეგვაშინოს), მევენახეობა და რძის პროდუქტების წარმოება, მასიური მცირე ენერგეტიკა (მ.შ. ქალაქად) და სამშენებლო ინდუსტრია შესაბამისი მასალების წარმოებასთან ერთად; მეორე ეტაპზე – სპეციალიზაციის შემდგომ გაღრმავებასა და ეფექტიანობის ამაღლებას უნდა შევუწყოთ ხელი, კერძოდ, მცირე მეწარმეობის ისეთი დარგები წავახალისოთ, რომელთათვისაც საქართველოში ისტორიულად და გეოგრაფიულად საუკეთესო პირობებია შექმნილი: განათლება, კულტურა და სპორტი, ტურიზმი (ძალზე კარგია, რომ ამ მხრივ, პირველი ეტაპის პარალელურად, მნიშვნელოვანი სამუშაოები უკვე დაიწყო) და ვაჭრობა, სუბტროპიკული და ზღვის პროდუქტების გადამამუშავება; დამამთავრებელ ეტაპზე, შესაძლებელი იქნება მეცნიერებატევადი დარგების მსოფლიო დონეზე განვითარება, მ.შ., უპირველესად, მიკროელექტრონიკა და ორიგინალური მცირე და საშუალო სასოფლოსამეურნეო მექანიზაცია უნდა მოვიაზროთ.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საბიუჯეტო უზრუნველყოფის მაჩვენებელი ერთ სულზე 1000 დოლარს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულზე საშუალომსოფლიო დონეს (უკვე დაახლოებით 10000 დოლარი,

რაც საქართველოს პოტენციალს არსებითად ჩამორჩება) გადააჭარბებს, უფრო მასიურად შეიძლება ვიფიქროთ უფასო საგანმანათლებლო და ჯანმრთელობის ცენტრების შექმნაზე, განსაკუთრებით, ახლა უკვე ნაკლებადდასახლებულ მაღალმთიან სოფლებშიც, ამასთანავე, საშუალება მოგვეცემა დასაშვებ ფარგლებში წავახალისოთ მცირე ოჯახური ბიზნესის ისეთი მომგებიანი საექსპორტო სფეროები საქართველოში, როგორებიცაა მინერალური წყლების, თაფლისა და თხილის წარმოება და მათი რეალიზების ორგანიზება.

წარმატებული საერთაშორისო მენეჯერი, ბუნებრივია, კარგი ორგანიზატორი უნდა ბრძანდებოდეს და, შესაბამისად, თანამშრომელთა სასარგებლო მოქმედებისათვის მოტივაციის საუკეთესო მექანიზმებითა და სასიკეთო ფსიქოლოგიური გავლენით, უნდა ახერხებდეს მიზანმიმართულად წარმართოს სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა შესაძლებლობები.

მოტივაციის თეორიები უმთავრესად ცდილობს განაზოგადოს მოთხოვნილებები, რომლებიც, თავის მხრივ, განაპირობებს ადამიანების მოქმედებებს, განსაკუთრებით, პროფესიის არჩევისა და სამუშაოს შინაარსისა და შესაძლო ოდენობის განსაზღვრისას.

გონიერი მენეჯერები, ხშირ შემთხვევაში, მეტად წიგნიერი დიდი მოაზროვნეებიც არიან. ამ მხრივ, სამაგალითოა, საქართველოს ისტორიული გაკვეთილები (დიდი დავით აღმაშენებელი, ფინანსისტი შოთა რუსთაველი, სამართალმცოდნე ვახტანგ მეექვსე და სხვ.), თანამედროვეობის ამერიკელი

პრეზიდენტების, მათ შორის ბ. ობამასა და რ. რეიგანის მრავალმხრივი საქმიანი თვისებები, რაც ძალზე შედეგიანად გამოადგათ პოლიტიკაში მშვიდობის დასამყარებლად ძალზე სახიფათოდ მომრავლებული ტერორისტული რეჟიმებისა და დაჯგუფებების გარემოცვაში, მრავალმხრივი მორგანებისა და როკფელერების დინასტიები, საყოველთაოდ ცნობილი "ჯენერალ ელექტრიკის" ე.წ. ნეიტრონული დოქტორი ჯეკი (ჯ. უელჩი), თანამედროვე სოციალური "ფეისბუქისა" და კომპიუტერული "მაიკროსოფტის" თავის დროზე ახალგაზრდა საქმიან მოღვაწეთა გუნდები (ფეისბუქის ქსელური კონტაქტების მექანიზმი ნამდვილად უნიჭიერესი გამოგონებაა მასობრივი საზოგადოებრივი კონტაქტებისათვის, რაც საქმიანად უნდა გამოიყენოს ადამიანმა, კომპიუტერის მნიშვნელობასა და სარგებლიანობაზე კი ლაპარაკიც ზედმეტია და აქ აღარ შევჩერდები) და მეცნიერებატევად ტექნიკურ პროგრესზე დაფუძნებული მანქანათმშენებელი და ნავთობქიმიის სხვა გიგანტები. ზოგიერთ მათგანს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, საწყისად უმაღლესი განათლებაც კი არ მიუღია, მაგრამ მათ საქმეს წარმატება მხოლოდ მრავალმხრივმა ნიჭიერებამ, სპეციალური მათემატიკური ალგორითმების ცოდნამ და პროგრამულმა უზრუნველყოფამ მოუტანა. დანარჩენი ფორმალური შემთხვევითობებისა და ადამიანების მოწესრიგებული ქცევისა და საქმიანობის შემდგომი განვითარების შედეგია. მხოლოდ კარგი ცოდნაა იმ ნამდვილი წარმატების საფუძველი, ყველას რომ გვინდა.

მოტივაციის თეორიების საფუძვლების შექმნასა და საერთაშორისო ბიზნესის სტიმულირებაში, პრაქტიკული დაკვირვებისა და გამოცდილების პარალელურად, უდიდესი წვლილი შეიტანა ა. მასლოუს, ფ. ჰერცბერგისა და მაკელანდის შრომებმა. კერძოდ, მასლოუ იყო ერთ-ერთი პირველთაგანი ბიჰევიორისტებს შორის, რომლის თეორიული მემკვიდრეობიდან ცნობილი გახდა ადამიანის მოთხოვნილებათა სირთულისა და აღნიშნულის მოტივაციაზე გავლენის თაობაზე. ბიჰევიორიზმი (ინგლისურად behaviour ქცევას ნიშნავს), როგორც ცნობილია, ამერიკული ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულებაა, რომელიც ფსიქოლოგიის საგნად ქცევას თვლის და არა ცნობიერებასა ან აზროვნებას.

მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანების მოთხოვნილებები შესაძლებელია დავაჯგუფოთ 5 კატეგორიად, რომელიც დეტალურად აღწერა ჰარვარდის ფსიქოლოგმა მურემ:

1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, რომლებიც აუცილებელია არსებობისათვის, მ.შ. კვებაზე, წყალზე, ბინაზე, დასვენებაზე და პირად ცხოვრებაზე;

2) უსაფრთხოებაზე მოთხოვნილებები, რომლებიც განაპირობებენ მომავლის რწმენას, დაცულობას ფიზიკური და ფსიქოლოგიური საშიშროებებისაგან, კეთილგანწყობილ გარემოს, გარანტირებულად დაკმაყოფილებულ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებებს, საშუალებებს კარგი სადაზღვევო პოლისის შექმნისა და ისეთი სამუშაო ადგილის პოვნისათვის, რაც საუკეთესო საპენსიო უზრუნველყოფასაც უკავშირდება;

3) სოციალური მოთხოვნები, განსაკუთრებით, შეგრძნებაზე, რომ ადამიანებს სჭირდებათ, მიღებული პიროვნება ხარ სხვებისათვის, სოციალურად დაკავშირებული ხარ გარემომცველებთან, გრძნობ მათ მხარდაჭერასა და კონტაქტებს;

4) მოთხოვნები პატივისცემაზე, რაც პირად წარმატებებს, კომპეტენტურობას, გარემომცველთა მხრიდან მოკრძალებასა და აღიარებას უკავშირდება;

5) მოთხოვნები თვითგამოხატვაზე, რაც საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების რეალიზებასა და პიროვნული ზრდის საშუალებებში გამოიხატება.

ჰერცბერგმა გააღრმავა ხსენებული საკითხების განხილვა და წარმოგვიდგინა მოთხოვნების 2 დიდი კატეგორია:

1) ჰიგიენური ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ფირმისა და ადმინისტრაციის პოლიტიკას, სამუშაო პირობებს, ხელფასს, პიროვნულ ურთიერთობებს უფროსებთან, კოლეგებსა და ხელქვეითებთან, უშუალოდ კონტროლის ხარისხსა და მეთოდებს;

2) მოტივაციური ფაქტორები, მ.შ. წარმატება, დაწინაურება, სამუშაოს შედეგების აღიარება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და შემოქმედებითი და საქმიანი ზრდის პერსპექტივა.

მაკელადის მიხედვით, 3 მთავარი მოთხოვნებია, რომლებიც განაპირობებს ადამიანების მოტივაციას, მიზანშეწონილია განვიხილოთ

ძალაუფლების, მატერიალური წარმატებებისა და საზოგადოებრივ აღიარებაზე მოთხოვნილებების სახით.

შემთხვევით გამართლებულ გარემოებათა და მოტივაციური ფაქტორების ამოქმედებასთან ერთად, ჩემი აზრით, წარმატებული მენეჯერობის საიდუმლო, სამართლიანობასა და დიდ ნიჭიერებაზე არანაკლებ, საქმისათვის მიზანმიმართულ და ბრძოლისუნარიან პიროვნულ თვისებებსაც მოითხოვს, რაც პროგრესული მიდგომების ხედვასა და მათი ოპერატიული რეალიზებისათვის რაციონალურ რისკს უკავშირდება.

საერთაშორისო ბიზნესში სრულფასოვანი ჩართულობისათვის საქართველოში მიმდინარე სასოფლოს-სამერნეო რეფორმა და საყოველთაო დაზღვევისა და საავადმყოფო ბაზის არსებითი მოდერნიზაციის პროცესი დაკავშირებულია მენეჯერული კადრების ადაპტაციის სირთულეებთანაც. ქართველი აგრარიკოსები და მედიკოსები ცნობილნი არიან მსოფლიოში კვალიფიკაციის დონით და, ერთ სულ მოსახლეზე გადაანგარიშებით, უმძიმესი კრიზისული პერიოდების მიუხედავად, წამყვან პოზიციასაც ვინარჩუნებთ სხვადასხვა მაჩვენებელში, მაგრამ, ბუნებრივია, ახალი მეცნიერებატევადი სამედიცინო აპარატურის მასიურად ამოქმედება ახლებურ მიდგომებს საჭიროებს სამედიცინო კადრების ეფექტიანი გამოყენებისა და საერთოდ მართებული მართვისათვის ჯანდაცვაში.

მასშტაბურ მოდერნიზაციასთან და შესაბამისად მოსალოდნელ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად, სულ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდება გონიერი ხელმძღვანელობის არსის გააზრება და აღნიშნულის

პრაქტიკულად განხორციელება კონკრეტულ პირობებში. დაუშვებელია კადრების დაკარგვის ან კვალიფიკაციის დაქვეითების პროცესები მათი გადამზადების სისტემის არაეფექტურობის გამო. არსებითია, აგრეთვე, კონკურენტულობის კვალიფიციური მონიტორინგი, რათა შესაძლო მონოპოლიზმის ბუნებრივი მიდრეკილების პროცესები არ განვითარდეს მომავალში.

როგორც ცნობილია, გარკვეული კრიზისული ჩავარდნების მიუხედავად, მსოფლიო ეკონომიკაში მოქმედებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ობიექტური კანონზომიერება, რასაც საფუძვლად ადამინის ინტელექტის მუდმივი განვითარება და შესაბამისი ტექნიკური პროგრესი უდევს. ზოგიერთ შემთხვევაში, დიდ წარმატებას ნაკლები ინტელექტის მმართველებიც აღწევენ (გონიერი ადამიანების გამოყენებით, ლატერიის ტიპის გამართლებითა თუ რეაქციული რეჟიმების ქმედებებით, რომლებიც აპირისპირებენ, აბუჩად იგდებენ, ამცირებენ და ანადგურებენ კიდევ პროგრესის მქადაგებელ განსწავლულ ადამიანებს), მაგრამ შემთხვევითობა არ ქმნის საერთო ტენდენციას და, ბუნებრივია, საზოგადოებრივი პროგრესი მხოლოდ ქეშმარიტი ცოდნის დაგროვებას ეფუძნება.

ცოდნის დაგროვებასთან ერთად, განსაკუთრებით არსებითია ზნეობრივი კატეგორიები, რაც სხვადასხვა დონის მენეჯერების მზრუნველ დამოკიდებულებაში უნდა გამოიხატოს როგორც ქვემდგომი, ასევე, ზემდგომი კოლეგების მიმართ.

კარგია, როცა ადამიანები გონიერ მოქმედებას შეგნებულად და ადრეული წლებიდან იწყებენ, მაგრამ არის შემთხვევები, როცა საკუთარი თუ ახლობელი ადამიანების მიმე ავადმყოფობისა თუ სხვადასხვა ცხოვრებისეული გაკვეთილების შედეგად, ადამიანი ირონიულად აღარ უყურებს განსწავლულობას, მთლიანად უძღვნის თავს პროგრესული იდეების განხორციელების საქმეს და, ასეთ შემთხვევაში, ხშირად დიდ წარმატებებსაც აღწევს.

ახალ გარემოში ადაპტირებისას, მენჯერი სწრაფად უნდა თავისუფლდებოდეს ძველი მოთხოვნების გავლენისაგან. მაგალითისათვის, თუ ძველი ბოსი, როგორც ამპარტავნული გავლენის მოყვარული ადამიანი, გადაჭარბებულად დამღლელ წერილობით კონტაქტებს ითხოვდა, ახალმა ბოსმა, შესაძლებელია, ასეთი კონტაქტები ზედმეტობად ჩაგითვალოთ და უმჯობესი იყოს უბრალოდ გულახდილად გაესაუბროთ მას. თუ მენეჯერი დაინტერესებულია მუშაკის წარმატებაში ახალ სამუშაო ადგილზე, მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ ორგანიზაცია საზოგადოებრივი სისტემაა, ხოლო ყოველი მომუშავე – პიროვნება.

მსოფლიოში წარმატებული კომპანიები აყალიბებენ ე.წ. კორპორატიული იმიჯის განმსაზღვრელ ღირებულებების კოდექსებს, რომლებშიც წარმოდგენილია კადრების ქცევის პრინციპები და ნორმები, რომლებიც, თავის მხრივ, როგორც წესი, უპირატესობას ანიჭებენ მომხმარებელთა ინტერესების გაგებას, რაც მაღალი ხარისხის პროდუქციის

წარმოებაში გამოიხატება და არა მონოპოლიური მოგების ავადმყოფურ წყურვილსა და კონკურენტის განადგურებით ტკბობაში.

ახალ გარემოში კადრის მიღებასთან ერთად, სწრაფი საზოგადოებრივი ადაპტაციისათვის, დიდ ყურადღებას უნდა ვუთმობდეთ ინდივიდუალური სპეციფიკის დამატებით ოპერატიულ სწავლებას (და არა იმიტომ, რომ ეს ფორმალურად ასეა მიღებული მსოფლიოში წარმატებულ კომპანიებში, არამედ ეს ნამდვილად სჭირდება საქმეს), სპეციალური წესებისა და ინსტრუქციების მიწოდებას, გასაუბრებებს სხვადასხვა დონეზე, რომლებიდანაც თანამშრომელი შესაძლოდ სრულად უნდა გებულობდეს ახალი კოლექტივის დაწერილ თუ დაუწერელ კანონებს (დაუწერელი ნორმები, რა თქმა უნდა, პოლარულად საპირისპირო არ უნდა იყოს ოფიციალურად დაწესებულისაგან, რაც, სამწუხაროდ, საერთაშორისო პრაქტიკაში არაიშვიათია).

კოლეგებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება არ გამორიცხავს კონტროლის მექანიზმების გამოყენებასა, რაც მდგომარეობის გამოსწორებისაკენ უნდა იყოს მიმართული და თანამშრომლის მოშორების სურვილით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. თანამშრომელს მზაკვრულად არ უნდა ეცნობებოდეს შრომითი ხელშეკრულების შესაძლო გაუქმების შესახებ და ის ყოველთვის უნდა გრძნობდეს კონტროლის მექანიზმების შედეგად მდგომარეობის გამოსწორების, შეიძლება ითქვას, მშობლიურ მცდელობებს.

აუცილებელია, მუშაკთა პრემირებით სტიმულირების მექანიზმების გამოყენება და ორმაგი ზიანის თავიდან აცილების მიზნით,

გასათვალისწინებელია, რომ, დაწინაურების დროს, მიზანშეწონილია, წამოვწიოთ შრომისმოყვარე ნიჭიერი კადრები, მაგრამ კარგად გავთვალოთ, მოახერხებენ თუ არა ისინი ახალი თანამდებობის ასეთივე წარმატებით დაძლევა. შესაძლებელია, რომ გაუთვლელი დაწინაურებით ნაყოფიერი მუშაობაც დავკარგოთ ძველ ადგილზე და ახალზე კი ფუჭ გაწბილებასთან გვქონდეს საქმე.

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში სულ უფრო ხშირადაა სიტუაცია, როცა ქვეგანყოფილებები თითქმის მთლიანადაა დაკომპლექტებული უმაღლესი განათლების და სულ უფრო მეცნიერული ხარისხის კადრებითაც კი, რაც ამცირებს არაკეთილგანწყობის საუკუნოვან გაუცხოებას ხელმძღვანელსა და პერსონალს შორის.

სახელგანთქმული "აი ბი ემ"-ის ოფიციალური საგანმანათლებლო პროგრამა მომავალ თანამშრომლებს აცნობს კორპორატიული კულტურის ელემენტებს, რომელთა მწყობრი სისტემა საბოლოო ჯამში აყალიბებს კორპორაციის მდგრად იმიჯს. სწავლებისას თანამშრომლები ყოველმხრივ მოტივირებულნი არიან და გრძნობენ კავშირს მიღებულ ცოდნასა და მოსალოდნელ შედეგებს შორის.

საყოველთაოდ ცნობილია "ეფფლ"-მა შეიმუშავა ფირმის საკვანძო ღირებულებათა სისტემა (დასახელებული წყარო, იქვე), რომელიც მ.შ. წარმოდგენილია შემდეგი პრინციპების სახით:

1) ემპათია მომხმარებელთა მიმართ, კერძოდ, რეალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის პროდუქციის

მიწოდებით და არავითარ შემთხვევაში კომპრომისი აღნიშნულში მოგების სასარგებლოდ;

2) აგრესიულობა სასიკეთო მიზნების მიღწევაში. უნიკალური დროის უნიკალური პროდუქციის შესაქმნელად ისახავენ დიდ მიზნებს და ყოველმხრივ ცდილობენ მათ მიღწევას;

3) პოზიტიური წვლილი, კერძოდ, ადამიანების შრომის პირობების არსებითი შემსუბუქება და კოლექტიური ფაქტორის წარმოჩენა მარტოხელა ქმედებასთან შედარებით;

4) ინდივიდუალური მიღწევებით საშუალოდარგობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება;

5) კოლექტივიზმის სული – გუნდური ურთიერთდაკავშირებული მოქმედებები;

6) მუდმივი სრულყოფილების პროცესი;

7) აღიარება და მზრუნველი პროდუქტიული მართვა.

დიდი წარმატებული ისტორიის მქონე "ჯენერალ მოტორსი" (დასახელებული წყარო, იქვე) საკმაო ხანს მიზანშეწონილად არ თვლიდა შრომითი რესურსების დაქირავებისა და სწავლების ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას და აღნიშნულს მხოლოდ ადგილობრივ კანტორებს ანდობდა, თუმცა, ამჟამად, მდგომარეობა არსებითად შეიცვალა, როგორც სხვა მრავალ ინტელექტუალური, ფინანსური და მატერიალური რესურსებით სუპერმდიდარ თანამედროვე აფრიკულ, ევროპულ თუ აღმოსავლურ კომპანიებში.

გასათვალისწინებელია, რომ მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდის პირობებში, არაფრით არ შეიძლება მოვადუნოთ მონიტორინგი სამართალდარღვევათა მიმართ. ყოველ სამართალდარღვევას, გარკვეული მნიშვნელოვანი ეკონომიკური საფუძველიც გააჩნია. რა თქმა უნდა, დანაშაული სტაბილურად მდიდარ ქვეყნებშიც საკმარისად ხდება, მაგრამ, ამ მიმართებით, განსაკუთრებული სიმრავლე უღარიბეს და განვითარებად ქვეყნებშია, სადაც ადამიანი, შვილებისა თუ სხვა ახლობლებისათვის საარსებო პურის საშოვნელად, მასობრივად უმძიმეს დანაშაულებებსაც სჩადის.

მაგალითისათვის, საქართველო, რომელიც უმდიდრესი ბუნებრივი პირობებით გამოირჩევა, ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ხშირ შემთხვევაში, მძიმე საომარი კონფლიქტების მონაწილე ხდებოდა, რის შედეგადაც, წარმატებულ პერიოდებს ხანგრძლივი დეპრესიებიც მოჰყვებოდა ხოლმე. ამ პერიოდებში, ამ დალოცვილ ღვთისმშობლის წილხვედრ მიწაზე ჩნდებოდა და ფეხს იკიდებდა ისეთი მძიმე დანაშაულების სხვადასხვა ორიგინალური ფორმებიც კი, როგორებიცაა ე.წ. ფირალობა (ყაჩაღობა), საქონლის ქურდობა, თვით ადამიანების გატაცება, ადამიანით (უფრო ქალბატონებით) ვაჭრობის შენიღბული ფორმები და სხვ. შედეგად, ქვეყანა, რომელიც დახვეწილი კულტურითა და აღმშენობლობით იყო ცნობილი, სამწუხაროდ, დანაშაულთა სიმრავლითაც ითქვამდა სახელს.

ეკონომიკურად მეტად დაწინაურებულ სიტუაციებში კი, სამართალდარღვევათა ხელშემწყობ ეკონომიკურ ფაქტორებს შორის უმთავრესად საჭიროა აღინიშნოს არასრულფასოვანი და არასრული დასაქმება, რაც გამოწვეულია ეკონომიკის მართვის ხარვეზების გამო და იწვევს შემოსავლების ზედმიწევნით პოლარიზებას, შესაბამისად, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენების სიღარიბესა და სუპერგამდიდრებულთა ინერტულობას საზოგადოებრივი ინტერესებისადმი, შედეგად – კონფლიქტურ სიტუაციათა განსაკუთრებით აგრესიულ ხასიათსა და კორუფციის მატებას სამართალდამცავ სისტემასა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მომსახურების სფეროშიც. მასობრივად გამრავლებული კორუფცია კი, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით დამანგრეველად მოქმედებს მთელ პოლიტიკურ სისტემასა და ეკონომიკურ ურთიერთობებზე და ასტიმულირებს ციკლს ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნის რეალური ჩამორჩენის მიმართულებით.

ოპტიმალური ეფექტიანობისა და შესაბამისად ოპტიმალური დასაქმების დონის განსაზღვრის მიზნით (მ.შ. ჯანდაცვაში) ყურადსაღებია ამერიკელი ეკონომისტის – ა. ოუკენის ძალზე საინტერესო კანონი, რომლის მიხედვით, რეალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ყოველწლიური მატება დაახლოებით 2,7%-ის დონეზე, უმუშევრობის დონის სტაბილურ შენარჩუნებას უზრუნველყოფს ანუ ასეთ დროს სიტუაცია ამ მხრივ არ უარესდება; მთლიანი ეროვნული პროდუქტის მატების ყოველი დამატებითი 2 პროცენტული პუნქტი ამცირებს უმუშევრობის დონეს 1

პროცენტული პუნქტით; ანალოგიურად, მთლიანი ეროვნული პროდუქტის შემცირების ყოველი დამატებითი 2 პროცენტული პუნქტი ადიდებს უმუშევრობის დონეს 1 პროცენტული პუნქტით. ლორთქიფანიძის ზემოხსენებული კონკურენციის კანონი და ეფექტიანობის ევროფორმულის განვითარება, ამ მხრივ, გათვლილია ეკონომიკური ზრდის შესაძლოდ მაღალი ტემპების უზრუნველსაყოფად, რაც, შესაბამისად, დასაქმების ბუნებრივ ნორმასთან მიახლოების საშუალებას მოგვცემს. ბუნებრივია, მხოლოდ ზღვრული ეფექტიანობითა და ფარული მონოპოლიების მინიმიზებითაა შესაძლებელი არსებულ უპირატესობათა შესაძლოდ სრული გამოყენება და შესაძლოდ სრული დასაქმების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაჭრა.

იტალიელი ეკონომისტის ვ. პარეტოს მიხედვით, ეფექტიანია მხოლოდ ზღვრული სარგებლიანობის სიტუაციები, რაც გრაფიკულად უშუალოდ ზღვრული სარგებლიანობის მრუდზე განლაგებულ წერტილებს ეხება. აღნიშნული იდეალიზებული გრაფიკული ინტერპრეტაცია უდავოდ ორიგინალური და მისაღებია, რასაც ავსებს ჩვენი მიდგომა ამ ზღვრული ეფექტიანობის მიღწევის რეალური საშუალებების განსაზღვრისათვის. ჩვენს მიერ განვითარებული ევროკავშირის ფორმულირების მიხედვით, სხვადასხვა და მ.შ. კრიზისული აუცილებლობის შემთხვევაში, ზღვრული ეფექტიანობის მისაღწევად, მიზანშეწონილია, წავახალისოთ ის სტრუქტურული ძვრები, რომლებიც ყველაზე რენტაბელური იმ დარგების ეკონომიკურ ზრდას გამოიწვევს, რომლებსაც ბაზარზე ამავდროულად

შედარებით მნიშვნელოვანი წილი უჭირავს. შემდგომში, სწორედ ეს უნდა გახდეს დანარჩენი დარგების ოპერატიული წახალისების საფუძველიც.

მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო და ჯანდაცვითი რეფორმის მაგალითად, როგორც ცნობილია, საავადმყოფო ბაზისათვის საჭირო სასურსათო პროდუქტებზე მოთხოვნა არაელასტიურია ანუ ნაკლებად არის დამოკიდებული სხვადასხვა ფაქტორზე (მაგალითად, უამინდობაზე) და ბავშვებს, მოხუცებს და ნებისმიერ ადამიანს, სრულებით არ აინტერესებთ ქუჩაში წყალდიდობაა, ზვავია თუ მიწისძვრა და ყოველთვის ერთნაირად უნდათ ფიზიოლოგიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება საკვებზე. ცნობილი პარადოქსია, რომ ცუდ ამინდში სასურსათო პროდუქტებით მოვაჭრეებს მეტი შემოსავლები უჩდებათ. ასეთ დროს ხომ ფასები სასურსათო პროდუქტზე მატულობს, ხოლო მოთხოვნა პროდუქტებზე არ მცირდება.

სამწუხაროდ, ზემოხსენებული არგუმენტაციით იარაღდებიან სასურსათო მონოპოლიები, რომლებიც ცდილობენ გაახანგრძლივონ კრიზისი და შესაბამისად მაღალი ფასები სასურსათო პროდუქტებზე. ამდენად, ანტიმონოპოლიური სამსახურები, ამ მხრივ, ყველა ქვეყანაში უნდა გააქტიურდეს, რომ როგორმე დავძლიოთ ის სიტუაცია, რომ, მაგალითისათვის, ხილისა და მწვანის ჩვენს ცნობილ ქვეყანაში, მონოპოლიურად სუპერმაღალი ფასები არ იყოს სასოფლო პროდუქტებზე.

სურსათის მონოპოლიების მსგავსი აპეტიტები აქვს ნავთობის მონოპოლიებსაც, იმ მცირედი განსხვავებით, რომ როცა ნავთობზე ფასები

იზრდება, ჩვენი გათვლებით, მოსახლეობის დაახლოებით 10% ახერხებს და ამჯობინებს, რომ ფეხით იაროს შედარებით მცირე მანძილზე გადაადგილების საჭიროების დროს და, ამდენად, ამ მცირე გარკვეული ბიჯით კომპენსირდება მოთხოვნა და შემოსავლებიც ტრანსპორტზე. ბუნებრივია, ეს არ ეხება საჰაერო, საზღვაო, სატვირთო და 15–20 კმ-ზე მეტ მანძილზე მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებს.

ტრანსპორტისა და სურსათის მონოპოლიების არსებობა, ბუნებრივია, მნიშვნელოვნად აისახება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამედიცინო მომსახურების შესაბამისად გაზრდილ ტარიფებზე, რაც, ბუნებრივია, დაუშვებელია და ანტიმონოპოლური მონიტორინგის სპეციალურ საგანს უნდა წარმოადგენდეს.

მენეჯმენტის ეფექტიანობის გაგებისათვის, მიზანშეწონილია, აღინიშნოს ძირითადი პრინციპები სტრატეგიული დაგეგმარებისა და მიკროსამეწარმეო სუბიექტების ბიზნეს-გეგმების დასაბუთებული შემუშავებისათვის,

ბიზნესგარემოს არგუმენტირებული მდგრადობის ინტერესებში ბიზნესის განვითარების სტრატეგიული პროგრამები, ჩვენი აზრით, აუცილებლად უნდა დაკონკრეტდეს შემდეგი ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით:

1. რა გაკეთდება ეტაპობრივად (ახლოეს 3–5 წელიწადში და რა მოყვება აღნიშნულს უფრო შორეულ პერსპექტივაში) თავისუფალი კონკურენციის დასამკვიდრებლად დარგში;

2. რა პრიორიტეტები წახალისდება ბუნებრივ უპირატესობათა წარმოსაჩენად, როგორ წახალისდება ეს პრიორიტეტები გადასახდების, სუბსიდიებისა და შეღავათიანი კრედიტების სახით;

3. როგორ წახალისდება ეფექტიანი მცირე მეწარმეობა და რა პირობები შეეექმნება ასევე არანაკლებ საჭირო საშუალო და მსხვილ ობიექტებს. მხოლოდ მათი სრულყოფილი თანაარსებობა მოგვცემს საჭირო შედეგს, მ.შ. მოსახლეობის დასაქმების სახით.

4. როგორ იქნება დაცული დარგი საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში და რა სარგებელს მივიღებთ ამ ურთიერთობებში ექსპორტ-იმპორტის სალდოს გაუმჯობესების სახით.

პრინციპების შემდგომი ჩამოთვლა აღქმასაც გაართულებს და გარკვეულად გააუფასურებს ხსენებული 4 მიმართულების აქტუალობასაც. ამდენად, მთავარია დასაბუთებულად წარმოჩინდეს ეს საკვანძო საკითხები ზემოხსენებული მიდგომების (კონკურენციის კანონისა და ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის სახით) შესაძლოდ სრული გათვალისწინებით.

ეკონომიკის და მათ შორის რეფორმირებადი სასოფლო-სამეურნეო და ჯანდაცვითი სფეროს გაჯანსაღებასა და ეფექტიანობაზე თავად თავისუფალი მეწარმეების აზროვნების განვითარებაც იმოქმედებს და ყოველ მეწარმეს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს აწარმოოს სტაბილური და მეტად სპეციალიზებული და, შესაბამისად, ნაკლებდივერსიფიცირებული (მეწარმეთა პროფილის ხშირი ცვლილება და, ამ გაგებით, მრავალმხრივი დივერსიფიკაცია ჩამორჩენილი ქვეყნებისთვისაა დამახასიათებელი)

ბიზნესი და გააჩნია თუ არ გააჩნია ეკონომიკური გამოცდილება, უნდა ესმოდეს, რომ ბიზნეს-გეგმის შემუშავებისას ყურადღება უნდა გამახვილდეს:

1. ბიზნესის მიზანშეწონილობის გააზრებასა და მისი ძლიერი და სუსტი მხარეების კვალიფიციურ ხედვაზე, შესაბამისად, რისკებისაგან დაცვის მექანიზმებზე;

2. ბაზრის რეტროსპექტივის (მინიმუმ 3-5 წლის გამოცდილება) საფუძველზე მის შესაძლებლობათა განსაზღვრაზე მომავალში (უახლოესი 1-2 წელიწადით მაინც);

3. ფასწარმოქმნის ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციფიკის შესწავლაზე;

4. ბიზნესის გაფართოების პერსპექტივებზე;

5. ბიზნესის ტექნიკურ გეგმაზე, ორგანიზაციულ საკითხებსა და ფინანსურ შედეგებზე.

წარმოდგენილი განზოგადებებისა და საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ 10 შემაჯამებელ მცნებას საერთაშორისო ბიზნესის წარმატებული (მართებული) მართვისათვის:

1. იყავი სამართლიანი;

2. მოიწვიე მცოდნე პროფესიონალები, მ.შ. ეკონომიკასა და უცხო ენებში;

3. იყავი ზუსტი და ამასვე ითხოვდე კოლეგებისაგან;

4. გქონდეს ზომიერების გრძნობა;

5. გქონდეს იუმორი და გიყვარდეს სპორტი;

6. იცოდეთ პროგრესული სიახლეები შენს საქმეში;
7. აკვიატებულად იყავი ნოვატორი და დანერგე საჭირო ტექნიკა;
8. იბრძოლე ოპერატიული შემოსავლებისათვის;
9. დაინახე სტრატეგიული შემოსავლები;
10. იყავი კედელი ზარალიანებისათვის.

საერთაშორისო მენეჯერული ხარჯების მინიმიზებისათვის განსაკუთრებით არსებითი მნიშვნელობა აქვს მართვის იერარქიული სტრუქტურის ოპტიმიზებასა და, შესაბამისად, ბიუროკრატიული მართვის ჰიპერტროფირებული ბარიერების ნაცვლად ეფექტიანი მოტივაციის მექანიზმების გამოყენებას.

საერთაშორისო მენეჯმენტის იერარქიულ სტრუქტურაში, მიზანშეწონილია, გავასხვავოთ უმაღლესი (ე.წ. ტოპ ინსტრუქციონალური), საშუალო (სპეციალიზებული განყოფილებები ობიექტის ძირითადი პროფილის შესაბამისად) და დაბალ (ე.წ. სამეურნეო სამსახურები) დონეებს, მ.შ. ქვედონეების საფეხურები 10-მდე და უფრო მეტადაც შეიძლება გაიზარდოს, რაც ეკონომიკურად დასაბუთებულ განსაკუთრებულად აუცილებელ შემთხვევებშია დასაშვები. მართვის პროცესის ე.წ. „ოპტიმიზება“ და დაუსაბუთებელი ზედმეტი გამარტივებაც მეტად საფრთხილოა, რამაც, პრაქტიკულად, უმართავ სიტუაციებამდე (ანარქიამდე) და სხვა მართვის სისტემებზე დამოკიდებულ მდგომარეობამდე შეიძლება მიგვიყვანოს. უმაღლესი დონის ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და აუცილებელი განყოფილებებისა და ქვეგანყოფილებების 4 მენეჯერული

ქვედონე საშუალოდ სრულებით საკმარისია საერთაშორისო მენეჯმენტის რაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურის ფუნქციონირებისათვის.

გასათვალისწინებელია, რომ მართვის დონეებზე ხარჯები ქვემოდან ზემოთ უნდა კლებულობდეს და არა პირიქით. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ინოვაციურ პროცესებთან ერთად, მენეჯერულ ხარჯებში შეიძლება იზრდებოდეს დანახარჯები ინტერნეტსა და სატელეფონო კომუნიკაციაზე, მაგრამ, შესაბამისად, უფრო მეტად უნდა მცირდებოდეს ქაღალდის დოკუმენტებსა და სამსახურეობრივ მიმოსვლაზე დანახარჯები. რაციონალური გადაწყვეტილებების ეპოქაში, ჩვენი აზრით, მენეჯერულ ხარჯებში უნდა მატულობდეს გეგმიური შეხვედრების წილი გაუთვალისწინებელ (დაუგეგმავ) შეხვედრებთან შედარებით.

საერთაშორისო ბიზნესში და ზოგადად მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურული ძვრების ეკონომიკური ეფექტიანობა, ბუნებრივია, ინოვაციური მენეჯმენტის შემაჯამებელი მახასიათებელია დასკვნებისა და რეკომენდაციების შესამუშავებლად მართვის პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის. აღნიშნული ძვრების ეფექტიანობის აუდიტისათვის საკუთარი მეთოდოლოგია შევიმუშავეთ, რაზეც მოგახსენებთ თანმიმდევრულად.

ზოგადად, როგორც ცნობილია, ეკონომიკური ეფექტიანობა იანგარიშება შედეგობრივი მაჩვენებლის (წარმოებისა და მომსახურების მთლიანი ოდენობა ან მიღებული მოგება) შეფარდება გაწეულ ხარჯებთან, აქტივებთან ან სხვადასხვა გამოყენებული რესურსის ოდენობასთან.

ეფექტიანობა ყველაზე კომპლექსურად ახასიათებს გლობალური და მინი ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობის შედეგებს. მათ შორის, მიზანშეწონილია, ერთობლივად განვიხილოთ და განზოგადდეს მწარმოებლურობის (პროდუქტიულობის) მაჩვენებელი, როგორც მთლიანი პროდუქტის ფარდობა დასაქმებული პერსონალის რაოდენობასთან, კაპიტალუკუგება (მთლიანი პროდუქტის ფარდობა ძირითად კაპიტალთან), მასალაუკუგება (მთლიანი პროდუქტის ფარდობა გამოყენებულ მასალებთან), საბრუნავი საშუალებების ბრუნვის სიჩქარის (ბრუნვის კოეფიციენტი ანუ ბრუნთა რიცხვი იანგარიშება მთლიანი პროდუქტის ფარდობით საბრუნავი კაპიტალის ოდენობასთან), ბრუნვის ხანგრძლივობის (წელიწადის დღეთა რაოდენობის ფარდობა ბრუნთა რიცხვთან) და რენტაბელობის (საბუღალტრო ან წმინდა მოგების ფარდობა ხარჯებთან, აქტივებთან, პერსონალთან და ა.შ.) სხვადასხვა მაჩვენებლებთან ერთად, შესაძლებელია გამოვიყენოთ ორიგინალური მიდგომებიც, მ.შ. სხვადასხვა მაჩვენებლის კომპლექსური მოქმედების შეფასების მიზნით, მათი ნამრავლი ან ნაკრები ყოველი კონკრეტული ფაქტორის მოქმედების თანაბარი ან გარკვეული პროპორციის შესაბამისად.

სტრუქტურული ძვრების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის, რაც უმნიშვნელოვანესია ოპტიმალური ფინანსური მდგრადობისა და, შესაბამისად, კაპიტალის არაეფექტური გადადინებითა და სუბიექტური (ხშირ შემთხვევაში კორუფციული) გადაწყვეტილებებით გაბერილი ხარჯების შემცირებისათვის, მიზანშეწონილია გამოვიყენოთ

ევროკავშირის კომისიის ექსპერტთა მიდგომის განვითარება – ჩვენი ე.წ. ეკონომიკური სტრუქტურის ეფექტიანობის შეფასება, რომელიც აპრობირებულია საერთაშორისო ეკონომიკურ წრეებში და შესაძლებელია დაინერგოს ინოვაციურ საერთაშორისო მენეჯმენტში რენტაბელური მიმართულებების წასახალისებლად ეკონომიკური სტრუქტურების (მ.შ. ორგანიზაციული, ასაკობრივი, სახეობრივ-ტექნოლოგიური, აღწარმოებითი და სხვ.) ეფექტიანობის დადებითი გავლენის ამაღლების მიზნით, განსაკუთრებით, კრიზისული მოვლენების გამწვავების დროს:

$$E = \sum [(E_{io} + E_{it}) / 2] \Delta_i;$$

$$i = 1; 2; \dots; n$$

სადაც, E – სტრუქტურის ეფექტიანობაა დროის t მონაკვეთში;

E_{io} – სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის საწყისი ეფექტიანობაა;

E_{it} – სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის ეფექტიანობაა t მონაკვეთის დასასრულისათვის;

Δ_i – გამოყენებული რესურსის სტრუქტურის შემადგენელი i -ური ელემენტის ხვედრიწონის ცვლილებაა დროის t მონაკვეთში;

$i = 1; 2; \dots; n$ – სტრუქტურის შემადგენელი ელემენტი.

საერთაშორისო ეკონომიკური კრიზისის გამწვავების დროს, სხვადასხვა ხარჯების მატების გამო განსაკუთრებით სწრაფი ეკონომიკური განვითარების აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება

სწრაფად განვითავისუფლდეთ მოძველებული და გამოუყენებელი ტექნიკისაგან და დამატებითი ინოვაციური სტიმულები მივცეთ სტრუქტურის ეფექტიან შემადგენლებს (და არა გამოუყენებელ წამგებიანებს, რაც ხარჯების დამატებით გადიდებას გამოიწვევს ისედაც შეზღუდულ პირობებში), რათა მათი შემოსავლების ხარჯზე დავაწინაუროთ ჩამორჩენილი ელემენტებიც. ასეთ დროს, ზემოაღნიშნული სტრუქტურის ეფექტიანობა აუცილებლად დადებით ნიშნულზე უნდა დაფიქსირდეს, ამასთანავე, არსებითი მატების ტენდენციით.

საერთაშორისო მენეჯერული სტრუქტურის ფუნქციონირების შედეგი სტრუქტურული ძვრების ეფექტიანობის ზრდაში უნდა გამოიხატოს, ანუ, როგორც ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგიით ირკვევა, ხარჯების გაწევა ისეთ ნოვაციურ შემადგენლებზე, რომლებიც მეტად მიმზიდველი ხდება და მოთხოვნადია და, შესაბამისად, მეტად ეფექტიანი, არსებითად ამაღლებს ეფექტიანობის საერთო მაჩვენებლებსაც.

დასკვნისათვის

გლობალური კონკურენციის ობიექტური კანონზომიერებების საფუძველზე ბიზნესის მართვისა და ადამიანის გამდიდრების საკითხები ციკლურად ცვალებად ურთულესთა რიგს განეკუთვნება და, ბუნებრივია, წარმოდგენილ შრომასაც არ აქვს პრეტენზია იდეალურ და უცვლელ სრულყოფილებაზე. შესაბამისად, განხილულ საკითხებთან დაკავშირებით

კვლევები გრძელდება და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში, ავტორი ყოველთვის მადლიერი იქნება საქმიანი რეკომენდაციებისათვის.

წყაროები

1. ლოცვანი (მხედრული და ხუცური დამწერლობით). – თბილისი, საქართველოს საპატრიარქოს საქველმოქმედო საგამომცემლო ცენტრი, დასაბამითგან სოფლისა 7514, განხორციელებითგან სიტყვისა ღმრთისა 2006.
2. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აქტუალური საკითხების შესახებ (შემდგენელ-გამომცემელი - გიორგი შიხაშვილი). – თბილისი, გეოკერია, 2004.
3. Obama B. The Audacity of Hope: Thoughts on Reclaiming the American Dream. New York, 2006.
4. Ivanishvili B. - http://en.wikipedia.org/wiki/Bidzina_Ivanishvili
5. Gates B. Business @ the Speed of Thought.
- http://en.wikipedia.org/wiki/Business_@_the_Speed_of_Thought
6. Joseph Schumpeter. - <http://en.wikipedia.org/wiki/Schumpeter>
7. Simon Kuznets. - http://en.wikipedia.org/wiki/Simon_Kuznets
8. Nikolai Kondratiev. - http://en.wikipedia.org/wiki/Nikolai_Kondratiev
9. Clement Juglar. - http://en.wikipedia.org/wiki/Clement_Juglar
10. Joseph Kitchin. - http://en.wikipedia.org/wiki/Joseph_Kitchin
11. Michael Albert. - http://en.wikipedia.org/wiki/Michael_Albert
12. Peter Drucker. - http://en.wikipedia.org/wiki/Peter_Drucker
13. The 25 Most Influential Business Management Books.
- <http://content.time.com/time/specials/packages/completelist/0,29569,2086680,00.html>
14. Smith A. Lectures on Justice, Police, Revenue and Arms, Oxford, 1896.
15. John Maynard Keynes. - http://en.wikipedia.org/wiki/John_Maynard_Keynes
16. Krugman P.R., Obstfeld M. International Economics/Theory and Policy, Person International Edition, Boston, 2006
17. Porter M.E. The Competitive Advantage of Nations. The free press, A Division of Macmillan, Inc, New York, 1990
18. Horizontal Merger Guidelines.
- <http://www.justice.gov/atr/public/guidelines/hmg-2010.html>
19. Albert Einstein. - http://en.wikipedia.org/wiki/Albert_Einstein
20. The State in a changing world. - World development report, Published for the World Bank, Oxford University Press, 1997.
21. Economy of the United States, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_US
22. Economy of Switzerland, http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Switzerland
23. Economy of Georgia (country),
- [http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Georgia_\(country\)](http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_Georgia_(country))

24. Economy of China, - http://en.wikipedia.org/wiki/Economy_of_china
25. The World's Biggest Companies. - <http://www.forbes.com/sites/scottdecarlo/2013/04/17/the-worlds-biggest-companies-2/>
26. О космосе: Бывшие враги Россия и США будут совместно работать над ядерным оружием для предотвращения угрозы астероидов
<http://inopressa.ru/article/17oct2013/dailymail/asteroid.html>
27. Россия — США: дружба неизбежна? (выступление Владимира Путина на Нью-Йоркской фондовой бирже). - <http://directorinfo.ru/article.aspx?id=13537&iid=578>
28. პაპავა ვ. არატრადიციული ეკონომიკისი. - თბილისი, 2011.
29. ჩიქავა ლ. ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი. - თბილისი, 2005.
30. სილაგაძე ა. ეკონომიკური დოქტრინები. - თბილისი, 2010.
31. ამყოლაძე გ. ამყოლაძე ი. ლომსაძე-კუჭავა მ. ორგანიზაციის თეორია და მენეჯმენტის საფუძვლები. – თბილისი, 2011.
32. ასათიანი რ. ასათიანი ს. ბიზნეს-მენეჯმენტი და გლობალური კონკურენცია. - თბილისი, 2009.
<http://gtu.ge/publishinghouse/book5/asatiani,%20asatiani.pdf>
33. აბრალავა ა. და სხვ. საინოვაციო მენეჯმენტი. - თბილისი, 2009.
34. ბარათაშვილი ე. და სხვ. ინოვაციების მენეჯმენტი. - თბილისი, 2008.
35. ფეტელავა ს. კონკურენციის თეორია და ანტიმონოპოლიური რეგულირება საქართველოში. – თბილისი, 2007.
36. დამბაშიძე თ. საერთაშორისო მენეჯმენტი. - თბილისი, 2008.
37. ლორთქიფანიძე რ. ეკონომიკური ზრდის ქრისტიანული, პოლიტიკური და თეორიული საფუძვლების შესახებ. - თბილისი, 2005, 2013 (ახალი რედაქცია),
- <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421>
38. ლორთქიფანიძე რ. განმარტებები კონკურენციის კანონის, ევროკომისიის ფორმულის განვითარებისა და მაკროსტაბილურობის სტრატეგიულ საკითხებზე.
- <http://www.education.ge/index.php?do=definition/view&id=1374%20>
39. ლორთქიფანიძე რ. მენეჯერული ხარჯები ჯანდაცვაში. - თბილისი, 2013,
<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11405>
40. ლორთქიფანიძე რ. ობიექტური ნების გამოვლინება ეკონომიკურ პრაქტიკაში. – საერთაშორისო რეფერირებადი და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ახალი ეკონომისტი“, 2013, N3, გ. 41-46.
41. ლორთქიფანიძე რ. ამერიკის შეერთებული შტატების პროგრესული გავლენა მსოფლიო ბაზარსა და საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე. – თბილისი, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ცენტრის კრებული (გამოიცა საქართველოში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით), 2005.
42. Lordkipanidze R. - http://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze
43. Lordkipanidze R. We must think for new effective economic system. - The New Economist, 2013, № 1, P. 63-64 (In English).
44. ლორთქიფანიძე რ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ეფექტიანი მენეჯმენტის მექანიზმები. - თბილისი, ქაშვეთში მოღვაწე მამა ღვთისოს (შალიკაშვილი) კურთხევით, 2013,
<http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/25725/1/SaertashorisoEkonomikuriKonkurenciaDa.....pdf>

45. ლორთქიფანიძე რ. ფილიფსის მრუდი და გლობალური აუდიტის აუცილებლობა ცხოვრების დონის არსებითი მატებისათვის. - თბილისი, უნივერსიტეტი გეომედი, 2013, <http://geosis.edu.ge/uploads/Revazi%20Filifsz.pdf>
46. ლორთქიფანიძე რ. (ავტორთა ჯგუფთან ერთად), ნოვატორული არაორდინარული მენეჯმენტი და მარკეტინგი უახლოესი სტრატეგიისათვის. - თბილისი, 2014.

ავტორის შესახებ

რევაზ ლორთქიფანიძემ წარჩინებით დაასრულა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი, არის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი (სპეციალიზაციები: ეკონომიქსი; მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები). არჩეულია საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად. არის მრავალი სამეცნიერო ოლიმპიადის გამარჯვებული, ოქროს მედალოსანი, სხვადასხვა საერთაშორისო სერტიფიკატის, დიპლომისა და სიგელის მფლობელი. ქაშვეთის ტაძრის სტიქაროსანია. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

About author

From Wikipedia, the free encyclopedia - http://en.wikipedia.org/wiki/Revaz_Lordkipanidze



Revaz Lordkipanidze (Georgian: რევაზ ლორთქიფანიძე, was born 1965, 7 Jan., Georgia) is a Georgian economist, politician (winner of the first democratic election in Georgia), doctor of sciences (economics, world economy and international economic relations), gold medalist of Georgian Ministry of Education.

Revaz Lordkipanidze is author of publications about religious base of economic growth, US role in world progress and new world economical structure,^[1] stabilization of finance,^[2] law of economic competition, theories of economic relativity and competitive equilibrium, etc.

For practice of inter-money system optimal stimulation and macroeconomic structure marginal efficiency, R. Lordkipanidze defines the force of economic competition approximately as The Force of electric current. By Lordkipanidze law of economic competition, the less are output of monopoly and excess (disquality or needless) production (or services), the more is the force of competition. R. Lordkipanidze defines two constituents of force (I_0 and I_1) and their integral influence (K): $I_0 = U/R_0$; $I_1 = U/R_1$; $K = N \times I_0 \times I_1$, where U is total production; R_0 – non-realized production; R_1 - output of the largest firm (maybe monopoly); N – number of firms. On the base of own argumentation for simultaneous use indexes of Lordkipanidze law of economic competition with HHI (The United States, Department of Justice, Herfindahl-Hirschman Index)(also about Herfindahl-Hirschman Index) and Health Care Reforms(Managerial Costs in Healthcare, P. 118-134).

By R. Lordkipanidze's Formulation for development of EU formulate of effective ecostructural changes in operative ecopolicy $E = \sum [(E_{i0} + E_{it})/2] \Delta a_i$; $i=1;2;\dots;n$

E – Effectiveness of ecostructural changes in t time; E_{i0} – Effectiveness of i element of structure for start of t time; E_{it} – Effectiveness of i element of structure for finish of t time; Δa_i – percent change (:100) of i element of used resource's structure in t time; $i=1;2;\dots;n$ – element of structure (branch, region or age group of technique, etc.).

This formulation of R. Lordkipanidze has different interpretations in conditions of crisis and if $E \geq 0$.^[3]

Revaz Lordkipanidze is author of Christian Chants.^[4]

He graduated Tbilisi State University with Honored Diploma (1986) and Institute of Economy and Law (Georgian Academy of Sciences, 1990), St. Petersburg State University with diploma of doctor (1998–1999), was member (first from post USSR countries) of The Academy of Political Science (NY, USA) with certificates (1998–2010), with successfully certify EU TACIS Project (Cleaner production, 2003) and University of Minnesota (The USA, Training program, 2011), elected academician of Georgian Academy of Economic Sciences (2013). He is in Georgian Economic encyclopedia as young economic doctor (See references: 5, P. 377 (Editor Avtandil Silagadze); 6, P. 89; 7, P. 117).

In theory of economic relativity (See references: 7, P. 24-26; 10, P. 355-358; 11, P. 50-55), Revaz Lordkipanidze summarizes the practice of price behavior. The author considers, that some Christian

masterpieces (for example Wonder-working Icon), natural resources (for example uranium and any other resources for mc^2 by mass-energy equivalence) and scientific and technological innovations (for example computer) can have a huge price (even invaluable for Humanity) by relative big growth to the cost of their production. Revaz Lordkipanidze offers also conclusions for construction new economic system in macroeconomics of post-crisis conditions and competitive equilibrium (between private and public properties) as optimal way of marginal results of economical system.

R. Lordkipanidze is winner (1991, independently, without Communist party) in the first democratic choice of Georgia in center of the sea capital of Georgia - Batumi, after he was initiator for creation of Ministry of Economy in Georgia and the first acting head of this Ministry in significant geopolitical region - Achara (See Governmental decisions of Georgia in 1993–1998 years). He is also initiator for real free economic zone in Georgia, as base of fast economic growth and peaceful international cooperation, author of recommendations for healthcare reforms, structure of property, new rational (effective) economic relations (See references: 6; 7; 8; 9; 10; 11; 12), etc.

References[edit]

1. Lordkipanidze Revaz, Necessity of new economic system in conditions of world crisis, www.education.ge, Electronic Journal, Social Sciences, Economy, 2011, Sept. 6 (In Georgian)
2. Lordkipanidze Revaz, For success management of finance in business, www.education.ge, Electronic Journal, Social Sciences, Economy, 2012, Febr. 12 (In Georgian)
3. Lordkipanidze Revaz, Interpretations for Competition's Law, development of European Commission's formulation and Strategy of macroeconomic stability, www.education.ge, Electronic Journal, Social Sciences, Economy, 2012, Febr. 16 (In Georgian)
4. Lordkipanidze Revaz, To Him be Glory (Christian Chant in English), Published on May 11, 2012
5. Information about Revaz Lordkipanidze - Encyclopedic Dictionary of Economics (in Georgian), Tbilisi, Tbilisi State University Publishing House, Publishing House "Innovation", 2005 (In Georgian).
6. Lordkipanidze R. About the Christian, Political and Theoretical bases of Economic growth, Tbilisi, 2005 (In Georgian).
7. Lordkipanidze R. About the Christian, Political and Theoretical bases of Economic growth, Tbilisi, 2013 (New edition in Georgian), ISBN 978-9941-0-5303-0, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11421>.
8. Lordkipanidze R. Factors of competitiveness level of market. - Tbilisi, Georgian Academy of Economic Sciences, Works, vol. XI, 2013, P. 338-352 (In Georgian).
9. Lordkipanidze R. Managerial Costs in Healthcare. - Tbilisi, University Geomedi, 2013 (In Georgian), ISBN 978-9941-0-5304-7, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/11405>
10. Lordkipanidze R. About structure of property. - Bulletin of Georgian Academy of Sciences, vol. 147, 1993, № 2, P. 355-358.
11. Lordkipanidze R. About relativity of property and prices. - Georgian Academy of Sciences'

Herald, Economics and Law Series, 1992, № 3, P. 50-55. 12. Lordkipanidze R. We must think for new effective economic system. - The New Economist, 2013, № 1, P. 63-64 (In English).

Categories:

- Economics
- Economists from Georgia (country)
- Politics